K 234.416
3

ᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში
(XX ს. დასაწყისში, 1917 წლამდე)

თბილისი 2000

აკაკი ვარაზაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX ს. დასაწყისში, 1917 წლამდე)

გამომცემლობა „ინტელექტი“
თბილისი
2000

9(479.22) (092) + 281.97 (09)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში განხილულია გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში, რომელმაც მე-20 საუკუნის დასაწყისში ქართველთათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური ხასიათი მიიღო. ქართველი ისტორიკოსების მონდომებამ, განსწავლულობამ და ერუდიციამ ისეთი ისტორიული და სამართლებრივი საფუძველი მოუმზადა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას, რომ იმპერიის ადმინისტრაციას მხოლოდ შიშველი ძალით დაპირისპირების საშუალება დაუტოვა, რომლის გადალახვაც 1917 წელს მოხერხდა.

რეცენზენტი ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი *დ. მერკვილაძე*

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი *ო. ჯანელიძე*

სპეგ-2000
შეკვეთილია

ISBN 99928-67-90-6
© „ინტელექტი“
© აკ. ვარაზაშვილი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

ISSN 1512-1135

[პერიოდს, XX ს-ის დასაწყისიდან 1917 წლამდე, ქართველი ხალხის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. 1811 წელს ცარიზმის ადმინისტრაციის, კერძოდ, მთავარსარდლის, გენერალ ტორმასოვის უპრეცედენტო და დიდმპყრობელური აქტით IV საუკუნიდან ქრისტიანული სარწმუნოების ოფიციალურად მატარებელ და მრავალი საუკუნის მანძილზე ამ სარწმუნოების ერთგული ერის ეკლესიას მოუსპეს ავტოკეფალია, რომელსაც იგი მართლმადიდებლური სამყაროს აღიარებით ფლობდა და რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. კათალიკოსი ანტონ II თანამდებობიდან გადააყენეს და რუსეთში გადაასახლეს.

ქართველი ხალხი და მისი მოაზროვნე ნაწილი არასოდეს შერიგებია რუსეთის საიმპერიო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ძალმომრეობის ამ დემონსტრირებას ქართული ეკლესიისა და, საერთოდ, სახელმწიფოს მიმართ, ამიტომ მუდამ ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში იყო, რათა აღედგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მასთან ერთად ეკლესიის ავტოკეფალიაც.

239.916

XIX საუკუნის ბოლოს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, როგორც პოლიტიკური პრობლემა, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ იყო ნათლად გააზრებული და იგი მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხად გადაიქცა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე 1905-1907 წ.წ. დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში[1].]

რუსეთის იმპერიის პირველი დიდი შეტორტმანებისთანავე, ჩვენი ერის იდეური ხელმძღვანელები ღრმად ჩაუფიქრდნენ საკუთარი ეკლესიის უმძიმეს უფლებრივ მდგომარეობას და თერგდალეულების ლიდერს, ილია ჭავჭავაძეს, როგორც ამის შესახებ იგონებს დიდი ქართველი ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი, შესთავაზეს სათავეში ჩასდგომოდა მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას და თუ საამისოდ საჭირო შეიქნებოდა, ეკისრა კიდეც მისია, - საგანგებო პეტიციით წარმდგარიყო მეფისნაცვლის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის წინაშე და სათანადო ისტორიულ-სამართლებრივი არგუმენტების მოშველიებით, მთელი ერის სახელით, მოეთხოვა, რომ ამ უკანასკნელს ეშუამდგომლა საიმპერატორო კარის წინაშე, რათა

1. შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, „ჯვარი ვაზისა“, 1987, №1.

საქართველოს ეკლესიას დაბრუნებოდა თავის დროზე უკანონოდ და ძალდატანებით წართმეული ავტოკეფალია. ილია ჭავჭავაძემ ამ საკითხშიც ღირსეულად შეასრულა ერის ლიდერისა და ჭირისუფლის მოვალეობა. პეტერბურგშიც, სადაც იგი 1906 წელს ჩავიდა, როგორც საქართველოდან რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში არჩეული დეპუტატი, მიზნად დაისახა, ყოფილიყო ამომრჩეველთა ყველა სოციალური ფენის — მთელი ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი და უანგარო დამცველი. ამ იდეალებისათვის ბრძოლას, სამწუხაროდ, წერტილი დაესვა 1907 წლის 30 აგვისტოს, როდესაც წიწამურთან, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ დაქირავებულმა თუ წაქეზებულმა ყაჩაღთა ბანდამ, სიცოცხლე მოუსწრაფა საქართველოს უპირველეს შვილს.

საბედნიეროდ, არც საქართველოს უკეთესი მომავლისა და არც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა ამით არ დასრულებულა.

ილიას მკვლელობა ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი აღმოჩნდა — საქართველოს ისტორიის ისედაც ტრაგიზმით აღსავსე მრავალტომეულში, სადაც ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის ყოველთვის უდიდესი ადგილი ეთმობოდა. ამჯერადაც, 1917 წელს, ეს ბრძოლა წარმატებით დასრულდა.

ქართველი ისტორიკოსების (ალ. ცაგარელი, ნიკო მარი, ივ. ჯავახიშვილი, თედო ჟორდანია, ს. გორგაძე, მიხეილ თამარაშვილი) ძალისხმევით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას, პოლიტიკური შინაარსის გარდა, დიდი ისტორიული ბაზისი ჰქონდა შექმნილი, ამ საქმეში მათი როლი და ღვაწლი შეუფასებელია. სწორედ მათ მოიძიეს, განმარტეს და გააანალიზეს არაერთი ისტორიული დოკუმენტი თუ საბუთი საქართველოს ეკლესიის შესახებ, მათვე აჩვენეს მაშინდელი იმპერიის რეაქციის მსახურებსა და სამეცნიერო წრეებს საერთაშორისო ქრისტიანული მოძღვრების ისტორიის, სამართლისა და საეკლესიო მართვის კანონიკური საფუძვლების ღრმა ცოდნა, საიდანაც გამომდინარეობდა ლოგიკური დასკვნა: რომ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ჩამორთმევის უფლება და მისი მართვის რუსული სინოდისადმი გადაცემის არავითარი კანონიკური საფუძველი რუსეთის ადმინისტრაციას არ ჰქონდა, რომ ამ აქტით ხელყოფილ იქნა მართლმადიდებლური ეკლესიის მართვის ყველა აღიარებული და გაზიარებული ნორმა, ტრადიცია და წეს-ჩვეულება.

ქართველი ისტორიკოსების შრომებმა, საჯარო გამოსვლებმა თუ პუბლიცისტურმა წერილებმა, ნიადაგი შეუმზადა არა მარტო ქართული ეკლესიის აღდგენის აუცილებლობას, არამედ საერთოდ ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ღრმა მეცნიერული შესწავლითა და წარმოჩენით, ნათელი გახადეს, რომ ქართველერს აქვს უფლება, ჰქონდეს პრეტენზია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასა და მართვაზე, რაც თავისთავად ცხადია, აღფრთოვანებას არ იწვევდა იმპერიის პოლიტიკურ წრეებში – ეს კი სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებდა ჩვენი ისტორიკოსების არა მარტო მეცნიერული მუშაობის შემდგომ გაგრძელებას, არამედ თვით სიცოცხლესაც კი.

ჩვენ შევეცადეთ მოცემულ ნაშრომში ისტორიკოსებზე აქცენტის გადატანით, წინ წამოგვეწია საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ქართველი საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლების ბრძოლა თავისი დროისათვის ისეთი აქტუალური საკითხის გამო, რასაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა ერქვა.

ვფიქრობთ, რომ ნაშრომი თანამედროვეობასაც გარკვეულწილად ეხმაურება. იმდენად, რამდენადაც 1917 წლის სახელმწიმფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგაც, ქართულმა სახელმწიფომ ეკლესიასთან ერთად, რამდენიმე წლის შემდეგ, ბოლშევიკური ტერორის პირობებში, 70 წლიანი კოშმარი გამოიარა, რომლის აჩრდილები ჯერაც სახეზეა. არავინ იცის, დიდი მეზობლისგან გამუდმებით რა სიურპრიზს უნდა ველოდოთ; ხოლო ის, რომ რუსეთი სავსეა ველიკოდერჟავული ამბიციებით შეპყრობილი პოლიტიკოსებით, რომლებიც საქართველოს დღესაც რუსულ გუბერნიად მოიაზრებენ, ალბათ, საკამათო არ უნდა იყოს.

1921 წელს, ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობისა და მათ მიერ მკაცრად ცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, მართალია, საგანგებო აქტით ქართული ეკლესიის ავტოკეფალია არ გაუქმებულა, მაგრამ იგი, ფაქტობრივ აღარ არსებობდა.

1921 წელს, კომპარტიის „სანქციით", საქართველოს ეკლესიამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია ამბროსი ხელაია, ეროვნული მოღვაწე, გამორჩეული პიროვნება და მამულიშვილი, ცნობილი თავისი ბრძოლით საეგზარქოსოს წინააღმდეგ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის,

რის გამოც, 1908 წელს, ეგზარქოს ნიკონის მკვლელობა დააბრალეს და საქართველოდან გადაასახლეს. შემდგომ, რეაბილიტაციის მიუხედავად, 1917 წლამდე იგი საქართველოში არ დაუბრუნეს.

ამბროსი ხელაია პატრიოტი მღვდელმთავარი იყო. 1922 წელს, მან საქართველოს საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად, შეადგინა პეტიცია-მემორანდუმი გენუის კონფერენციისადმი, საბჭოური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შეწყვეტის მოთხოვნით. მისი აზრით, ბოლშევიკები, სოციალიზმის პრინციპების საფარველით, ქართველობის ეროვნულ გადაგვარებას ცდილობდნენ. ბოლშევიკური ტერორი უდანაშაულოთა ჟლეტით არის ცნობილი. მათი ხელისუფლების ოპონენტებს კი განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდნენ. კათალიკოს-პატრიარქი დააპატიმრეს და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასამართლო პროცესზე ამბროსი ხელაიამ ცნობილი სიტყვები წარმოთქვა, რომლებიც თაობებს გადაეცემა — მან განაცხადა: საქართველო რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყანაა, მე ჩემი ვალი აღვასრულე — სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული — სამშობლო-საქართველოს, მძორი კი — თქვენი იყოსო.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ავტორიტეტის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი იყო. ამიტომაც იგი რუსული რეაქციის გამუდმებული შეტევის საგნად ქცეულიყო და იმპერია ძალასთან ერთად კალამსაც იშველიებდა, სხვადასხვა ცილისწამებით ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას სათუოდ ხდიდა, რასაც ქართველი ისტორიკოსები გამუდმებით ეწინააღმდეგებოდნენ.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ზოგიერთი საკითხი

ქართული სახელმწიფოს ისტორიაში, ქრისტესშობის პირველსავე საუკუნეებიდან, განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი დაიკავა ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელმაც იმთავითვე უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა და დააჩქარა ქართველ ხალხში ადრეული ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და სახელმწიფო იდეოლოგიური მექანიზმის სრულყოფის პროცესი. მრავალი საუკუნის მანძილზე იკისრა მისია ფეოდალური სახელმწიფოს მოკავშირისა და ერის კონსოლიდაციის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენისა, განსაკუთრებით კი XI საუკუნიდან, როდესაც ქართველი მწყემსმთავრები თანდათანობით ჩადგნენ აღმოსავლეთის პატრიარქების წყებაში და ეკლესიამ დიდი პოტენციალი მოიპოვა ფეოდალური სახელმწიფოებრიობის პოლიტიკურ წინსვლასა და მისი წარმატების იდეოლოგიურ სანქცირებაში.

XIX ს-ის. დასაწყისში, კერძოდ, 1811 წელს, რუსეთის იმპერიის ორპირულმა პოლიტიკამ, გენერალ ტორმასოვის უპრეცედენტო მოქმედებით, გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიურობა, რამაც შემდგომში თითქმის საუკუნის მანძილზე განაპირობა და ხელი შეუწყო ქართველ ხალხში სარწმუნოების დაცემასა და ქრისტიანობის საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ფუნქციების მოშლას[1].

მხოლოდ XX ს-ის. დამდეგს, საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის თავკაცის, ილია ჭავჭავაძის გარშემო დაჯგუფებულმა ლიდერებმა, მათ შორის: ექვთიმე თაყაიშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო მარმა და სხვებმა, პატრიოტულად განწყობილ სამღვდელოებასა და პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, საერთო ძალისხმევით, შეძლეს და მოახერხეს წარმატებით ებრძოლათ რუსეთის იმპერიაში დაცემული და ფუნქციამოშლილი ქართული ეკლესიისა და მისი მეთაურის საკათალიკოსო ხელისუფლების აღდგენისათვის, რითაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ქრისტიანული ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

ჩვენი მონოგრაფიული ნაშრომი, ძირითადად, განიხილავს ქართველი საზოგადოების, კერძოდ კი ისტორიკოსების მეთოდურ ბრძოლას ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის XX ს-ის. დასაწყისში.

1. А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб, 1912 стр, 130-134.

მაგრამ, სანამ აღნიშნულ საკითხს შევეხებოდეთ, უპრიანია გავარკვიოთ, თუ რისთვის იბრძოდნენ ქართველი ისტორიკოსები, საიდან დაიწყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და რას ნიშნავს ერისათვის მის სათავეში ავტოკეფალიური ანუ დამოუკიდებელი ეკლესიის დგომა.

უპირველეს ყოვლისა, რუსეთის იმპერიის მიერ ქართული ეკლესიის მიმართ ძალმომრეობის აქტს ქართველი ისტორიკოსები ისტორიულ წარსულს უპირისპირებდნენ, საიდანაც კარგად ჩანდა, რომ მართლმადიდებლურ, ქრისტიანულ ეკლესიაში მიღებული კანონებით, ტრადიციებითა და ჩვეულებებით — ერთ ეკლესიას ძალის გამოყენებით არ ჰქონდა უფლება შთაენთქა მეორე — მით უმეტეს, თუ იგი დამსახურებითა და ისტორიის ყველა პარამეტრით მასზე უფრო მაღლა იდგა.

ყოველივე კი ვახტანგ გორგასალის სახელს დაუკავშირდა — ერთი შეხედვით, მეფესა და მთავარეპისკოფოსს შორის პირადული კონფლიქტი — მაშინდელი მსოფლიოს პოლიტიკური ორიენტაციის ჭრილში მოექცა და მრავალი საუკუნის მანძილზე განსაზღვრა საქართველოს ბედი და ისტორია.

ქართული სახელმწიფოს ისტორიაში ძნელია მოიძებნოს პოლიტიკური მოღვაწე, რომლის ცხოვრებასა და საქმიანობას ისეთი ღრმა კვალი დაეჩნიოს ქვეყნის მთელი შემდგომი განვითარებისათვის, როგორიც ვახტანგ გორგასალს. ამიტომაც სრულიად გასაგებია თაობათა დიდი ინტერესი ამ ადამიანის მიმართ. ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისათვის სათანადო ცნობების უქონლობა, ვახტანგ გორგასალის პიროვნებას, საუკუნეების მანძილზე, მითებისა და ლეგენდების ისეთ ბურუსში ახვევდა, რომ დღეს თითქმის შეუძლებელია, გავარკვიოთ რა არის მართალი და რა შეთხზულ-გამოგონილი.

ერთადერთი სპეციალური ისტორიული თხზულება, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელიც ვახტანგ გორგასალის ცხოვრების გადმოცემას ისახავს მიზნად, XI ს-ის ისტორიკოსს ეკუთვნის. ეს არის ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“, რომელიც, აკად. ივ. ჯავახიშვილის შეფასებით, „ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმგვარი დაუჯერებელი ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას“[1]. ამიტომაც უსათუოდ მართალია მკვლევარი ზ. ალექსიძე, რომელიც მიიჩნევს,

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 191.

რომ „არ არის საკვირველი, თუ სპეციალისტები ცდილობენ, გამოიყენონ სულ უმცირესი მონაცემებიც კი და, ზოგჯერ აპრიორული მსჯელობით, აღადგინონ სავარაუდო ურთიერთობები“[1]. სწორედ ასეთი გზით თუ იქნება შეტანილი რაიმე ნათელი ქართველთა ამ ლეგენდარული მეფის ცხოვრებაში, ვინაიდან ხელმოსაკიდი ლიტერატურული ძეგლის აღმოჩენა, რომელიც გარკვეულად შუქს მოჰფენდა მის მოღვაწეობასა და ცხოვრებას, ნაკლებად სავარაუდოა.

ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი იმ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რომელსაც ივ. ჯავახიშვილის თქმით, „პირადული ხასიათის უთანხმოებად ვერ მივიჩნევთ“[2].

მეფისა და მწყემსმთავრის შეხლა-შემოხლამ დიდი კვალი დაამჩნია საქართველოს V ს-ის 70-იანი წლების პოლიტიკურ ცხოვრებას და შემდგომ საუკუნეებშიც მისი გამოძახილი მთელი სიმწვავით იგრძნობოდა. ამიტომ მას გვერდი ვერ აუარეს ძველი დროის ქართველმა მემატიანეებმა, ხოლო თანამედროვე პირობებში, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველი ისტორიკოსები შეეცადნენ, გამოერკვიათ ამ კონფლიქტის ძირითადი მიზეზები.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქცია გვაუწყებს: „წარიყვანეს ვახტანგ სპარსთა და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მთავარეპისკოპოსი იყო მიქაელ და მან მიამთხჳა ფერკი პირსა მეფისასა ვახტანგს. ხოლო მეფემან წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი. ხოლო მან მოსცა პეტრე კათალიკოზი. და თანა ჰყვანდა მას სამოველ მონაზონი, წმინდა და ღირსი. და აღაშენა ქუეყანაჲ ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან. და დასუა პეტრე კათალიკოზი“[3]. ჭელიშური რედაქცია ამ ფაქტებს ვახტანგის პირად განწყობილებასაც უმატებს: „მიამთხჳა ფერკი გორგასალსა რომლისათვისა მიზეზისათვის, და განაძო ეკლესიისაგან. მაშინ მეფე აღივსო გულისწყრომითა მრავლითა და ექცა ფერი პირისა მისისა და განიზრახვიდა მრავალთა ბოროტთა დამხობად ქრისტიანობისა“[4]. ამ ცნობებში თვითონ მომხდარი ფაქტის

1. ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო, კრებული – ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ. 99.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 335.

3. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები, გვ. 93.

4. იქვე.

შესახებ კომენტარის გარდა, არაფერია ნათქვამი — ასევე უცნობია მისი გამომწვევი მიზეზები.

შედარებით მეტი ცნობებია დაცული ჯუანშერთან და მახ. ქგემოთ დაწვრილებით შევეხებით.

პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მეცნიერული კვლევის მეთოდების სრული მომარჯვებითა და იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზით სცადა, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი იყო. დიდი მეცნიერის აზრით, 451 წლის მსოფლიო კრების შემდგომ ქრისტიანობაში ატეხილი დიდი ბრძოლა ერთბუნებიანობისა და ორბუნებიანობის, ანუ მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის, ე. წ. ქალკედონიანობის მომხრეთა შორის თითქოს საქართველოს არ შეხებოდეს, ძნელი დასაჯერებელია[1].

ამის შემდეგ მეცნიერმა იმის გამოკვლევაც სცადა, თუ კონფლიქტში მონაწილე მხარეებიდან, სავარაუდოდ, ვის რომელი მიმდინარეობა უნდა დაეცვა. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ სწორედ ვახტანგი უნდა ყოფილიყო საქართველოში მონოფიზიტობის მომხრე, ხოლო ვინაიდან ამ შემთხვევაში მთავარეპისკოპოს მიქაელისათვის დიოფიზიტობის დამცველის ადგილი რჩებოდა, თავისთავად ცხადია, მეცნიერმა იგი ასეთადაც წარმოიდგინა. დაპირისპირებაც იმდროინდელი საქართველოს ამ ორ დიდ მოღვაწეს შორის ამ ნიადაგზე ახსნა. მაშასადამე, კონფლიქტი მრწამსის საფუძველზე ყოფილა აღმოცენებული, რასაც ივ. ჯავახიშვილი მისთვის ჩვეული სიდარბაისლით ამტკიცებდა.

მეორე დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ს. ჯანაშიამ არ გაიზიარა ივ. ჯავახიშვილის ეს შეხედულება, მანაც კონფლიქტის მიზეზი სარწმუნოებრივი მრწამსის საფუძველზე სცადა აეხსნა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ვახტანგ გორგასალი — დიოფიზიტად, ხოლო მიქაელი — მონოფიზიტად გამოაცხადა[2].

ამ საკითხს შეეხო ისტორიკოსი ლ. ჯანაშიაც. მეცნიერი იძულებული შეიქმნა, განეცხადებინა: „უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის

---

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 310.
2. ს. ჯანაშია, შრომები, I თბ., 1949, გვ. 293.

გადაწყვეტა ჯერჯერობით ცნობების სიმცირის გამო ვერ ხერხდება"[1].

სამაგიეროდ, მკვლევარმა ზ. ალექსიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ არავითარი საფუძველი არ გვაქვს მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტი მრწამსის დაპირისპირებით აიხსნასო. იგი წერს: "ჩვენ არ გვაქვს არც ერთი ისეთი ცნობა, რომელიც მხარს დაუჭერდა ვახტანგ გორგასალის მიქაელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტის დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის ბრძოლით ახსნას. უფრო მეტიც, ქრისტიანობის შიგნით მიმდინარე სექტანტურ პოლემიკას არავითარი კვალი არ დაუტოვებია ამ ხანის თანადროულ ერთადერთ და უმნიშვნელოვანეს ძეგლზე — „შუშანიკის მარტვილობა". ამ ძეგლის სრული ნეიტრალობა აღნიშნული ბრძოლის მიმართ ჩვენ ირიბი მითითება გვგონია იმაზე, რომ V ს-ის მეორე ნახევრის ქართლში შიდა ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არა ყოფილა"[2].

მაშასადამე, თუკი ქრისტიანული დოგმატიკის საკითხები საკამათო არ ყოფილა, ხოლო კონფლიქტს ადგილი მაინც ჰქონდა, რამდენადაც ამის შესახებ ასე ერთხმად ლაპარაკობენ ქართული ისტორიული წყაროები, თავისთავად ცხადია, სხვა ახსნა უნდა მოეძებნოს მეფე-მთავარეპისკოპოსს შორის დაპირისპირებას. ზ. ალექსიძე თავის წერილში ამ საკითხსაც შეეხო, ამიტომ ჩვენ აქ ვრცლად მოვიტანთ ამონაწერს მისი მსჯელობიდან: „ამრიგად ჯუანშერის მიხედვით, არავითარი წინააღმდეგობა მეფესა და ეპისკოპოსს შორის მრწამსის საკითხებში არა ყოფილა (პრინციპულად განსხვავებულს ამ საკითხთან დაკავშირებით არც „მოქცევაჲ ქართლისაჲ" იძლევა), ჯუანშერი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კონფლიქტი გამოიწვია მიქაელში შურის გრძნობამ, კათალიკოსის მოყვანის განზრახვა რომ შეიტყო. ვფიქრობთ, ჯუანშერის მოტივი ფსიქოლოგიურად სავსებით გამართლებული და საკმარისია. სხვა მიზეზების ძებნა ჩვენს ინტიმური მომენტებით ისედაც ღარიბ ისტორიას უფრო გააღარიბებს. ამრიგად, შურისძიების გრძნობით კონფლიქტის ახსნა მისაღები უნდა იყოს, მაგრამ როგორ დაიბადა თვითონ ეს შური? რატომ მოისურვა მეფემ „სარწმუნო" და „ჭეშმარიტი" ეპისკოპოსის შეცვლა ტახტზე? ვფიქრობთ, ამის ასახსნელადაც მოეპოვება ჯუანშერს საკმარისი

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, გვ. 97.
2. ზ. ალექსიძე, მითითებული ნაშრომი, გვ. 107.

მინიშნება: ვახტანგმა ხომ ეპისკოპოსს „ვერცხლის მოყუარე“ და „ქრისტეს მეგუადრუცე“ უწოდა. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა ბრალსა სდებს ჯუანშერი მიქაელს. ქრისტეს მეგუადრუცე იუდა ისკარიოტელი იყო. მას ებარებოდა ის ჩანთა („გუადრუცი“), რომელშიც ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად ფულს ინახავდა გლახაკთათვის დასარიგებლად... შემდგომში იგივე დანიშნულება მიიღო საეკლესიო სალარომ (ყულაბამ). მაგრამ იუდა „მპარავი“ იყო და ფულს ითვისებდა. ამრიგად, ვახტანგ გორგასალი ქართლის ეპისკოპოსს საეკლესიო ქონების მითვისებას სდებს ბრალად“[1]. მაშასადამე, ზ. ალექსიძის აზრით, კონფლიქტის მიზეზი ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის ამ უკანასკნელის მიერ საეკლესიო ქონების მითვისება ყოფილა, თორემ ვახტანგ გორგასალს, ჩანს, სხვა არაფერი ხელმოსაკიდებელი საბუთი არ ჰქონია და მიქაელ მთავარეპისკოპოსის კათალიკოსად კურთხევას წინ არაფერი დაუდგებოდა. თავისი აზრის დასასაბუთებლად, მეცნიერი მხოლოდ ჯუანშერს ეყრდნობა, რომელიც, როგორც ცნობილია, სულაც არ სარგებლობს ფაქტების უტყუარი მთხრობლის რეპუტაციით, არადა სხვა წყაროებში მიქაელის „ვერცხლის მოყუარეობის“ შესახებ არაფერია ნათქვამი.

ყველაფერი რომ იქით იყოს, თვითონ ჯუანშერი ვარდება წინააღმდეგობაში მიქაელ მთავარეპისკოპოსის პიროვნების შეფასებისას: ჯერ გვაცნობს მას როგორც „ჭეშმარიტ ეპისკოპოსს“, რომელმაც, ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტი გზიდან გადამცდენი, მისი წინამორბედის „უსჯულო და წესის შემშლელი“ მობიდანის ნაწერი წიგნები „ყოვლისა საცთურებისა“ დაწვა. მიქაელს, ჯუანშერის ცნობის მიხედვით, კიდევ ერთი განსაცდელი აურიდებია ქართლისათვის. კერძოდ, როდესაც სპარსთა მეფეს — ბარზაბოდს ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობის სააგიტაციოდ გამოუგზავნია ამ კულტის მსახურნი ბინქარან ეპისკოპოსის მეთაურობით, მაშინ ხელი გამოუღია მიქაელ ეპისკოპოსს, რომელიც „ასწავებდა ყოველთა ქართველთა სჯულსა ჭეშმარიტსა“, და, ჯუანშერის თქმით, იმდენი მოუხერხებია, რომ ქრისტეს სჯულის ერთგულებაში შეუნარჩუნებია „წარჩინებულნი ქართველნი და ერიცა უმრავლესი“. არანაკლები დამსახურება მიქაელს,

1. ზ. ალექსიძე. მითითებული ნაშრომი, გვ. 103.

ჯუანშერის თქმით, მიუძღვის თვით ახალგაზრდა მეფის აღზრდის საკითხშიც. იგი ასწავლიდა „ყოველსა მცნებასა უფლისასა“ და ვახტანგმაც „სიყრმითვე ღღეთა შეიყვარა სჯული ქრისტესი უფროს ყოველთა მეფეთა ქართველთა“[1]. ყოველივე ამის შემდეგ ჯუანშერი გვარწმუნებს ვახტანგის პირით, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსი „ვერცხლის მოყუარე“ და „ქრისტეს მეგუადრუცე“ იყოო. რა თქმა უნდა, ეს დიდი ბრალდებაა და მით უფრო გაუგებარია მიქაელის ამდენი დამსახურების შემდეგ. საიდან უნდა აეღო ასეთი ცნობა ჯუანშერს მიქაელის შესახებ, ძნელი სათქმელია, ან აიღო კი? მაგრამ ერთი კი ნათელია, ჯუანშერს საბუთი სჭირდება, რომ გაამართლოს ვახტანგის გადაწყვეტილება კათალიკოსად ბიზანტიელი პეტრესი და არა მიქაელ მთავარეპისკოპოსის დასმის შესახებ. მით უმეტეს, როგორც ზემოთ ვუთითებდით, მკვლევარ ზ. ალექსიძის აზრით, „არავითარი წინააღმდეგობა მეფესა და ეპისკოპოსს შორის მრწამსის საკითხებში არ ყოფილა“. ასეთ შემთხვევაში ჯუანშერი საკითხის გადაწყვეტის მარტივი გზით წავიდა და ამ კონფლიქტის ასახსნელად შთამომავლობას დაუტოვა მღვდელმთავრის შელახული სახელი „ქრისტეს მეგუადრუცისა“. აქ კი უპრიანია უფრო ღრმად ჩავიხედოთ მიქაელ მთავარეპისკოპოსის პიროვნებაში. ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ ის ძველ ქართულ მწერლობაში გარკვეული მიმართულების კარგად ცნობილ, სახელგანთქმულ და შარავანდედით მოსილ საეკლესიო მოღვაწე პიროვნებად იყო მიჩნეული. მოშურნე დიოფიზიტი ანუ ქალკედონიანი მღვდელმთავარი ყოფილა, რომელიც ყოველგვარ მწვალებლობას თავგამოდებით ებრძოდა და რომელმაც მანიქეველ მობიდან მთავარეპისკოპოსის ყველა ნაწერი შეუბრალებლად გაანადგურა და დაწვა. ის ერთ-ერთ მოქმედ პირად გვევლინება აგრეთვე საპოლემიკო ნაწარმოებში „უწყებაჲ სუბულის ძისა სარგისთჳს“, იხსენიება ამის გარდა ღრტილის საპაექრო კრების აღწერილობაში, რომელსაც ეწოდება „სიტყჳსგება ეფთჳმე გრძელისა სოსთენის მიმართ სომეხთა მოძღურისა“[2]. ამრიგად, ყოვლადშემკულ, განათლებულ მწიგნობარ-მოღვაწედ და რაც მთავარია, ქვეყნის ინტერესების დამცველ პიროვნებად წარმოგვიდგება მიქაელ

1. ქართლის ცხოვრება, წ. I, 1955, გვ. 142-146.
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, გვ. 338.

მთავარეპისკოპოსი, რაც, რა თქმა უნდა, საეჭვოს ხდის იმ ვარაუდს, რომ „ვეცხლისმოყვარეობის“ საბაბით ასეთი მოღვაწის გადაყენება მოენდომებინოს ვახტანგს გართულებულ საგარეო პირობებში და ისიც საქართველოდან შორს, უცხოეთში ლაშქრობისას. სწორედ ირანში გაწვევის შემდეგ უჩნდება ვახტანგს აზრი საქართველოში დიდი ცვლილებების გატარებისა და ის, რომ ეს ცვლილებები ფართოდ ითვალისწინებდა საეკლესიო რეორგანიზაციას, თუნდაც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა. ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ უკვე გავეცანით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდული რედაქციის შინაარსს. რაც შეეხება ჯუანშერს, მისი მტკიცებით, ვახტანგს ადრევე ჰქონდა განზრახული ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია და მის სათავეში კათალიკოსის დაყენება. ამ მიზნის მისაღწევად ვახტანგს კარგი საშუალებაც მიეცა, როდესაც ის ირანელთა ლაშქართან ერთად ბიზანტიაში შეიჭრა. აქ გაცნობია და ძალიან დაახლოებია პეტრე მღვდელსა და სამუელ მონაზონს. ჯუანშერის თქმით, წინასწარმეტყველებაც მიულია, რომ პეტრე მისგან კათალიკოსად უნდა დანიშნულიყო.

როგორც ჯუანშერის თხრობიდან ჩანს, მას არ ასვენებს აზრი იმის შესახებ, თუ რატომ მაინცდამაინც პეტრე ბიზანტიელი აიყვანა ვახტანგმა ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის უფლებებში და არა მიქაელ მთავარეპისკოპოსი. ამიტომ ისტორიკოსი ცდილობს, ამ უხერხულობას ისეთი არგუმენტი მოუძებნოს, რომლის სიმართლეში ეჭვს ძნელად თუ ვინმე შეიტანს. იგი ამტკიცებს, ვახტანგმა წინასწარმეტყველება, რომ პეტრე კათალიკოსი უნდა გამხდარიყო, ძილის დროს, სიზმარში ნახაო. ჯუანშერის თანამედროვენი და მისი შემდგომი თაობები, ვახტანგ გორგასალის სიზმრის საბუთიანობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ კარგა ხანს ეჭვის შეტანას მოერიდებოდნენ, რითაც ჯუანშერმა, მისი აზრით, დამაჯერებელი არგუმენტი მოუძებნა ვახტანგის გადაწყვეტილებას. როგორც ჩანს, ისტორიკოსი ფიქრობს, რომ მხოლოდ მიქაელ მთავარეპისკოპოსის „ვეცხლის მოყვარედ“ გამოცხადება ვერ იქნება ის შეუვალი მიზეზი, რომელიც ვახტანგის საქციელს გაამართლებდა შთამომავლობის თვალში და ამიტომ, დამატებით, წინასწარმეტყველების არგუმენტსაც იშველიებს, მაგრამ დღეს, ალბათ, ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გადაწყვეტა, მხოლოდ მეფის მიერ სიზმარში ნანახზე დაყრდნობით, არ იქნებოდა სწორი.

კვლავ მივყვეთ ჯუანშერის თხრობას. მისი მტკიცებით, როდესაც ვახტანგმა, როგორც იქნა, დაასრულა თავისი ხანგრძლივი ლაშქრობა ირანელთა ლაშქარში და საქართველოსკენ მოიქცა, მან გზიდან კაცი აფრინა ბიზანტიაში, რათა გამოეშვათ პეტრე კათალიკოსად, ხოლო სამოელი – ეპისკოპოსად. ეს ამბავი, როგორც ჩანს, მიქაელსაც შეუტყვია და, ამდენად, სრულიად ბუნებრივია უკმაყოფილების ის რეაქცია, რომელიც მეფის ასეთი გადაწყვეტილების მიმართ მას გამოუჩენია. „დაუმძიმდა მას ზედა, და იწყო რეცა ამბოხებად და მიზეზობად". ამის შემდეგ დაწყებულა მეფესა და მთავარეპისკოპოსს შორის ურთიერთბრალდებების წაყენება, რომელიც იმით დამთავრდა, რომ ეპისკოპოსთან მისული ვახტანგი როცა „გარდაკდა საკედარსა, რათამცა შეემთხვა ფერხთა ეპისკოპოსისათა. და განძრა მან ფერკნი, და მიამთხჯა პირსა მეფისასა ფანდაკითა და შემუსრა კბილნი მისი". ამის შემდეგ განრისხებულ ვახტანგ გორგასალს, ჩანს, უკვე ტახტიდან ჩამოგდებული და დატუსაღებული მიქაელი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან გაუგზავნია, რათა მას გადაეწყვიტა მთავარეპისკოპოსის მომავალი ხვედრი. კონსტანტინოპოლის პატრიარქს, არანაკლებ განრისხებულს, მკაცრად მიუმართავს მიქაელისთვის: „ვინათგან დაითხია სისხლი შენ მიერ ქუეყანასა ზედა, არღარა ღირს ხარ შენ ეპისკოპოსად და კადრებისთჳს მეფისა თანაგაც შენ სიკუდილი"[1].

მიქაელი, მართალია, სიკვდილით არ დაუსჯიათ, როგორც დაემუქრნენ, მაგრამ გადასახლებას მაინც ვერ გადაურჩა. აქ ყურადღებას იქცევს ის გულმოდგინება, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიქაელ მთავარეპისკოპოსის დასჯის საქმეში გამოუჩენია. მას არ უცდია, რომ დაეცვა თავისი თანამოძმე და მეფესთან მისი შემორიგებისათვის მიეღწია. პირიქით, ყოველი გზით ცდილობდა მიქაელის მოშორებასა და საქართველოდან მის გადახვეწას.

აკად. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ: „ქართლის მოქცევის მატიანე მიქაელ მთავარეპისკოპოზის საქციელის მოკლე აღწერით კმაყოფილდება და მის დასაგმობად ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. თუმცა ჯუანშერს მიქაელის საქციელის დახასიათება მოეპოვება, მაგრამ ისიც ამისათვის თვით ვახტანგ გორგასალის სიტყვებისა და პატრიარქის მსჯავრის გადმოცემით კმაყოფილდება. თვითონ ისტო-

1. ქართლის ცხოვრება, გვ. 196-197.

რიკოსს კი მიქაელის საქციელი პირადი პატივმოყვარეობისა და თავმოყვარეობის შელახულობით ნაკარნახევად აქვს წარმოდგენილი"[1]. მაშასადამე, დიდ მეცნიერს შეუმჩნეველი არ დარჩენია ჯუანშერის მტკიცება იმის შესახებ, რომ მიქაელის საქციელს საფუძვლად ედო არა სარწმუნოებრივი მრწამსი, არამედ მისი პირადი პატივმოყვარეობა, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულ საკითხს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ სარწმუნოებრივი დაპირისპირებით ხსნიდა და ამდენად ჯუანშერის ეს, მის მიერვე ასე გამოყოფილი აზრი, მან, ცხადია, არ გაიზიარა და იგი იმის მიზეზად დაასახელა, თითქოს ქართული წყაროები განზრახ ცდილობდნენ მიეჩქმალათ ამ საკითხთან დაკავშირებული ფაქტები. როგორც იგი წერს: „ყველა ქართულ წყაროებს, ვახტანგ მეფის ამ ხანის შესახებ, ცხადად ეტყობათ, რომ მათ გაცილებით მეტი იციან, ვიდრე თავიანთ ნაწერებში მოყვანილი აქვთ. ეტყობა, რომ ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით დუმილს ჰრჩეობენ"[2]. ამას კი ისინი, ივ. ჯავახიშვილის თქმით, იმიტომ სჩადიან, რომ „ასეა თუ ისე, ქართული მამაპაპეული გადმოცემა მიქაელ მთავარეპისკოპოსს ქალკიდონიანობის, ანუ ე. წ. მართლმადიდებლობის ბურჯად სთვლიდა და მას ნეტარსაც კი უწოდებდა. ამ გარემოების გათვალისწინება ადვილად გაგვაგებინებს იმ ლმობიერების მიზეზსაც, რომლითაც ქართველი ისტორიკოსები მიქაელის თავაშვებულ მოქმედებას ეპყრობოდნენ"[3].

თუკი ტენდენციურობა შეიძლება დასწამო ქართულ წყაროებსა და ისტორიკოსებს, ეს სწორედ ჯუანშერის მისამართით ითქმის, ვინაიდან მან მოიტანა ვახტანგის წინასწარმეტყველება პეტრეს კათალიკოსად დასმის შესახებ, მანვე, როდესაც სხვა გამოსავალი ვერ მოძებნა, „ვეცხლისმოყუარება" დასწამა მიქაელ მთავარეპისკოპოსს და იგი იუდას ამოუყენა გვერდში. ამ გზით სურდა ჯუანშერს, აეხსნა ვახტანგის ეს მისთვის გაუგებარი საქციელი, რომლის ძირითად არსს იგი, ეტყობა, ვერ ჩასწვდა. არადა პასუხის გაცემაც აუცილებელი იყო, ვინაიდან სხვა მხრივ იგი ღიად დატოვებდა ვახტანგის მოღვაწეობის ამ ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ეპიზოდს. ამიტომაც ისტორიკოსმა ცდა და მონდომება არ დააკლო, ყველაფერი იღონა, რომ ვახტანგ მეფის გადაწყვეტილებისთვის რაიმე

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 337-338.
2. იქვე გვ. 331.
3. იქვე გვ. 340.

გამართლება მოეძებნა, თუნდაც მეორე, დიდი მოღვაწის ღირსებათა შებღალვის ფასად. ამრიგად, თუკი ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტს საფუძვლად არ ედო სარწმუნოებრივი მრწამსი, ხოლო მტკიცება მრავალი ღირსებით შემკული, უსათუოდ დიდი ავტორიტეტის მქონე მოღვაწე ვახტანგს „ვეცხლისმოყვარეობის" საბაბით ჩამოეშორებინოს – საჭვოდ ჩანს, მაშინ ისმის კითხვა: რა იყო მიზეზი, რომ მიქაელ მთავარეპისკოპოსი ვერ ავიდა ქართლის ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტახტზე? რაში იყო დამნაშავე, რომ მისმა აღზრდილმა მას ზურგი შეაქცია და არჩევანი ვიღაც გადამთიელ პეტრეზე შეაჩერა?

ჩვენი აზრით, მიქაელ მთავარეპისკოპოსი პოლიტიკური გარიგების მსხვერპლი შეიქნა, იმ გარიგებისა, რომელიც, ეტყობა, დაიდო ბიზანტიასა და ქართველთა მეფეს შორის ჯერ კიდევ ბიზანტიაში ლაშქრობის დროს.

როგორც პროფ. მ. ლორთქიფანიძე წერს: „ქართლის მეფემ გააატარა საეკლესიო რეფორმა და იმპერიის ხელისუფლებამ მას ამ საქმეში მხარი დაუჭირა. იმპერიის ხელისუფლება ქართლის მეფეს, პირველ რიგში, იმიტომ უჭერს მხარს, რომ ვახტანგ გორგასალი არის ამ დროის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, რომლის მხარდაჭერას, ბიზანტია-ირანის გართულებული ურთიერთობის პირობებში, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმპერიის პოზიციებისთვის ამიერ-კავკასიაში"[1]. მაგრამ, არა ნაკლებად სჭირდება ბიზანტიის მხარდაჭერა თვითონ ვახტანგ გორგასალსაც, რომელმაც დამოუკიდებლობის დროშა ააფრიალა და ირანის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ემზადება. ამ ბრძოლაში კი ვახტანგს სურს, ზურგს უმაგრებდეს მონოლითური ეკლესია, კათალიკოსით სათავეში, ვინაიდან გამჭრიახ მეფეს კარგად ესმის, რომ მაზდეანური ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სარწმუნოების საკითხს. სწორედ ქრისტიანული ეკლესიის გარშემო დარაზმულ მოსახლეობას შეეძლო მედგარი წინააღმდეგობა გაეწია ირანისთვის. ვახტანგს ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ქართლში კათალიკოსობის შემოღებითა და ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებით, იგი არა მარტო შიგნიდან განამტკიცებდა

1. მ. ლორთქიფანიძე, ქართლი V ს.-ის მეორე ნახევარში, თბ., 1979, გვ. 72.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მას, არამედ საერთაშორისო ავტორიტეტსაც მოუხვეჭდა. „ქართლის მეფის მოთხოვნას, ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, კანონიკური საფუძველი უდავოდ ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საკითხი ვერ დადგებოდა. მაგრამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ამაზე თანხმობას იმიტომ აცხადებდა, რომ იძულებული იყო, ანგარიში გაეწია ქართლის სამეფოსათვის"[1].

ამრიგად, ჩანს, რომ ვახტანგ მეფის თხოვნაზე, ქართლის ეკლესიის სათავეში კათალიკოსი დაესვათ, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა და პატრიარქმაც კი განაცხადეს თანხმობა, მაგრამ პირობაც მოაყოლეს, რომ ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუკი ვახტანგი დათანხმდებოდა კათალიკოსად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ წამოყენებული ბიზანტიელი სასულიერო პირი ეცნო. აქ კი ქართლის მეფე უსათუოდ დადგებოდა დილემის წინაშე. და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, მეფე იძულებული გამხდარა დიდი პოლიტიკისათვის შეეწირა მიქაელ მთავარეპისკოპოსი და საქართველოს პირველ კათალიკოსად კონსანტინოპოლის მიერ შემოთავაზებული და ნაკურთხი პეტრე დაესვა[2].

---

1. მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 73.

2. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მტკიცებით, ვახტანგს არა მარტო მიქაელი გაუგზავნია კონსტანტინოპოლს დასასჯელად, არამედ აქედანვე ელის პატრიარქის მიერ ნაკურთხ მღვდელმთავრებს, მათ შორის ჩვენთვის უკვე ნაცნობ პეტრესა და სამოელ მონაზონს, და კიდევ 12 ეპისკოპოსს. ამრიგად სულ 14 სასულიერო პირს, რომელთაგან პეტრე კათალიკოსად დასვეს, სამოელი – მცხეთის ეპისკოპოსად, ხოლო დანარჩენები შემდეგი თანმიმდევრობით გაუნაწილებიათ: „ერთი ეპისკოპოსად – კლარჯეთის, ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს-ერუშეთს; ერთი ჯავახეთს-წუნდას; ერთი მანგლისს; ერთი ბოლნისს; ერთი რუსთავს; ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა, ერთი ჭერემს, მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომე არს ხუნანას გამართებით.

შემდგომად მისსა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუცა ეპისკოპოსი" (ქართლის ცხოვრება, გვ. 198-199). ის, რომ მიქაელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი სჯის, ჯუანშერისთვისაც ცნობილია და მას თვითონაც იმეორებს, მაგრამ უძველესი ქართული წყაროს – „მოქცევაჲ ქართლისაჲსაგან" განსხვავებით, რომელიც ქართლის ეკლესიისათვის შერჩეულ მღვდელმთავართა ხელდასხმის ცერემონიას აქვე, კონსტანტინოპოლში

ამრიგად, მიქაელ მთავარეპისკოპოსის მთელი დანაშაული ის იყო, რომ იგი დახვეწილი და შორსმჭვრეტელი ბიზანტიის დიპლომატიის ჩარჩოებში ვერ მოთავსდა და მისთვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. თვითონ ის ფაქტი, რომ ვახტანგი, როგორც გვარწმუნებენ წყაროები, ფეხებში უვარდება მთავარეპისკოპოსს, იმას ხომ არ უნდა მიანიშნებდეს, რომ მეფე თავს ერთგვარად დამნაშავედ გრძნობდა თავისი აღმზრდელის წინაშე და მისგან ითხოვდა პატიებას.

ასეა თუ ისე, საქართველომ მიიღო მღვდელმთავარი, რომელიც ახლა კათალიკოსის სასულიერო წოდებით იყო აღჭურვილი. მაგრამ ნიშნავდა კი ეს იმას, რომ ქართული ეკლესია განთავისუფლდა უცხო ეკლესიის გავლენისაგან და მან მიიღო ავტოკეფალია? აქ აზრი ორად არის გაყოფილი. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანთა შორის „კათალიკოსი" დამოუკიდებელი ეკლესიის მთავარი ეპისკოპოსისა და საჭეთმპყრობლის აღმნიშვნელი წოდებულება იყო. ასე ესმოდათ და

გადაწყვეტილად წარმოგვიდგენს, ჯუანშერი გვარწმუნებს, რომ აღნიშნული პირები საბოლოოდ დასამტკიცებლად იმპერატორსა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს თითქოს ანტიოქიას გაეგზავნოთ და თან იმ წერილის შინაარსიც მოჰყავს, რომელიც ვითომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს თავისი მოქმედების ასახსნელად ანტიოქიის პატრიარქისათვის გაუგზავნია. აი ისიც: „პირველად, დასაბამსა ქართლის მოქცევისასა დედაკაცისა ჰრომაელისა ნინოს მიერ, განივლინა აქათ ეპისკოპოსი, რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისაებრ სჯულისა: რამეთუ ჩუენ უწყით, ვითარმედ ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის წმინდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა. (ქართლის ცხოვრება გვ. 197) ჯუანშერს სურს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ თითქოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი აღიარებდეს ანტიოქიის უპირატესობასა და უწინარესობასაც, რაც ძალიან საეჭვოდ მიაჩნდა ივ. ჯავახიშვილს.

როგორც პროფ. მარიამ ლორთქიფანიძე წერს: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი სადავო პრობლემა იჩენს თავს: ქართული ეკლესიის სტრუქტურის, მისი იერარქიის და სხვა საკითხები" (მ. ლორთქიფანიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 73). ერთი სიტყვით, რაიმეს გადაწყვეტილად თქმა, ჯერჯერობით, არ ხერხდება, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ უძველესი ქართული წყარო ანტიოქიას არსად არ იხსენიებს და ყველაფერი კონსტანტინოპოლში გადაწყვეტილად მიაჩნია.

ასეთი მნიშვნელობით ხმარობდნენ მაგ. ასურთა ეკლესიაში. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ ტერმინს სომხურში და ქართულშიაც. მაშასადამე, ვახტანგ გორგასალისაგან საქართველოში კათალიკოსობის დაწესება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაწესებად უნდა ვიგულისხმოთ"[1]. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის ამ მოსაზრებას კატეგორიულად წინ აღუდგა კ. კეკელიძე. მისი აზრით: „ამნაირად, თუ იბერიის ეკლესიის თავს „კათალიკოზი" დაერქვა, არა იმიტომ, რომ ის იერარქიულად განთავისუფლდა უცხო ეკლესიაზე დამოკიდებულებისაგან, არამედ იმიტომ, რომ რამდენიმე ეპისკოპოსთა შორის იბერიაში ის შეიქმნა უფროსი, პირველი ეპისკოპოზი, „საზოგადო", საერთო ხელმძღვანელი ყველა დანარჩენისა. ამ ტიტულის შემოღება იყო შედეგი იბერიის ეპარქიებად დაყოფისა და რამოდენიმე საეპისკოპოსო კათედრის დაწესებისა და არა მისი უცხო ეკლესიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა"[2].

მკვლევარი ა. ბოგვერაძე, რომელიც ამ საკითხში მთლიანად იზიარებს კ. კეკელიძის შეხედულებას, თავის მხრივ უმატებს: „თვით ის ფაქტი, რომ კათალიკოსად და ეპისკოპოსებად დასანიშნი კანდიდატები კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ ყოფილა გამოძებნილი და კურთხეული, ამის მაჩვენებელია"[3].

ისტორიკოსმა ნ. ლომოურმა, წყაროთა ფართო სპექტრის წარმოდგენითა და მათი სათანადო კრიტიკული გადამუშავებით, სცადა გაეცა პასუხი ჩვენთვის ამ საინტერესო საკითხისათვის. მეცნიერს არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, რომ მოტანილი ცნობებით ისე ჩანს, თითქოს ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ორჯერ დასმულა: პირველად – VII საუკუნის 80-იან წლებში და ამ დროს კონსტანტინოპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებაზე იგი დადებითად გადაწყვეტილა და მეორედ – VIII საუკუნის 40-50-იან წლებში, როდესაც ანტიოქიის საეკლესიო კრებას მიუცია ქართლის კათალიკოსისათვის დამოუკიდებლობა. ნ. ლომოურის აზრით, ერთადერთი, რაც შეიძლება ვივარაუდოთ, ისაა, რომ რაღაც მიზეზით, ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მსოფლიო მართლმა-

---

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I. გვ. 343-344.
2. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 1957, გვ. 336.
3. ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII ს.-ში, თბ., 1979. გვ. 51.

დიდებელი ეკლესიის წინაშე რამდენჯერმე დასმულა. მეცნიერი ფიქრობს, რომ შესაძლოა ანტიოქიის პატრიარქები შემდგომში ცდილობდნენ კვლავ დაექვემდებარებინათ ქართლის ეკლესია[1]. თუმცა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ „არასოდეს ანტიოქიის საპატრიარქოს არ მოუნდომებია ეცადა, ჩამოერთვა ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფელია, არანაირი დამამტკიცებელი სიგელი ანტიოქიის პატრიარქს საქართველოს კათალიკოსისათვის არ წარუდგენია“[2].

ნ. ლომოური მიიჩნევს, რომ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია – V საუკუნის 70-80-იან წლებში ქართლის ეკლესიამ მოიპოვა დამოუკიდებელი ეკლესიის სტატუსი, იგი გაფორმდა როგორც სრულუფლებიანი ავტოკეფალიური ეკლესია, საკუთარი საეკლესიო კრებით (12 ეპისკოპოსი), ეპისკოპოსთა ხელდასხმის შეუვალი უფლებით, დამოუკიდებელი საჭეთმპყრობლით, რომელიც კათალიკოსის ტიტულს ატარებდა[3]; ხოლო ცნობებში, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი რამდენიმეჯერ დაისვა, მეცნიერის აზრით, შესაძლოა, აისახა ქართლის ეკლესიის მიერ სრული დამოუკიდებლობის მოპოვების სხვადასხვა ეტაპები[4]. არადა ასეთი ეტაპი ეტყობა მართლაც იყო, ვინაიდან ისტორიული წყაროები ასეთზე აშკარად მიუთითებს.

ეს ორი განსხვავებული შეხედულება, ცხადია, დიდ ინტერესს იწვევს და მისი გადაწყვეტა ქართველი ისტორიკოსებისაგან დამატებით კვლევასაც საჭიროებს. მაგრამ ერთი კი უნდა აღინიშნოს: თვითონ ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ „VI ს-ის მეორე ნახევრამდე... კათალიკოსები ისევ საბერძნეთიდან მოჰყავდათ“[5], ხოლო როდესაც ეს ტრადიცია დარღვეულა, ჯუანშერი, ეტყობა გახარებული, საზეიმო ტონით გვაუწყებს: „აქეთგან აღარა მოიყვანებდეს კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს წარჩინებულთა ნათესავნიო“.

---

1. ნ. ლომოური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989, გვ. 58-59.
2. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ. გვ. 57.
3. ნ. ლომოური, დასახ. ნაშრ. გვ. 53.
4. ნ. ლომოური, იქვე გვ. 53.
5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1. გვ. 343.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ თითქმის ათასი წლის შემდეგ[1] იქნებ მიქაელ მთავარეპისკოპოსს მოვაშოროთ დაუმსახურებელი სახელი „ვეცხლის მოყვარისა" და ქრისტეს „მეგუადრუცისა" და თუ პატრიოტი კაცის სახელს ვერ გავიმეტებთ, საქართველოში უცხო გავლენის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის მასაც თავისი კუთვნილი მივუზღოთ.

მაშასადამე, ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიას ვახტანგ გორგასალის დროიდან კათალიკოსი ჩაუდგა სათავეში, ეჭვს არ იწვევს და ეს არც არავის გაუხდია საკამათოდ; თუ რამდენად ავტოკეფალიური იყო პირველი კათალიკოსების ხელში საქართველოს ეკლესია – ერთიან აზრამდე შესაძლოა ამ საკითხს კიდევ გარკვეული დრო და ისტორიკოსთა სერიოზული ძალისხმევაც დასჭირდეს. მაგრამ უცილობელია, ის რომ XX ს-ის დასაწყისში ქართველმა ისტორიკოსებმა იმპერიის სასულიერო იერარქიას, წმინდა სინოდით სათავეში, სწორედ ქართული ეკლესიის ადრეული ავტოკეფალიური უფლებები დაუდეს წინ და საგანგებოდ მოსთხოვეს 1811 წლის ძალმომრეობითი აქტის გაუქმება, რომელიც როგორც ქართველი ისტორიკოსები სამართლიანად ამტკიცებდნენ, ვერანაირად ვერ თავსდებოდა მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის კანონიკური მართვის ჩარჩოებში.

იმპერიის რეაქციის მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მოშლამ, ერის სულიერებას გამოუსწორებელი დაღი დაასვა და საფრთხის ქვეშ დააყენა საერთოდ მისი შემდეგომი არსებობაც კი. ქართველი საზოგადოების მოწინავე შვილებთან ერთად, ქართველი ისტორიკოსებიც ერის კონსოლიდაციის, მისი მორალური ღირსებებისა და თვითმყოფადი სახის შენარჩუნების საქმეში ქართული ეკლესიის როლსა და ფუნქციას საგანგებოდ გამოყოფდნენ და მას ისტორიული წარსულის არაერთი უტყუარი მაგალითით ასაბუთებდნენ.

---

1. ჯუანშერი XI ს-ის ისტორიკოსად არის მიჩნეული, „ვეცხლის მოყვარისა" და „ქრისტეს მეგუადრუცის" სახელიც ხომ სწორედ მან მიაწერა მიქაელ მთავარეპისკოპოსს.

რწმენისა და მომავლის სახელით. ივანე ჯავახიშვილის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იყო ნამდვილი ინტელექტუალური ომი, უპირატესად, საისტორიო მეცნიერებასა და წყაროების მონაცემებზე დაყრდნობით, რომელსაც იმთავითვე დიდი მონდომებითა და მეთოდურობით წარმართავდა მებრძოლი მხარე, რამეთუ თავიდანვე კარგად იყო მიხვედრილი საკითხის არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მნიშვნელობასაც, ამიტომაც ენერგიულად ჩაებნენ მასში პატრიოტულად განწყობილი ქართველი ისტორიკოსები, რომლებმაც საკითხის თეორიული კვლევის გარდა, მის პრაქტიკულ აუცილებლობაზეც გაამახვილეს ყურადღება. ბრძოლა იყო რთული და მკაცრი. ისეთი რეაქციული და კონსერვატიული რეჟიმისაგან, როგორსაც რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის, ეროვნული სახელმწიფოებრივი ინდივიდუალურობისა და დამოუკიდებლობის, თუნდაც ავტონომიური ფორმით დაბრუნებისათვის, რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ და საეკლესიო მოღვაწეთა დაყოლიება, პრაქტიკულად, წარმოუდგენელიც იყო. მაგრამ საკითხის სირთულესა და სიმწვავეს ქართული მხარე, საისტორიო მასალებზე დაყრდნობით, არ შეუშინებია. ამიტომაც ამ ბრძოლამ ეროვნული სახე მიიღო და თავისი მნიშვნელობით უპირველეს ქართულ საკითხად გადაიქცა, რომლის გარშემოც კონცენტრირებულ იქნა კიდეც ერის სულიერი და ინტელექტუალური ძალები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა, თავდაპირველად, პოლიტიკურად აქტიური ქართველი სამღვდელოების მიერ დაიწყო.

ზემოხსენებულ საკითხზე ცალკე უნდა გამოვყოთ, აგრეთვე, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, სარგის კაკაბაძის საგანგებო ნაშრომი-მემუარი „მოგონებები ნ. მარზე", რომელიც ავტორმა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, 1964 წელს, მაშინდელ ლენინგრადში წაიკითხა ნ. მარისადმი მიძღვნილ საიუბილეო-სამეცნიერო სესიაზე[1].

---

1. ნაშრომის ტექსტი დაცულია ს. კაკაბაძის პირად საარქივო ფონდში, განსვენებული მეცნიერის ოჯახში.

ხსენებულ ნაშრომში, ს. კაკაბაძე საგანგებოდ შეეხო ნ. მარის ღვაწლსა და დამსახურებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის გამართულ იდეურ-მეცნიერულ ბრძოლაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ს. კაკაბაძე წერს: 1905 წ. — 1906 წლებში, პირველი რევოლუციის პერიოდში, მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი. ქართველები მიისწრაფოდნენ ავტოკეფალიის აღდგენისათვის ეროვნული მიზნით. რუსეთის იმპერიაში უცხო აღსარების ხალხსაც გააჩნდა უფლება ჰქონოდა სარწმუნოებრივი ავტონომია. ამ მხრივ ქართველები აღმოჩნდნენ გამონაკლისი იმ მიზეზით, რომ ისინი ეკუთვნოდნენ ქრისტიანობის მართლმადიდებლურ ფრთას. მართლმადიდებლობა, რომელმაც თავის დროზე ქართველები მიიყვანა რუსეთთან ნებაყოფლობით შეერთებამდე, XIX ს-ში მათთვის ნამდვილ უბედურებად იქცა, ვინაიდან იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკიდან თავის დაღწევის უკანასკნელი იმედიც გაქრა.

ქართველები კი დაჟინებით მოითხოვდნენ ეროვნული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას და ამ საკითხს მომავლის ბევრ, სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანეს პრობლემას აკავშირებდნენ.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ საკითხი მაშინ განსახილველად სრულიად რუსეთის „პრედსობორნოე პრისუტსვიეს" გადაეცა, სადაც ექსპერტად მიწვეულ იქნა ნ. მარი, რომელიც ღრმაშინაარსიანი და მრავალფეროვანი არგუმენტებით შეჯერებული მოხსენებით გამოვიდა. ნ. მარი, როგორც მისი თანამედროვენი იხსენებენ, ჩვეული მგზნებარებით იცავდა ქართველებისათვის საეკლესიო დამოუკიდებლობის აღდგენის უფლებას. მაგრამ იმპერიის, როგორც სასულიერო, ისე საერო იერარქია, მართალია განხილვის იმიტაციას კი ქმნიდა, თუმცა ამის იქით საკითხის დაძვრა არ სურდა. ორი წლის შემდეგ ნ. მარი იხსენებდა ნიკოლოზ II-ის მიერ ნათქვამ სიტყვებს, რომ იგი მართლმადიდებელი ხელმწიფეა და არ შეუძლია ერთდროულად იყოს ძე ორი დედისა, ესე იგი რუსული და ქართული დამოუკიდებელი ეკლესიისა, მაგრამ გაკვირვებული დასძენდა ნ. მარი — „ხომ იყვნენ ბიზანტიის იმპერატორები ერთდროულად ძეებად ოთხი — კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიის და ალექსანდრიის პატრიარქებისა". როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი ეს მცდელობა ჩავარდა. საქართველოს ეკლესიამ ნანატრი ავტოკეფალია ვერ დაიბრუნა, მაგრამ ამით ქართველ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილი – 1876-1940

ისტორიკოსებს ფარხმალი არ დაუყრიათ. პირიქით — შემდგომში მათმა გააზრებულმა და ღრმად მეცნიერულმა შრომებმა ავტოკეფალიის სასარგებლოდ, არანაირი არგუმენტირება არ დაუტოვა რუსულ სინოდს, გარდა შიშველი ძალისა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საკითხის იდეურ-ისტორიოგრაფიული გააზრება საქართველოში დამოუკიდებელ პრობლემად XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იქცა. მას შემდეგ, რაც საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და ცნობიერებაში კარგა ხნის წინ დაისვა და შემდგომ დაიხვეწა კიდეც პოლიტიკური ავტონომიის ცნება, რასაც ჯერ კიდევ ქართველი თერგდალეულები ენერგიულად ნერგავდნენ ჩვენს მოსახლეობაში, ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი შრომა გასწიეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა, ილია ჭავჭავაძემ და მისმა თვალსაჩინო თანამოაზრეებმა: ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა და სხვებმა.

ცნობილია, მაგალითად, ი. ჭავჭავაძის შინაარსიანი პუბლიცისტური წერილები ჰომრულისათვის და ირლანდიელი ხალხისადმი ქართველების დიდი თანაგრძნობა, რასაც თან ახლდა ჩვენი ხალხის საზოგადოებრივი-პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართო მსჯელობა ავტონომიასა და მის სიავკარგეზე, რომელსაც თერგდალეულები გამიზნულად წარმართავდნენ საკუთარი ერის პოლიტიკური აღზრდისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის შემზადების მიზნით.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის საჭიროება, როგორც ეროვნული პრობლემა, პირველად პუბლიცისტიკაში ნათლად გამოიკვეთა იმ ცნობილ კამათში, რომელიც თერგდალეულთა ვეტერანებმა, კერძოდ, ი. გოგებაშვილმა გააჩაღა იმ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართველ ისტორიკოსთან, შემდგომში უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელთან, ივ. ჯავახიშვილთან. საკითხი ეხებოდა წმინდა ნინოსა და ანდრია მოციქულის როლისა და დამსახურების შეფასების პრობლემას, ძველ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და ამ საქმეში მათი დამსახურების გააზრებას.

ტრადიციულად, ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა ქართულმა საეკლესიო ისტორიოგრაფიამ, იმთავითვე შეიმუშავა და დაამკვიდრა შეხედულება, რომ ძველ საქართველოში ქრისტიანობა

იქადაგეს და გაავრცელეს ანდრია მოციქულმა და მოგვიანებით კი, ნინო კაბადოკიელმა, რომელიც, კანონიკური გაგებით, მოციქულთა სწორად იქნა მიჩნეული და ჩვენში — დაკანონებულიც კი.

ქართველ სასულიერო მოღვაწეთა აზრით, ჩვენი ეკლესიის განსაკუთრებულ და პატივსაცემ ადგილს ქრისტიანულ ეკლესიათა ოჯახში — სწორედ ის განაპირობებდა, რომ ქართველებმა იმთავითვე ნათელ იღეს იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფის, მოციქულ ანდრიას ხელით, ხოლო ეროვნული ეკლესიის დაფუძნებაში მთავარი როლი შეასრულა მოციქულთა სწორმა — ნინო კაბადოკიელმა.

ამ კონცეფციას და მის, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, შექმნილ ისტორიოგრაფიულ ქარგას შეუმცდარად მიიჩნევდნენ მომდევნო თაობების ქართველები. მეტიც, მას ტრადიციულად იზიარებდნენ პროფესიული ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები და თანაც ყოველგვარი კორექტივების გარეშე.

სწორედ ამ ძირითადი საეკლესიო სიუჟეტის შესახებ დაწერა თავისი ერთ-ერთი პირველი გამოკვლევა, მომავალში დიდმა ისტორიკოსმა და საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის უთვალსაჩინოესმა მოღვაწემ, ივ. ჯავახიშვილმა. ეს იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის დამამთავრებელ კურსზე სადიპლომო ნაშრომად წარმოდგენილი მისი კრიტიკული გამოკვლევა სათაურით: „ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში"[1]. მალე ეს ნაშრომი გამოქვეყნდა საქართველოსა და რუსეთში, რამაც შეიძლება ვთქვათ, დენთის კასრის აფეთქების შთაბეჭდილება მოახდინა მაშინდელ ქართველ საზოგადოებაში.

ივ. ჯავახიშვილი კრიტიკულად აანალიზებდა ზემოხსენებულ კონცეფციებს და მეთოდურად ასაბუთებდა, რომ სანდო არ უნდა იყოს წყაროები, რომლებსაც ეყრდნობოდა შეხედულებები წმინდა ნინოსა და, მასზე უადრეს, ანდრია მოციქულის მოღვაწეობაზე ძველ საქართველოში.

ზემოალნიშნულ გამოკვლევაში მთელი სიღრმით გამოჩნდა ივ. ჯავახიშვილის, როგორც ისტორიკოსის მაღალი ობიექტური განწყობილება, რომელიც არ ცნობდა არანაირ დებულებას — წყაროების

---

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, 1998, გვ. 25-52.

ილია ჭავჭავაძე – 1837-1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკობ გოგებაშვილი – 1840-1912

წინასწარი კრიტიკული განხილვისა და ჭეშმარიტების დადგენის გარეშე.

ივ. ჯავახიშვილი ილაშქრებს იმათი მოსაზრების წინააღმდეგ, ვინც ანდრია მოციქულს ძველი ქართველების განმანათლებლად მიიჩნევდა. ასევე უარყოფდა იგი ტრადიციულ გაგებას წმინდა ნინოს მოღვაწეობაზე, რადგანაც ახალგაზრდა მეცნიერს, შუა საუკუნეების საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიერ შექმნილი ეს პერსონაჟები, ხელოვნურად მოგონილ პერსონაჟებად მიაჩნდა, რომელთაც XI საუკუნემდე ქართული საეკლესიო წრეები არც კი იცნობდნენ და ცხადია, არ იცნობდნენ არც მათ მოღვაწეობას[1].

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მდგომარეობა შეიცვალა XI ს-ის 60-იანი წლებიდან, როდესაც ბიზანტიის დიდმპყრობელური წრეების მიერ საქართველოს მიმართ ექსპანსიის გაძლიერებას საქართველოს ეკელსიის ავტოკეფალიის ხელყოფის ცდაც მოყვა. რომლის წინააღმდეგაც გამოვიდა კიდეც გიორგი მთაწმინდელი. მან ძველი წერილობითი წყაროებიდან მოიტანა ფართო წრეებისათვის ჯერ კიდევ უცნობი მასალა იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის განმანათლებლები იყვნენ ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი. ცხადია, დაასკვნიდა ივ. ჯავახიშვილი, რომ შეუძლებელია ისტორიულ ჭეშმარიტებად იქნეს მიჩნეული წარსულის საისტორიო ფაქტები, რომელთა შესახებაც ჩვენ, მოვლენათა ევოლუციური მიდგომის ფონზე, პირველად ვგებულობთ პოლიტიკურ-კონფესიური დავის პირობებში შექმნილი ისტორიული წყაროებიდან. ჭეშმარიტება ყოველგვარ ეროვნულობაზე მაღლა უნდა იდგეს, ამტკიცებდა იგი.

ივ. ჯავახიშვილმა საკმაო საყვედურები გამოიწვია ქართველ საზოგადოებაშიც, რომლის თავკაცებიც ტრადიციული საისტორიო წარმოდგენებით ცდილობდნენ, დაენახათ ქართული სინამდვილის განსაკუთრებულობა. იმ ვითარებაში, როდესაც ქართული მხარე აპირებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებას, მიიჩნევდნენ, რომ ივ. ჯავახიშვილმა ქართულ ეროვნულ საქმეს გამოაცალა უმნიშვნელოვანესი არგუმენტაცია, რადგანაც რუსეთის კლერიკალურ წრეებში ამ ფაქტს სიამოვნებით ჩაავლებდნენ ხელს და გამოიყენებდნენ მას ქართველების საწინააღმდეგოდ. იგი საზიანოდ მიაჩნდათ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ეს შეხედულება

1. ივ. ჯავახიშვილი, ანდრია პირველწოდებული და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, დასახ, გამოც. გვ. 43-52.

დაუფარავად და ყოველგვარი შელამაზების გარეშე გამოხატა კიდევაც იაკობ გოგებაშვილმა.

ივ. ჯავახიშვილმა მშვიდი, მეცნიერული და მაღალ პუბლიცისტურ დონეზე დაწერილი სტატიებით უპასუხა თავის ოპონენტებს. საინტერესო ნარკვევთა სერიაში საერთო სათაურით — „მამულიშვილობა და მეცნიერება", ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს, გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოირკვიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივი, გონებრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, უეჭველია, იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს, იმიტომ, რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია, უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი"[1].

ახალი ქართული ისტორიოგრაფია თავის დაბადებას სამართლიანად ითვლის ივ. ჯავახიშვილის სამოღვაწეო არენაზე გამოსვლით, როდესაც პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ნ. მარის ხელშეწყობით იწყებს ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს წარსულის ისტორიული წყაროების კრიტიკულ დამუშავებასა და საფუძველს უყრის საქართველოს ისტორიის კრიტიკული გააზრების მეცნიერულ საფუძვლებს[2]. ამავე დროს ივ. ჯავახიშვილი თავად აქტიურად ებმება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში და ამ საკითხის თეორიულ და პოლიტიკურ გააზრებაში.

1905 წელს ფართო გამოხმაურება პოვა ივ. ჯავახიშვილის მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულმა ნაშრომმა პეტერბურგში — „პოლიტიჩესკოე ი სოციალნოე დვიჟენიე ვ გრუზიი", რომელიც, როგორც სპეციალური ნარკვევი, აშკარად პოლემიკური ხასიათისაა და ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, თავისი დროისათვის გაბედულ პასუხს სცემს ყველას, ვინც ავითარებდა აზრს, რომ XX

1. ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904, გვ. 67-68.

2. მ დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა 1898-1912 წლებში, წინასიტყვაობა ივ. ჯავახიშვილის თხზულებათა XII ტომისათვის, გვ. 16.

ს-ის დასაწყისში, რუსეთის პირველი დემოკრატიული რევოლუციის ეპოქაში, ქართველი ხალხის ბრძოლა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, იყო არა ისტორიული მომენტით გამოწვეული მოვლენა, არამედ უშუალო შედეგი ფართო მასების იმ მძიმე სოციალური და ეროვნული მდგომარეობისა, რომელიც ხელოვნურად იქმნებოდა საქართველოში რუსეთის ხელისუფლების მიერ დღიდან მისი რეჟიმის დამყარებისა, XIX ს-ის დასაწყისიდან. ამ მიზეზებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ წამოსწია წინ XIX ს-ის დასაწყისისათვის ცარიზმისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის მიერ გატარებული ისეთი ღონისძიება, როგორიც გახლდათ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება 1811 წელს.

ფართო პუბლიცისტური ჟღერადობით შემკულ თავის ნაშრომში, ივ. ჯავახიშვილი, მთელი რუსეთის იმპერიის მმართველი წრეების გასაგონად, ხმამაღლა აცხადებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაზე[1].

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის ზემოთ ნათქვამის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაში რუსეთის ცარიზმისა და მისი ადმინისტრაციის დადანაშაულება, დაფუძნებული შემოწმებულ ისტორიულ ფაქტებზე, იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ზოგადად ქართული საკითხის პოლიტიკური მეთოდებით მოგვარების არეალში მოექცა და მან ჩვეულებრივ საპროგრამო საკითხებთან ერთად დაიმკვიდრა ადგილი. მსჯელობის თავისუფალი და აშკარად მებრძოლი ფორმა იმთავითვე, სავსებით ცხადია, საწყენად დაურჩათ ცარიზმის პოლიტიკის აპოლოგეტებს საერთოდ და, კერძოდ, საქართველოში, რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ივ. ჯავახიშვილს, ჩამოეცილებინათ იგი საუნივერსიტეტო მოღვაწეობი-

---

1. "16 лет спустя, после присоединения Грузии к Росии, грузины были лишены возможности слушать богослужение в кафедральном соборе столицы Грузии на своём родном языке, на котором в продолжении 1400 неумолкно возносилось горячие молитвы, ни персияне, огнепоклонники и мусульмане, ни арабы, ни монголы язычники, ни турки не делали того, что сделало русское правительство с его христианской православной церковью Грузии" Ив. А. Джавахов. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე. თბ., 1953. გვ. 111.

საგან პეტერბურგში, სადაც იგი როგორც „ინოროდეც“-ი დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, მისცეს საშუალება სრულიად ახალგაზრდა მეცნიერს გამგზავრებულიყო ცნობილ სწავლულებთან პროფესიის გასაღრმავებლად კენიგსბერგსა და ბერლინში, სადაც მას რუსეთიდან მატერიალურად ეხმარებოდა მისი მასწავლებელი და კათედრის გამგე ნიკო მარი[1].

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა ოპოზიციურად განწყობილი ლიბერალური ბურჟუაზია და მისი მოწინავე ნაწილი – ინტელიგენცია, რომელმაც მასების რევოლუციურად დარაზმვისა და ორგანიზების მიზნით დაიწყო თეორიული მუშაობის გაღრმავება. ამ მიზნით პეტერბურგში 1907 წელს გამოდის მონუმენტური გამოცემა – „Политическая энциклопедия“, რომელშიც შეკრებილი და განზოგადებულია ოპოზიციურად მოაზროვნე ნაწილის შეხედულებები დემოკრატიაზე. ენციკლოპედიურ სიტყვარში თავმოყრილია მთელი რიგი მწვავე საკითხებისა, რომლებიც, შეიძლება ითქვას, კონდენსირებული სახით წარმოადგენს მეფისა და ცარიზმის ბიუროკრატიის წინააღმდეგ ოპოზიციურად განწყობილი ძალების შეხედულებებს ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე. ერთი შეხედვით თითქოს უცნაური ჩანს, რომ ძველი თაობის მოაზროვნეებთან ერთად ენციკლოპედიაში გამოჩნდება იმჟამად ახალგაზრდა ავტორი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი, ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც ენციკლოპედიაში განთავსებისათვის მოამზადა სტატია „Автокефалиа грузинской церкви“, სადაც ავტორი არსებითად იმ აზრისაა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უსამართლოდ და უხეშად არის გაუქმებული გასული საუკუნის დასაწყისში ცარიზმის ადმინისტრაციის მიერ. აქვე ივ. ჯავახიშვილი იძლევა მკვეთრად ჩამოყალიბებულ, დასაბუთებულ შეხედულებას საერთოდ ავტოკეფალიის შესახებ და გადმოსცემს ამ საკითხზე თავის ისტორიულ, პოლიტიკურ თუ იურიდიულ თვალსაზრისს.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით გამსჭვალულია თერგდალეულების შეხედულებებით და მათ თავისებურ გაგრძელებასა და ახალ ეტაპს

---

1. ს. ჯორბენაძე. ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 51.

წარმოადგენს, ნათლად აჩვენებს, რომ თერგდალეულთა ეპოქიდანვე საქართველოს ინტელიგენციის სამოქმედო პროგრამაში მთავარ ადგილს იკავებს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის შეგნება, რაც კიდევ ერთ დამატებით არგუმენტს წარმოადგენს ამ ეპოქის ინტელიგენციის მჭიდრო კავშირის საილუსტრაციოდ ილია ჭავჭავაძის გარეშემო დარაზმული თერგდალეულების ირგვლივ.

ივ. ჯავახიშვილი ქართული ეკლესიის ისტორიის სხვა საჭირ-ბოროტო პრობლემებსაც შეეხო და მისთვის ჩვეული დარბაისლური და ღრმად მეცნიერული მსჯელობით ბევრ საკითხს მოეფინა ნათელი.

დიდი მეცნიერის განმარტებით, უძველეს ხანაშივე, ხატმებრძოლური მოძრაობის დამთავრების დროიდან, როგორც ეს მიღებულია, ორთოდოქსიის დამყარების შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებამ და წყობილებამ მიიღო სტერეოტიპული ფორმები და გაიყინა, მაშინ, როცა დასავლეთში მუდმივად მიმდინარეობდა ბრძოლა რელიგიური იდეალებისა და საეკლესიო გარდაქმნებისათვის, კერძოდ:

ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ძველი საქართველოს გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის — გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის ძირითადი ქარგა, კერძოდ კი მისი საქმიანობა ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვრის პოსტზე და წინ წამოწია ამ დიდი მოღვაწის, როგორც ისტორიკოსი წერდა, დემოკრატიული განწყობილებები, რაც არსებითად მიმართული იყო ფეოდალურ წოდებრივი პრინციპის წინააღმდეგ ეკლესიასა და მონასტრებში და მის ნაცვლად უპირატესობა მიანიჭა მონაზვნისა თუ სხვა საეკლესიო იერარქის პირად ჰუმანურ თვისებებს, რაც იმ დროისათვის აშკარა სიახლე იყო და ცხოვრებაში დანერგვაც გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული[1].

გიორგი მთაწმიდელი 1060 წელს ჩამოვიდა საქართველოში, სადაც იმ დროს დიდი ქონებრივი გაჭირვება იყო, ხალხი მასობრივად შიმშილობდა და ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობდა.

სასოწარკვეთილი ადამიანები საკუთარ შვილებს შეძლებულ ადამიანებთან ტოვებდნენ. გიორგი მთაწმიდელი საოცრად განიცდიდა ამ ჭეშმარიტად სახალხო უბედურებას[2].

რაც შეეხება საქართველოს მეფეს ბაგრატ IV-ს (1027-1072), იგი ჩვეულებრივ მაყურებლად რჩებოდა ამ უბედურებისა. ეკლესიაში

---

1. იქვე, ივ. ჯავახიშვილი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII გვ. 88-97.

2. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

გაბატონებული იყო სიმონია, რაც ნიშნავდა დიდი საეკლესიო თანამდებობების გაყიდვას სამეფო ხელისუფლების მიერ.

გიორგი მთაწმიდელი მედგრად ილაშქრებდა ამ სენის წინააღმდეგ და პირადად მეფესაც აშკარად ამხელდა ამ საქმეში მონაწილეობის გამო. ერთი სიტყვით, საქმე ეხებოდა მკვეთრ მოთხოვნას ეკლესიაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვის შესახებ.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, რომელიც ეფუძნება ცნობილი გერმანელი თეოლოგის ჰარნაკის გამოკვლევას, დასავლეთ ევროპაში ამგვარი მოთხოვნილება იქაურ ეკლესიაში მხოლოდ X-XIII სს-ში დაიწყო.

ეკლესიის დემოკრატიზაციის პრინციპი ქართულ ეკლესიაში, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, მხოლოდ მოგვიანებით დაინერგა და განხორციელდა დავით აღმაშენებლის დროიდან რუისურბნისის საეკლესიო კრების მიერ.

გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობა, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, უნდა შეფასდეს, როგორც საეკლესიო რეფორმის მკვეთრი მოთხოვნა და ამ მხრივ ეს იყო პირველი ცდა ქართულ ეკლესიაში დემოკრატიული პრინციპის დანერგვისა.

თავისი ადრინდელი შემოქმედების ამავე ეტაპზე ივ. ჯავახიშვილი დიდი გატაცებით იკვლევს და აქვეყნებს შრომებს ქართული ეკლესიის შინაგანი ცხოვრების ისტორიიდან, რის საფუძველზეც მას სურს საზოგადოებას აჩვენოს, რომ უკვე ადრეული საუკუნეებიდანვე ქართული ეკლესიის წიაღში, ისე როგორც მთლიანად საზოგადოებაში, მიმდინარეობდა იდეური ბრძოლა, რაც შესაბამისად არეკლავდა საზოგადოებრივი ფენების ურთიერთდაპირისპირებასა და წინააღმდეგობას, მაშასადამე, ქართველი საზოგადოება კარგად იცნობდა შინაგან სოციალურ წინააღმდეგობებს, რომელიც დასავლურად განწყობილ ევროპოცენტრისტებს მხოლოდ ევროპის ხალხების წარსულისათვის მიაჩნდათ დამახასიათებლად და რის მიხედვითაც გამოჰქონდათ დასკვნები ამ რეგიონის განვითარების თავისებურებაზე საერთო დემოკრატიული მიმართულებით.

ივ. ჯავახიშვილის ადრეულ ნაწერებსა და სალექციო გამოსვლებში ქართველი ერის სამსახური გააზრებულია, როგორც თანადგომა პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაბეჩავებული ხალხისადმი, რომელსაც ევროპოცენტრისტულად განწყობილი პოლიტიკური აზრი და მისი შესაბამისი ისტორიული მეცნიერება დამცირების ობიექტად

ხდიდა იმის მტკიცებით, რომ აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია იმთავითვე გამოირჩეოდა სრული უძრაობით, რომ ეს ისტორია არ იცნობდა სოციალურ მოძრაობებს და ამდენად გაყინული იყო. თითქოს სულ სხვაგვარი იყო დასავლეთის ხალხების ისტორია, რომელიც თავიდანვე გამოირჩეოდა მძაფრი შინაგანი სოციალური მოძრაობებით, რაც შეიქმნა სოციალური და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პროგრესის მძლავრი იმპულსი დასავლეთში და, პირიქით, უცხო აღმოჩნდა აღმოსავლეთის ხალხების ცხოვრებისათვის, რამაც თითქოს XX საუკუნემდე მიაღწია.

თავის საცდელ ლექციაში პეტერბურგის უნივერსიტეტში ივ. ჯავახიშვილმა ისტორიოგრაფიულად გაარჩია ეს თეზისი და დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა სამომავლოდ გამოკვლეულ იქნეს, საქართველოს ისტორიაში იმთავითვე იყო თუ არა სოციალური და ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული ხალხთა მოძრაობები, როგორც მიმანიშნებელი ქართველი ხალხის ოდითგანვე სოციალური მობილურობისა.

ამ კუთხით ახალგაზრდა მეცნიერმა ჯერ კიდევ 1905 წელს თვალი მიადევნა საისტორიო წყაროებში იმას, თუ ძველ საქართველოში როგორ ჩაისახა და განვითარდა სამეფო ხელისუფლება, რომელსაც ისტორიულად გამუდმებით უწევდა ბრძოლა თვითდამკვიდრებისათვის დიდებულთა და თავადაზნაურთა წინააღმდეგ[1].

ზემოაღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილის ყურადღება იმთავითვე მიიქცია ცნობილმა შინაპოლიტიკურმა ბრძოლამ თამარის ეპოქაში, რაც ჩვენს ისტორიოგრაფიაში ცნობილია ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლის სახელწოდებით. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1184 წ. თამარის ერთმმართველად გახდომის დროისათვის და წერილობითი ნარატიული წყარო ამ საკითხზე, ესაა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება სათაურით „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

ივ. ჯავახიშვილმა თავისი ნარკვევის ძირითადი ნაწილი ააგო ზემოხსენებული ისტორიკოსის იმ ცნობაზე, რომელიც მოგვითხრობს მძაფრ წინააღმდეგობაზე თამარის ხელისუფლებასა და მისი მეჭურჭლეთუხუცესის, ყუთლუ არსლანის დაჯგუფებას შორის, რომელიც მკვლევარის გამოწვლილვითი წყაროთმცოდნეობითი

1. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია, თხზ. ტ. XII, გვ. 205-239.

ანალიზის შედეგად, დასად, XX ს-ის დამდეგის პოლიტიკური ტერმინით, პარტიად იყო დარაზმული. ივ. ჯავახიშვილმა ძველი ისტორიკოსის მონაცემების გამოყენებით თავისებურად აღადგინა ყუთლუელების მოთხოვნები. შეეზღუდათ სამეფო ხელისუფლება მისთვის საკანონმდებლო და სასამართლო უფლებების ჩამორთმევით და მეფისათვის დაეტოვებინათ, მხოლოდ ყუთლუელების მიერ დადგენილი გადაწყვეტილების აღსრულების გზა, რაც ძველი ისტორიკოსის გაგებით, სხვა არაფერი იყო, თუ არა დასაწყისი თამარის მეფობის დასასრულისა, რამაც ცხადია, მეფის გაგულისებაც გამოიწვია, რასაც მოჰყვა ბრძოლის გამწვავება სამეფო ხელისუფლებასა და ყუთლუელებს შორის, ხოლო ურთიერთობა ორ მებრძოლ მხარეს შორის საბოლოოდ დასრულდა დაზავებით და ქვეყანაში მშვიდობის დამყარებითაც.

ივ. ჯავახიშვილმა ვრცლად სცადა, განემარტა ყუთლუელების სოციალური ვინაობა და იგი დაახასიათა, როგორც ძველ საქართველოში არსებული და აქტიურად მოქმედი ჯგუფი პლუტოკრატიისა, ანუ სიმდიდრით გალაღებულებისა, რომელიც მძლავრად ჩაერია ქვეყნის შინაგანი პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობაში, საკანონმდებლო და სხვა სახის იურიდიული უფლებები მოითხოვა და არსებულ მიზანს, გარკვეულად, მიაღწია კიდეც.

ივ. ჯავახიშვილმა შემდგომში ხსენებულ ფაქტს ისტორიულ-შედარებითი ანალოგიც მოუძებნა და იგი იმის მსგავს მოვლენადაც მიიჩნია, რაც მოგვიანებით XIII ს-ის 10-იან წლებისათვის მოხდა ინგლისში. მხედველობაში ჰქონდა 1215 წელს ინგლისში მეფე ჯონ უმიწაწყლოს წინააღმდეგ რაინდებისა და მოქალაქეების მასობრივი გამოსვლა, რაც დასრულდა თავისუფლებათა დიდი ქარტიის მიღებით, რასაც ინგლისელი და, საერთოდ, ლიბერალურად განწყობილი ისტორიკოსები დიდ ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვინაიდან მათი აზრით, ამ ამბით დაიწყო საკონსტუტიციო მოძრაობისა და სისტემის ისტორია ინგლისში. საქართველოშიც, დაასკვნიდა ივ. ჯავახიშვილი, მსგავსი შინაარსის მოვლენა მოხდა და თანაც ინგლისთან შედარებით რამდენიმე ათეული წლით ადრე[1].

ივ. ჯავახიშვილის ადრეული ნაშრომებიდანვე ნათლად ჩანს, რომ დაიწყო ახალი ეტაპი ქართული საისტორიო მეცნიერების

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 238.

განვითარებაში, რამაც შეუწყო ხელი, ქართველი ხალხის მიერ საკუთარი თვითმყოფადობის მეცნიერულად გააზრებული საფუძვლების ჩამოყალიბებას. ივ. ჯავახიშვილის ადრინდელ შემოქმედებაზე იმთავითვე მძლავრი გავლენა იქონია იმ ეპოქის სოციალურ-პოლიტიკურმა პრობლემებმა, რომლებიც მეტ-ნაკლები სიმწვავით იჩენდა თავს ერთი მხრივ, საქართველოში, სადაც ივი გაიზარდა, ხოლო, მეორე მხრივ, პეტერბურგსა და მის აღიარებულ უნივერსიტეტში, სადაც მან მეცნიერული ნათლობა მიიღო.

მე-19-20 სს-ის მიჯნაზე, როცა ივ. ჯავახიშვილი ჯერ კიდევ თბილისში სწავლობდა, თვითმპყრობელური რეაქცია დიდი ენერგიით უტევდა ქართულ კულტურას, რასაც თან სდევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერება.

გიგანტური იმპერიის პოლიტიკურ ცენტრში, პეტერბურგში ჩასულ ჭაბუკს თან ჩაჰვა ფიქრები კოლონიალურ მდგომარეობაში მყოფ სამშობლოზე, რომლის სახელმწიფოებრივ აღორძინებასა და ხალხის ეროვნული შეგნების შემდგომ გამოღვიძებას მან ნიჭი და ენერგია არ დააკლო.

ახალგაზრდა ივანეს შემოქმედებაზე იმთავითვე მძლავრ გავლენას ახდენდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მესვეურის — ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობა და შეხედულებები. სწორედ, ილიასაგან ჰქონდა აღებული ივ. ჯავახიშვილს შეხედულება, რომ ერის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მშობლიური ისტორიის მეცნიერულ დონეზე გააზრებას და მიღებული ცოდნის გამოყენებას პოლიტიკურ ბრძოლაში.

ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ივ. ჯავახიშვილი საკუთარი ნაწერებით აშკარად აქტიური ბრძოლის მომხრე იყო და მკაცრად კიცხავდა მათ, ვინც ცარიზმთან მორიგებით ფიქრობდა ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვასა და გაფრთხილებას.

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის ჩაყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამსახურში ივ. ჯავახიშვილს ფართო სოციოლოგიურ საფუძველზე ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე წინამორბედ ქართველ ისტორიკოსებს. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა და კვლევა ობიექტური პოზიციებიდან ხელს შეუწყობდა

ეროვნულ ბრძოლას. ამიტომ ერის ისტორიაში თანაბრად უნდა გამოკვლეულიყო არა მარტო წარმატების მაუწყებელი ფაქტები, არამედ ისიც, რაც მის წინსვლას აფერხებდა და ამუხრუჭებდა. უამისოდ შელამაზებული ისტორია, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ერის წვრთნის ამოცანას ვერ შეასრულებდა[1].

1. მ. დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა 1898-1921 წლებში, იხ. ივ. ჯავახიშვილის თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XII, გვ. 3.

II თავი
ნიკო მარის მამულიშვილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქართველი მეცნიერის — ნიკო მარის დამსახურება ქართველი ერის ისტორიის შესწავლისა და გამომზეურების საქმეში თავიდანვე იქნა აღიარებული და დაფასებული. ნიკო მარმა თავისი შრომებით, განსაკუთრებით კი ენათმეცნიერული საკითხების შესწავლით, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერის სახელი მოიხვეჭა და უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა სამეცნიერო წრეებში. მის ნააზრევსა და მოცემულ დასკვნებზე ისტორიკოსთა თუ ენათმეცნიერთა არაერთი თაობა აღიზარდა, რომლებმაც თავისი მასწავლებლის სახელი შარავანდედით შემოსეს და ღირსეული ადგილი დაუმკვიდრეს, როგორც ქართულ, ისე საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. საქართველოს ისტორია, კულტურა, ენა, ყოფიერება თუ სულიერი ცხოვრება დიდ მეცნიერს განვითარების ერთიან ჭრილში ჰქონდა მოქცეული და მის ძირითად მიმართულებებში ერთიან საფუძველს დებდა, რომელსაც ქართული ფენომენი ერქვა.

რუსული რეაქციის შეტევას ყოველივე ქართულისადმი და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო ქართული ეკლესიის წინააღმდეგ — ნ. მარი საგანგებოდ გამოეხმაურა და რუსულ საერო და სასულიერო ხელისუფლებას, მათ დაქირავებულ, ე. წ. სწავლულებს, ნათლად დაანახა მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის, როგორც საერთო, ისე ეროვნული მნიშვნელობა და დამსახურება. ნ. მარს ქართული ეკლესია ქართული სულიერებისა და კულტურის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა.

ნ. მარის ნარკვევმა და მისმა პასუხმა ვოსტორგოვის პამფლეტის მიმართ კიდევ ერთხელ ნათელი გახადა, რომ იმპერიის პოლიტიკას კავკასიაში საოცარი უგუნურება ედო საფუძვლად და რომ რუსეთში ძალიან ცუდად ესმოდათ კავკასიის მაჯისცემისა.

საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია რუსეთის რეაქციამ 1811 წელს ძალმომრეობის გზით გააუქმა, რამაც სერიოზული უარყოფითი შედეგები მოუტანა ქართველი ხალხის სულიერებას და მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი ისტორიული განვითარების გზა. ქართული ეკლესიის საფუძვლების მოშლა რუსეთის სასულიერო თუ საერო ხელისუფლების სათავეში მყოფი რეაქციონერების ჩანაფიქით, საშუალებას მისცემდა იმპერიას, მორჩილებაში

ჰყოლოდა ქართველი ხალხი, თანდათან წაეშალა მისი ეროვნული კუთვნილება და მომავლის სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წარმოქმნის შექმნაზე ფიქრისაც კი. ბუნებრივია, რომ ამისათვის სათანადოდ მომზადებული ადამიანები იყო საჭირო, რომლებიც ჯალათის მისიას შეასრულებდნენ და ზნეობის გარეშე ყოველგვარ სისაძაგლეზე მოაწერდნენ ხელს. იმპერიის მთელი იდეოლოგია და სახელმწიფოებრივი მანქანა სწორედ ასეთ ადამიანებს ეყრდნობოდა, რომლებიც შეიძლება ღვთისმსახურის სამოსელში ყოფილიყვნენ, იარაღის გარეშე, მაგრამ უღვთოდ წამლავდნენ დაპყრობილ ერთა სულიერებას, მის წარსულსა და აწმყოს.

XIX-ის მიწურულსა და მე-XX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხის წინააღმდეგ თავისი გამოხდომებით თავი გამოიჩინა რუსმა დეკანოზმა ვოსტორგოვმა, რომელიც ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სასკოლო საქმეს საქართველოს საეგზარქოსოში. უშუალოდ მისი მონაწილეობით განხორციელდა არაერთი ანტიქართული აქტი. მის დროს როგორც სასულიერო, ასევე საერო სასწავლებლებში მკაცრად იდევნებოდა ქართული ენა, პატრიოტულად განწყობილ პედაგოგ-მასწავლებლებს სამუშაოდან ითხოვდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ, სახელმწიფო ენად გამოცხადებულ რუსულს დაჟინებით ნერგავდნენ ეკლესია-მონასტრებში, არაერთ ეკლესიაში საერთოდ აკრძალული იყო ქართულად წირვის ჩატარებაც კი, ხოლო ბევრგან ქართველი სასულიერო პირები საკუთარი რისკისა და თავგამოდების ფასად თუ აბერხებდნენ მრევლთან საეკლესიო მისიამოვალეობის ქართულად შესრულებას. ყველაფერ ამასთან ერთად ქართველი ხალხის სულიერების მოშლას „უეჭველად ხელს უწყობდა სამღვდელო პირების განათლების დაბალი დონეც. ამ დროს სამღვდელოების უმეტესობას ოჯახში მიღებული განათლება ჰქონდა. დუშეთის მაზრის ბლაღოჩინის მარკ ტყემალაძის ცნობით, მისადმი დაქვემდებარებულ მღვდლებში, გარდა ერთისა არავინ იცოდა, თუ როგორ შეედგინა მეტრიკული ჩანაწერები, როგორ ეწარმოებინა შემოსავლის წიგნი"[1], რასაც ცარიზმი სწორედ ვოსტორგოვის მსგავსი მღვდელმსახურებისა თუ ჩინოვნიკების ხელით შეგნებულად ახორციელებდა. აკი ვოსტორგოვმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე რუსი ხალხის ყრილობას მოსკოვში ამაყად მოახსენა: „ყველა იმ

1. მ. ხუციშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები, თბ., 1972, გვ. 59.

ივ. ჯავახიშვილი (მარცხნივ) და ნ. მარი (1902 წ.)

ხალხებს შორის, რომლებიც სახლობენ კავკასიაში, ყველაზე სიმპათიურები არიან თათრები: ეს ყველაზე რჯულშემწყნარებელი ხალხია, ის არ მიილტვის წინ, იმიტომ, რომ არა აქვს თავისი გაზეთი, არ ყავს ინტელიგენცია, არ აქვს ფული მოსყიდვებისა და პროპაგანდისათვის და არც მოსყიდული მწერლობა ყავს"[1] და როგორც ნიკო მარი აღნიშნავს, მის ამ სიტყვებს რუსი ხალხის ყრილობის მონაწილენი მოწონებით შეხვდნენ. ვფიქრობთ, რომ დიდი შეცდომა არ იქნება პარალელის გავლება დღევანდელობასთან და დავრწმუნდებით, რომ რუსი მოღვაწეების საკმაოდ დიდი ნაწილის აზროვნებას ევოლუცია დროისა და გარემოვითარების შეცვლის მიუხედავად, არ განუცდია.

დეკანოზ ვოსტორგოვის აშკარად შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ მკვეთრად დაუპირისპირდა ქართველი საზოგადოება როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც — პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვარჩიოთ ალ. ცაგარელი და ნიკო მარი, რომლებმაც თავაშვებულ რუს დეკანოზ ვოსტორგოვს გამანადგურებელი პასუხი გასცეს.

ქართველ ხალხს მტერი არასოდეს აკლდა, მისმა ერთმა ნაწილმა XIX საუკუნიდან კალმითა და ბინძური ცილისწამებით სცადა ერისათვის ჩირქი მოეცხო და მისი თავმოყვარეობა შეელახა, ვოსტორგოვი ერთ-ერთი პირველი იყო მათ შორის. მან განსაკუთრებულ სამიზნედ საქართველოს ეკლესია გაიხადა და ერთი წუთითაც არ შერცხვენია, რომ უძველეს ქრისტიანულ ეკლესიას, როგორც რუსული ეკლესიის წარმომადგენელი, თათხავდა და ლანძღავდა.

ნიკო მარიც გამოეხმაურა ვოსტორგოვის მტკიცებას იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა ერთგვარი ფანდია პოლიტიკური ავტონომიის მოსაპოვებლად, რომ ქართველ ხალხს ავტოკეფალია არაფერში სჭირდება და, მაშასადამე, იმპერიის „იერარქიაში ეს საკითხი საერთოდ არ უნდა იხილებოდეს". ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ვოსტორგოვის ჭეშმარიტი აზრებისა და სიტყვების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს, როგორც ქართულ სინამდვილეზე, ისე საქართველოს ეკლესიაზე, რომ ქრისტიანული სული უცხოა მისთვის, ის კავკასიის უძველესი ქრისტიანული ერების - ქართველებისა და სომხების

1. ნ. მარი, История Грузии, СПБ, 1906, ст. 6.

დაუძინებელი მტერია. კარგი იქნება თუ დეკანოზი ვოსტორგოვი, — წერს ნ. მარი, — დატოვებს კავკასიას, ვინაიდან იგი არცხვენს რუს ხალხს, საბოლოოდ აფუჭებს რუსულ საქმეს, მისთვის განცალკევება და უდაბნოში ლოცვა ცოდვების მოსანანიებლად ყველაზე- უკეთესი საქმე იქნებოდა, — დასძენს მეცნიერი.

ვოსტორგოვმა მართლაც დატოვა კავკასია და საქართველო, მაგრამ უდაბნოში წასვლა და ლოცვა ნამდვილად არ მოუნდომებია, პირიქით, პეტერბურგში მოკალათდა და ქართველების წინააღმდეგ ცილისწამება ახლა მთელი ძალით იქიდან გააჩაღა, მით უმეტეს, რომ მის მტრულ გამონათქვამებს აქ ხალისით ისმენდნენ და იზიარებდნენ კიდეც.

საკითხის უკეთ გარკვევით და, საერთოდ, რუსეთის საზოგადოების ფართო ნაწილის უკეთ ინფორმირების მიზნით, ქართველი ხალხის უმდიდრესი და ძველი ქრისტიანული კულტურის შესახებ ნ. მარმა დეკანოზ ვოსტორგოვის საწინააღმდეგო კრიტიკულ ნაშრომს დაურთო უაღრესად დიდი მეცნიერული მნიშვნელობის ნარკვევიც სათაურით: История Грузии. Культурно-исторический набросок“, რომელშიც მთელი სიდიადით, აზრის სიღრმითა და ნიჭიერებით გამოჩნდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-საეკლესიო ისტორიის მრავალსაუკუნოვანი სურათი. ნ. მარის ეს ნაშრომი იმთავითვე ქართული ისტორიოგრაფიის ოქროს ფონდში შევიდა და მას მუდამ განსაკუთრებული მოკრძალებით იხსენებდნენ და აფასებდნენ ქართველი ისტორიკოსები. ნაშრომში ნ. მარმა რუს მკითხველს საშუალება მისცა სწორი წარმოდგენა შეექმნა იმ ერის წარსულსა და კულტურულ მონაპოვარზე, რომელსაც რუსული რეაქცია ცალკე ერადაც კი არ მიიჩნევდა, დამახინჯებულად წარმოაჩენდა მის ისტორიას და ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ თუ არა რუსეთი, ქართველებს დამოუკიდებლად არსებობაც კი არ შეეძლოთ.

ამის საპასუხოდ ნ. მარმა წარმოადგინა შესანიშნავი ნარკვევი ერის ისტორიულ-კულტურული განვითარებისა, რომელშიც კომპაქტურად, მაგრამ დეტალურად, იმ დროის ისტორიული აზრის ყველა მიღწევათა გათვალისწინებით, გადმოცემულ იქნა ისტორია ერისა, რომლის ზრდა-განვითარება მართალია მიმდინარეობდა მეზობელი დიდი ერების კულტურულ მიღწევათა გარკვეული გავლენისა და დანერგვის კუთხით, მაგრამ ამავე დროს საკუთარი ხელწერითა და თვითმყოფადობის დამკვიდრების გზით. მრავალი მაგალითი მოჰყავს

ნიკო მარს ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან ქართველთა კულტურული განვითარების საილუსტრაციოდ; სერიოზული ლიტერატურული განათლება, — წერს იგი — მრავალ ენაზე ქართული აღზრდის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო, რაც უცხოელებისათვისაც კარგად იყო ცნობილი. ერთი სპარსი მწერლის სიტყვებით — აღნიშნავს ნიკო მარი — მეფე დიმიტრის, დავითის ვაჟიშვილს, სულთან სინჯართან-მალიქ-შაჰის ვაჟიშვილთან, არაბულ და სირიულ ენებზე ჰქონდა მიმოწერა. ახლა კი, — გულისწყრომას არ მალავს ნ. მარი, — საქართველოს ყოფილი დედაქალაქი აქ უნივერსიტეტის გახსნისათვის ჯერაც მოუმწიფებლად მიაჩნიათ.

პოლიტიკური რუკიდან ბიზანტიის იმპერიის გაქრობის შემდეგაც, როდესაც რადიკალურად შეიცვალა გეოპოლიტიკური სიტუაცია მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაშიც კი, საქართველომ არსებითად, მტრულ გარემოცვაში არა მარტო შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა, რაც თავისთავად ერის სულიერი პოტენციის საოცარ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს, არამედ კულტურული განვითარების ცალკეული ნიშნებიც, რასაც ნიკო მარის თქმით, ერთგვარი ბიძგი მისცა საქართველოს რუსეთთან შეერთებამაც, დაიწყო საქართველოს კულტურული ცხოვრების განახლება, ევროპული ცივილიზაციის ათვისება, რასაც პირველ ხანებში რუსეთის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს. მაგრამ იმპერიის ხელისუფალთა ეს ლოიალობა გარკვეული ფანდი იყო თავისი ზრახვების დასაფარავად და ქართველები სულ მალე აღმოჩნდნენ რეალური სინამდვილის წინაშე. ყულფში მოქცეულებს ახლა თავის თავისუფლად ტრიალის უფლებას არავინ აძლევდა. ნიკო მარი შენიშნავს, რომ ყველაზე უფრო შეგნებული მცირე ნაწილი კარგად ხვდებოდა რუსეთის ხელისუფალთა ნამდვილ ჩანაფიქრს, მაგრამ სხვა გზა უკვე აღარ იყო. საქართველოს კათოლიკოსს — ანტონს უწინასწარმეტყველებია, რომ ერთადერთი ხეირი, რომელსაც საქართველო რუსეთთან შეერთებისას მიიღებს, ის იქნება, რომ მისი შვილები სასულე მუსიკის ჰანგების თანხლებით დაიმარხებიანო. როგორც ნიკო მარი წერს, დაიწყო იმედგაცრუება, რომელსაც მართალია რუსეთის სამსახურში ჩამდგარი და სხვადასხვა პრივილეგიით ცდუნებულ ქართველთა ერთი ნაწილი არც კი იმჩნევდა, მაგრამ ქართულ კულტურასა და ყოფიერებას სერიოზული საფრთხე შეექმნა. „ქართული ენის სისტემატიურმა დევნამ არა მარტო სამინისტროს

სკოლებში, არამედ საეკლესიო-სამრევლო და საერთოდ სასულიერო სკოლებშიც, რა თქმა უნდა ხელი შეუწყო ქართველთა შორის ევროპული კულტურის ათვისებისადმი გონებრივი ინტერესების ხელოვნურად დაქვეითებას. მან უკანასკნელ ზღვრამდე შეამცირა ქართული სამეცნიერო საქმიანობა"[1].

იმპერიის მესვეურთა მიზანიც ეს იყო, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოხსნილიყო, ე. წ. ქართული საკითხი და ამით მთლიანად კავკასიის რუსულ მხარედ გადაქცევის პრობლემა. მიუხედავად ამისა, აღნიშნავს ნიკო მარი — ქართული ენა საუკუნეების წიაღიდან გამოცხადებული მისთვის ჩვეული უნარის მეშვეობით ახერხებდა, ყოფილიყო მძლავრი იარაღი ახალი იდეებისა და სწავლების განხორციელებისათვის. გამოჩენილმა მეცნიერმა ნაშრომში არა მარტო ამომწურავი პასუხი გასცა დეკანოზ ვოსტორგოვის დაუფარავ ანტიქართულ გამონათქვამებს, არამედ წარმოაჩინა ქართველი ხალხის ისტორიული და სულიერი განვითარების უწყვეტი გზა; შეიძლება ითქვას, რომ ნიკო მარის დასახელებული ნაშრომის თითოეული წინადადება — ეს არის ფაქტებისა და აზრის საოცარი სინთეზი, ამ სიღრმითა და გააზრებით წერა მხოლოდ უდიდეს მეცნიერთა ხვედრია.

რუს რეაქციონერ მეცნიერებსა და მწერლებს, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას ქართველების გადარჩენად მიიჩნევდნენ და, ბუნებრივია, ამ აქტში უარყოფითს ვერაფერს ხედავდნენ, ნიკო მარმა დასაბუთებული და ლაკონიური პასუხი გასცა. „საქართველოს ნაციონალური ცხოვრების ძველი და შერყეული სიმაღლიდან ერთმანეთის მიყოლებით მოხსნილ იქნა მესაჭეთა მთელი გუნდი: საქართველოს დინასტია, საქართველოს ეკლესია, საქართველოს დიდებულთა წრე, ხოლო საქართველოს ინტელიგენციას დაუკეტეს ყველა გზა, გარდა ერთისა — გარუსებისა და ეროვნული გადაგვარებისა"[2]. ეს არ იყო ხელისუფლებაზე განაწყენებული, რომელიმე ჟურნალისტის სიტყვები, იგი ეკუთვნოდა გამოჩენილ მეცნიერსა და სწავლულს, მსოფლიო ავტორიტეტის მქონე პიროვნებას, საქართველოს ერთ პატარა სოფელში დაბადებულ კაცს, რომელმაც სწორედ ნიჭიერებითა და განსაკუთრებული მონდომების ფასად შეძლო, რუსული მეცნიერების ელიტაში გასულიყო, მაგრამ მან ყველაზე უკეთ იცოდა, რომ ეს გზა ია-ვარდით მოფენილი არ იყო

1. ნ. მარი, დასახ. ნაშრ. გვ. 46.
2. იქვე, გვ. 48.

და მხოლოდ დაპყრობილ ხალხთა წიაღიდან გამოსულ გონებით მოკაშკაშე ვარსკვლავებს შეეძლოთ იმპერიული არტახების დაძლევა და შემდგომ საკუთარი ხალხის გასაჭირსა და უბედურებაზე ხმამაღლა ლაპარაკი.

ნიკო მარი საგანგებოდ შეეხო ვოსტორგოვის მტკიცებას იმის შესახებ, ვითომ ქართველებს თავისი ეკლესიის ავტოკეფალია იმიტომ გაახსენდათ, რომ ამით შეენიღბათ თავიანთი პოლიტიკური ამბიციები. პოლიტიკურ ავტონომიას, — შენიშნავს მეცნიერი, — ქართველები ყოველგვარი შენიღბვისა და მიჩქმალვის გარეშე ითხოვდნენ და ამას არავინ უკავშირებს ეკლესიის ავტოკეფალიას. ნიკო მარს არც იმისი აღნიშვნა ავიწყდება, რომ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნაში ქართველები ერთიან აზრზე არ იდგნენ, ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატებს აქ განსხვავებული პოზიცია ეკავათ, საქართველოს მოწინავე ინტელიგენცია აშკარად გრძნობდა, რომ ელემენტარული თვითმართველობის გარეშე, რომლის დაშვებაც კი იმპერიის მესვეურთ კატასტროფად მიაჩნდათ, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. ნიკო მარმა აჩვენა რუს მკითხველს, რომ შინაგანი მოთხოვნილება დამოუკიდებლობისა ქართველ ერში არასოდეს მომკვდარა, რაც რუსული მმართველი აზრისათვის XIX ს-ის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში, შეიძლება ითქვას, ძნელი გასაგებიც იყო. რუსს ამ დროისათვის დავიწყებული ჰქონდა მონგოლთა ბატონობის ხანა და მის ფსიქიკაში სიტყვა დამოუკიდებლობა ერის ფუნქციონალურ ინტერესებთან არ იგივდებოდა. მოგნოლთა ბატონობის შემდეგ რუსეთი თვითონ შეიქნა უდიდესი დამპყრობელი და ჩუდის ტბის გარშემო წარმოქმნილი ერთი პატარა, სლავური ქვეყანა სწორედ ამ დაპყრობათა წყალობით იაპონიის კუნძულებამდე გაიჭრა, რომლის დროსაც ათეულობით ხალხი თუ ერი იმპერიის მარწუხებში მოექცა და ან განიცადა სრული ასიმილაცია, ანდა მისი საფრთხის წინაშე დადგა.

საერთოდ, აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ, საქართველო რუსული რეაქციის მუდმივი შეტევის ცენტრში იყო, ალბათ იმიტომ, რომ რუსეთში მას კავკასიის გასაღებად მიიჩნევდნენ და მისი სწრაფი მონელებით რუსეთი კავკასიაში სამუდამო დარჩენას გეგმავდა, ხოლო საკითხის ოდნავ გაჭიანურება და ფარული წინააღმდეგობაც კი მის განსაკუთრებულ გააფთრებას იწვევდა, რაც სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა. მარტო იმისი გახსენება,

რომ იმპერიის რეაქციამ მთელი XIX ს-ის მანძილზე საქართველოში ჩამოასახლა ათეულათასობით უცხო ტომის ხალხები, ნათლად აჩვენებს ჩანაფიქრის მთელ სერიოზულობას, — საქართველოში შექმნილიყო ერთა კოლნგლომერატი, წაშლილიყო საერთოდ ქართული სახე, მისი სახელმწიფოებრივი ტრადიცია და ფუნქცია.

დიდ მეცნიერს არ შეეძლო ეს არ დაენახა და არ ეგრძნო საფრთხის მთელი სერიოზულობა. „ქართული საკითხი, — აღნიშნავდა იგი, — დღევანდელ დროს წარმოადგენს კავკასიური საკითხის ერთ-ერთ სერიოზულ მხარეს, იყო დრო, როდესაც საქართველოს საკითხი რუსეთისათვის კავკასიის საკითხის ცენტრში იყო, იყო მომენტები, როდესაც საქართველოს საკითხი საერთოდ ფარავდა მთელი კავკასიის საკითხს... მაგრამ იყო სხვა დროც. სულ ახლახანს გადატანილ იქნა ეპოქა, თითქმის ასი წელი, როდესაც ქართული საკითხი საერთოდ არ იყო რუსეთში, როდესაც ქართული საკითხი საერთოდ დამარხული ჩანდა, ვინაიდან თითქოს თვითონ ქართველი ხალხი სიზმარში მყოფის პოზაში სურათის მსგავსად ჭადრის ჩრდილში გაშეშებულიყო და საუკუნო მშვიდ ძილს მისცემოდა“[1].

ნ. მარმა მართლაც ყოველგვარი შელამაზების გარეშე წარმოაჩინა რუსული კოლონიალური პოლიტიკის მწარე შედეგები საქართველოში. თვითონ საქართველოს დიდებულებიც კი, რომელთა უმრავლესობა სწრაფად ჩადგა რუსეთის სამსახურში და იარაღით ხელში იბრძოდა იმპერიის ახალი დაპრობისათვის, სანამ სჭირდებოდათ, კარგად გამოიყენეს, შემდეგ კი, როგორც ნ. მარი შენიშნავს, ლიმონივით გამოწურული სამოწყალოდ, ბედის ანაბარად იქნენ მიგდებულნი. იგივე დამართეს ქართულ ეკლესიასაც, რომელსაც მხოლოდ სახელი შერჩა ქართული, თორემ სხვა მხრივ აქ ქართული, არაფერი იყო დატოვებული.

ცნობილია, რომ ვოსტორგოვი მხოლოდ საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ თავისი გამოსვლებით არ გამოირჩეოდა. მან საერთოდ ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ გაილაშქრა და თავის სიტყვაში ქართველი ერის შესახებ ჩირქი მოსცხო საერთოდ ერის ისტორიას, მის კულტურას, ენასა და ტრადიციას, ერთი სიტყვით, ყველაფერ იმას, რითაც ქართველი კაცი დასაბამიდან გამოირჩეოდა და თავისი საზიდი ინდივიდუალურობა კაცობრიობის საგანძურში ჰქონდა მიტანილი. ვოსტორგოვი რუსი საზოგადოების გარკვეული ნაწილის

1. ნ. მარი, იქვე გვ. 62.

აზრსა და შეხედულებებს გამოთქვამდა, რომელიც, სამწუხაროდ, იმპერიის პოლიტიკის განმსაზღვრელი იყო: ცალკეული ინდივიდუალური შეხედულებები რუსი მოღვაწეებისა, რომლებიც იმპერიულ აზროვნებაზე მაღლა იდგნენ, ბუნებრივია, ამინდს ვერ შექმნიდა და უფრო იმ აზრის შექმნას უწყობდა ხელს, რომ არსებობდა კეთილი რუსეთიც, რომელიც, რომ არა იმპერია, მზად იყო ყველა ხალხისათვის მიეცა თავისუფლება და ეღიარებინა მათი თანასწორუფლებიანობა. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იყო. არავითარი კეთილი რუსეთი არ არსებობდა, არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო, ინდოეთის ოკეანამდე გაჭრის შეოცნებე ერს არ შეიძლებოდა გზაზე დამხვდური ერების მისწრაფებებზე დაეკარგა დრო, ამიტომ მათი კულტურის, ენისა და ისტორიის გაბაიბრუება ჩვეული ხერხი იყო იმპერიის მესვეურებისა, რომ ამით პატარა ერებში საკუთარი თავისადმი რწმენა და მომავალის იმედი ჩაეკლათ. ამიტომ ორგზის დასაფასებელი იყო იმ ქართველ მოღვაწეთა თავგანწირვა, რომლებიც დიდი ნიჭიერების წყალობით — იმპერიის პრივილეგიებით სარგებლობდნენ, მაგრამ საკუთარი ერის ინტერესებს არ ღალატობდნენ და მის სადარაჯოზე ბოლომდე იდგნენ.

ნ. მარმა დეკანოზ ვოსტორგოვის უმეცრებას დიდი მეცნიერისათვის დამახასიათებელი რკინის ლოგიკა და ისტორიული წარსულის უტყუარი ცოდნა დაუპირისპირა. არც კი ღირდა ამ პასკვილისათვის პასუხის გაცემა, — წერს ნ. მარი, — მაგრამ „თავისთავად მას შეუძლია მხოლოდ სიბრალული აღძრას ავტორის მიმართ“[1] და მეცნიერს მოჰყავს ის ელემენტარული უცოდინარობა, რომელიც ვოსტორგოვის ქართული და, საერთოდ, კავკასიური კვლევა-ძიებისათვის არის დამახასიათებელი. იგი დილეტანტისათვის ჩვეული დამაჯერებლობით აფრქვევს თავის ნააზრევს ისეთ საკითხებში, რომელიც მისთვის მიუწვდომელი სფეროა, „რა თქმა უნდა, წერს ნ. მარი — არ შეიძლება მოითხოვო სწორი შეფასება მისთვის სრულიად უცხო ეროვნული კულტურის შესახებ საქართველოში, მაგრამ ცნობილია, რომ ქართველთა ეროვნული გაერთიანება ამ კულტურის ნაყოფია, რამაც სრულიად ნათელი გამოხატულება საქართველოს ეროვნულ ეკლესიაშიც პოვა ყველა მისი შვილისათვის კურთხეულ ქართულ ენასთან ერთად“[2].

1. ნ. მარი, დასახ. ნაშრ. გვ. 54.
2. იქვე, გვ. 58.

მიუხედავად იმისა, რომ დეკანოზი ვოსტორგოვი სასულიერო პირი იყო და, მაშასადამე, საშუალება ჰქონდა ღრმად და საფუძვლიანად გასცნობოდა საქართველოს ეკლესიის წარსულსა და საქმიანობას, პირიქით, სწორედ აქ ამჟღავნებდა იგი სრულ გაუთვითცნობიერებას. ის, რომ ქართველები პირველივე საუკუნეებიდან ეზიარნენ ქრისტიანობას, ხოლო IV ს-ში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად იქნა მიღებული, ვოსტორგოვმა ასე თუ ისე იცოდა, მაგრამ ქართული ეკლესიის დამსახურებასა და როლზე საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ან სურვილი არ ჰქონდა, რომ ის სცოდნოდა. ნ. მარმა ვოსტორგოვისა და მისი მსგავსი სწავლულების გასაგონად ნათლად წარმოაჩინა, რომ ქართველებმა წმინდა მიწაზე მონასტრების აგება და საგანმანათლებლო მოღვაწეობა ჯერ კიდევ V ს-დან დაიწყეს, რასაც ერის უდიდესი კულტურული პოტენციალი ედო საფუძვლად. „ქართველებს V-VI – საუკუნიდან მონასტრები ჰქონდათ წმ. მიწაზე და თანდათან ათეულობით ქართულმა მონასტრებმა დაფარა არა მარტო წმინდა მიწა, სინაი, ანტიოქიასა და აფონის მახლობლად მდებარე შავი მთა, არამედ ყველგან მოპოვებული იქნა დამოუკიდებელი საეკლესიო საქმეების ავტონომიური მართვა. საიდან ეს ყველაფერი? სვამს კითხვას ნიკო მარი და თავად პასუხობს – საქართველოში საეკლესიო-ეროვნული ცხოვრების სიჭარბისაგან, საქართველოს ეკლესია არა მარტო მართლმადიდებლურია, არამედ ადგილობრივ ეროვნულია“[1].

დასახელებულ ნაშრომებში დიდმა მეცნიერმა ქართველი ერის ისტორიაში საქართველოს ეკლესიის როლისა და მნიშვნელობის საოცრად გააზრებული და, რაც მთავარია, არგუმენტირებული დასაბუთება მოგვცა, როგორც იგი წერს: „საქართველოს ეკლესიურობის კულტურული სიმაღლე შეიძლება შევაფასოთ იმით, რომ XII ს-ში, როდესაც თავად საბერძნეთის ეკლესიაში ნეოპლატონიზმი მოკლულ იქნა, ქართველმა მწერალმა იოანემ მოგვცა უზადო და სწორი თარგმანი „საღვთისმეტყველო საწყისისა“, რომელსაც დაურთო შესანიშნავი განმარტება მშობლიურ ენაზე და ეს მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში მხოლოდ Liber de causis იცოდნენ, ეს შემოკლებული შინაარსის დამახინჯებული თარგმანია. შემდეგ, განაგრძობს მეცნიერი – „ქართული ეკლესიის უმაღლეს მდგომარეობაზე აშკარად მეტყველებს ის, რომ იერუსალიმში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც მხარს უმაგრებდა ისეთი

1. ნ. მარი, იქვე გვ. 62.

ძლევამოსილი ქვეყანა, როგორიც რუსეთია, ვერ სარგებლობდა ხშირად იმ გავლენით, რომლითაც შემოსილი იყო პატარა ქართველი ერის მართლმადიდებლური ეკლესია"[1].

შესანიშნავად ჩამოაყალიბა დიდმა მეცნიერმა საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ-პოლიტიკური საკითხი. მის ნააზრევში კარგად ჩანს ის, რომ საქართველოში არავის უფიქრია, უარი ეთქვა ყველა იმ ეროვნულ ღირსებასა და ისტორიულ ღირებულებაზე, რომელიც საუკუნეების მანძილზე შექმნილა. ქართველები რუსეთთან კავშირში სულ სხვა ამოცანებს ისახავდნენ მიზნად და არა სასულიერო მუსიკის ჰანგებით დამარხვას, სამწუხაროდ ამ კავშირს დიდი იმედგაცრუება მოჰყვა, რუსეთში ცუდად ესმოდათ ქართველთა მისწრაფებებისა და არც არასოდეს ჰქონიათ სურვილი მისი გაგებისა[2].

ქართველი ხალხის შესახებ თავის გამოსვლაში დეკანოზმა ვოსტორგოვმა მიზნად დაისახა ყოველივე ქართულის გაბაიბრუება. საქმეში ჩაუხედაობასა და უცოდინარობას მისთვის ხელი არ შეუშლია, ემსჯელა ქართულ ენაზე, ლიტერატურაზე, ეთნოგრაფიასა და, ასე განსაჯეთ — ერის სულიერებაზეც კი. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი დეკანოზი ყველაფერ ამას — რა ფერებში წარმოაჩენდა, ადვილი წარმოსადგენია. მაგრამ თუ რუს მკითხველს სურვილი გაუჩნდებოდა, გასცნობოდა ერის ისტორიისა და სულიერების რეალურ მდგომარეობას — ნიკო მარის პასუხი — ეს იყო ნიმუში ჭეშმარიტი მეცნიერებისა, რომელსაც შეიძლება გაჭირვებოდა სიმართლის გატანა ძალმომრეობასთან, მაგრამ მომავალთან პირისპირ დარჩენა მხოლოდ მას ხელეწიფებოდა.

ნ. მარი ვოსტორგოვის გამონათქვამებისა და მსჯელობის სრული უსუსურობის ჩვენების შემდეგ გაკვირვებას ვერ ფარავს, რომ ასეთი საეჭვო ცოდნის მქონე კაცი, მიჩნეულია საქართველოს ეკლესიის საქმეთა ექსპერტად და თუ მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ყოველი შემთხვევისათვის, სიამოვნებით ისმენენ და ეყრდნობიან კიდეც, რაც იმპერიის სასულიერო იერარქიის ქრისტეს მოძღვრებისადმი დამოკიდებულების ნათელი გამოხატულებაა. მეცნიერი შენიშნავს, რომ ვოსტორგოვს ელემენტარული წარმოდგენა არა აქვს ქართული ეკლესიის წარსულსა და როლზე, ისეთი მცირე ერის, რწმენისადმი დამოკიდებულებასა და თავისებურებაზე, როგორც ქართველი ერია. თავიანთი ქრისტიანული საწყისის დაცვა ქართველებს

1. ნ. მარი, დასახ. ნაშრ. გვ. 63.
2. იქვე, დასახ. ნაშრ. გვ. 73.

ბერძნებისაგანაც კი უწევდათ, შენიშნავს მეცნიერი, თუმცა სწორედ ბერძნებს ჰქონდათ იმისი თქმის უფლება, რომ „საბერძნეთია ქართული ეკლესიის დედა, საბერძნეთია – მართლმადიდებლობის წყარო, ხოლო ბერძნული ენა და ლიტერატურა იძლევა ყველაფერ იმას, რითაც საზრდოობს ქრისტიანული სამყარო". მათაც კი – აგრძელებს ნიკო მარი, – ქართველი მეცნიერები პასუხობდნენ მოციქულ პავლეს სიტყვებით: „განა თქვენგან გამოვიდა ღვთის სიტყვა? ან მარტო თქვენამდე მოაღწია? (I კორ. 14 36)"[1]. ბუნებრივია, ამ სიტყვებს უნდა მოჰყოლოდა შეკითხვა მათ მიმართ, ვინც ძალიან ცუდად იცოდა არათუ სხვისი, არამედ საკუთარი ისტორია. ნ. მარიც არ აყოვნებს და წერს: „არა აქვთ კი თანამედროვე ქართველებს უფრო მეტი ზნეობრივი უფლება მიმართონ იგივე კითხვებით რუსეთის ეკლესიას"[2]. ჰქონდათ, მიმართეს კიდეც, თანაც არაერთგზის, მაგრამ სინოდს არაფრის მოსმენა არ სურდა.

ნ. მარს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ვოსტორგოვის აზრი იმის შესახებ, რომ „საქართველოს საეგზარქოსოს" სინამდვილეში სულაც არ აინტერესებდა საქართველოს ეკლესია და ქართველები, აქ უფრო მეტი ყურადღება ექცეოდა ჩამოსახლებულებს, იმის იმედით, რომ ისინი დამყოლ იარაღად გამოეყენებინათ ადგილობრივი ხალხების თვითმყოფადობის წინააღმდეგ. ნ. მარი შენიშნავს, რომ ვოსტორგოვი უკმაყოფილოა ამ ჩასასახლებულთა ნაკლები აქტიურობით, როგორც ჩანს, ისინი ვერ ამართლებენ იმპერიის იმედს.

ქართველების სიძულვილით დაბრმავებულ ვოსტორგოვს ავიწყდება, თავად ქრისტიანული ეკლესიის მსახური რომ არის და თურქების მიერ საქართველოში ქრისტიანობის წინააღმდეგ ბრძოლას გარკვეულწილად ხოტბასაც კი ასხამს. იგი აღფრთოვანებულია იმით, რომ თურქები ავიწროებდნენ ქართველ ქრისტიანებს, დევნიდნენ ეპისკოპოსებს, ხელს უშლიდნენ მღვდლების საქმიანობას, თავის ყაიდაზე მოაწყვეს განათლება, აიძულებდნენ, თურქული სახელები ეტარებინათ და სხვ. თურქების მიერ, ქართველთათვის ცხოვრების წესისა და ყოფის თანდათანობით შეცვლა სამაგალითოდ მიაჩნდა ვოსტორგოვს და თანამემამულეებს მოუწოდებდა, მიებაძათ მათთვის. ანტიქრისტიანული შეხედულებები უწოდა ნ. მარმა ვოსტორგოვის ამ გამონათქვამებს და საკადრისი პასუხიც გასცა. მთავარი კი ის იყო, რომ რუსი სასულიერო პირი იმდენად მოეწამლა ველიკოდერჟავულ ოცნებებს, რომ აღარც ქრისტე ახსოვდა და აღარც მისი მოძღვრება.

---

1. ნ. მარი, დასახ. ნაშრ. გვ. 71
2. იქვე, გვ. 71.

ცხადია, საქართველოს წინააღმდეგ მარტო ვოსტორგოვი რომ ამხედრებულიყო, ქართველები როგორმე გაუძლებდნენ და გადაიტანდნენ, მაგრამ იმპერიის სახელმწიფო მანქანა ვოსტორგოვების ულევი ნაკადით პირწმინდად გვიდა ყველაფერს. ვითომ ფიზიკურად გადარჩენილი ქართველები სულიერ დაკნინებასა და დემორალიზაციას განიცდიდნენ, აქედან კი ერთი ნაბიჯი რჩებოდა ფიზიკურ გადაშენებამდე. ამიტომაც განაცხადა ნ. მარმა – „კავკასიაში გაბატონდა ტერორი, სულიერი უღელი გარდაუვალი შარავანდედისა, რომელმაც კავკასიელებს გამოუმუშავა ადამიანური ღირსებებისათვის შეურაცხმყოფელი, ოფიციალურად წახალისებული თვითდამცირების გრძნობა“[1].

დიდი მეცნიერის ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, თუ რას ნიშნავდა კავკასიელებისათვის რუსული იმპერიის კავკასიის აქეთ გადმოსვლა და, საერთოდ, რა საბოლოო მიზანსაც ისახავდა ეს პოლიტიკა. ნ. მარმა თავისი ეს ნაშრომი 1906 წელს დაწერა. მაშინ, ალბათ, ძნელი იყო იმისი წარმოდგენა, რომ იმპერია დაიმსხვრეოდა და ამ ნგრევას დაპყრობილი ხალხები სიხარულით შეხვდებოდნენ – მაგრამ ფაქტია, რომ მეცნიერმა თავისი ნაშრომი დაამთავრა სიტყვებით, რომელიც იმპერიის მესვეურთა გასაგონად იყო ნათქვამი: „რასაც დათესავთ, იმას მოიმკით“. და ეს იმიტომ, რომ ნ. მარმა შესანიშნავად აჩვენა იმპერიას მისი კავკასიური მიზნების მთელი უპერსპექტივობა, იგი წერდა: უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თავად რუსმა ადამიანებმა საბოლოოდ გაიგონ, გაიაზრონ და ნამდვილად დარწმუნდნენ, რომ კავკასია – ის მხარეა, სადაც რუსები სწავლობდნენ, როგორ დაერღვიათ რუსულივე კანონები – ვითომდა სახელმწიფოს ინტერესების სახელით, სადაც კავკასიის ხალხთა კულტურაზე არასწორი შეხედულება, როგორც უპასუხისმგებლო „ადგილობრივებსა“ და „არარუსებზე“, რუსი ადამიანების მთელ თაობებს სისხლში ჰქონდათ გამჯდარი რუსული ნაციონალური იდეების სახელით[2].

ასე პირდაპირ და ყოველგვარი შეფარვის გარეშე იმპერიის მესვეურთათვის სიმართლის მიხლას ყველა ვერ გაბედავდა. ეს გარდა პირადი უსაფრთხოებისა, მთელ რიგ უსიამოვნებებთან იყო დაკავშირებული, რომელსაც სამშობლოზე შეყვარებული ადამიანის მეტი, სხვა უსათუოდ შეუშინდებოდა. მაგრამ ნიკო მარი დიდ მეცნიერთან ერთად დიდი მამულიშვილიც იყო და მისმა პასუხმა ვოსტორგოვის მიმართ არა მარტო ქართული, კავკასიური საქმეც გააკეთა.

1. ნ. მარი, დასახ. ნაშრ, გვ. 85-87.
2. იქვე, გვ. 27.

ისტორიკოსი თედო ჟორდანია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით ქართული სასულიერო იერარქიის თვალსაჩინო მოღვაწეებმა, უკვე აშკარად და შეიძლება ითქვას, ყოველგვარი შელამაზების გარეშე დააყენეს საკითხი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების შესახებ. ბუნებრივია, არგუმენტი, რომელსაც ქართველები დროშასავით წაიმძღვარებდნენ წინ, იყო ის, რომ ქართული ეკლესია უძველესი დროიდან არის ავტოკეფალური და, მაშასადამე, მისი დაბრუნების მოთხოვნა რუსეთის იმპერიის დიდმოხელეთათვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. მთავარი, რასაც ქართველები განსაკუთრებით ცდილობდნენ ის იყო, რომ ამ მოთხოვნისათვის დასაბუთებული სახე მიეცათ და არა პუბლიცისტური. ისტორიული დოკუმენტებითა და მეცნიერული დასკვნებით შეჯერებული არგუმენტებით დაემტკიცებინათ შოვინისტებისათვის, თუ როდიდან დაიწყო ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ზეაღმავალი სვლა საქართველოში, როდის მიიღო ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობის სტატუსი და რატომ იმსახურებდა იგი ავტოკეფალიის აღდგენას.

ამ პერიოდს დაემთხვა თერგდალეულთა ლიდერის უმაღლეს საკანონმდებლო-სათათბირო ორგანოში მოხვედრა, რამაც დიდი იმედი ჩაუსახა თერგდალეულებს, რომლებმაც იფიქრეს, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი თავიანთი პოლიტიკური მიზნების სარეალიზაციოდ. ეს სიხარული ნათლად გამოსჭვივის სახელმწიფო საბჭოში არჩეული ილია ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში, რომლის ავტორიცაა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე თედო (თევდორე) ჟორდანია (1864-1916). აღნიშნული წერილი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებში სათანადო განმარტებებით გამოაქვეყნა პროფ. შ. ბადრიძემ.[1]

ქართული ეკლესიის თვითმწყემსობისათვის ბრძოლაში თავისი სიტყვა თქვა თერგდალეულთა ეპოქის ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა — თედო ჟორდანიამ, რომელიც, შეიძლება ითქვას, პირდაპირ საკრალური პატივისცემითაა განმსჭვალული ი. ჭავავაძისადმი, რომლის დაწყებული საქმის მიმართ თავდადებასა და მხარდაჭერასაც კი იმთავითვე კისრულობს და მოკრძალებულ

1. შ. ბადრიძე, „ჩვენი დიდი ნუგეში“, ჟურნ. „დროშა“, 1987, №9, გვ. 18

დაპირებასაც აძლევს ი. ჭავჭავაძეს, რომ მოამზადებს საგანგებო ნარკვევს, რომელშიც ჩამოაყალიბებს მეცნიერულად დასაბუთებულ თვალსაზრისს საქართველოში აგრარული წყობილების ისტორიასა და თავისებურებებზე, რასაც, თუ ი. ჭავჭავაძე საჭიროდ მიიჩნევს, გამოიყენებს კიდეც, როდესაც სახელმწიფო საბჭოს მუშაობის დღის წესრიგში დადგება აგრარული წყობილების, რუსეთის ამ ერთ-ერთი ცენტრალური საკითხის ირგვლივ მოსაზრებისა და კანონპროექტების განხილვა.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თედო ჟორდანიამ 1905 წელს ქუთაისში რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მოკლე ნარკვევი სათაურით: „მოკლე ისტორიული ცნობები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ", სადაც იგი განზოგადებული სახით, მიზნად ისახავს, მკითხველებს განუმარტოს ქართული ეკლესიის ისტორიის მეცნიერულად დადგენილი ცნობები, ამ ეკლესიის ბედისა და, კერძოდ, ავტოკეფალიის შესახებ.

დასახელებული ნაშრომის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა მეტად თვალსაჩინო იყო, რადგან მან ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს მისცა სახელმძღვანელო დებულებები და უჩვენა გზა, მეცნიერულ საფუძველზე განევითარებინათ თავიანთი მოთხოვნები. ნაშრომის გაცნობა გვარწმუნებს, რომ გამოცდილ ისტორიკოსს მთლიანად ჰქონდა გაზიარებული ილია ჭავჭავაძის პოზიცია ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემებზე და სურდა, საკუთარი წვლილიც შეეტანა მისი ქართული მხარისათვის მისაღებ გადაწყვეტაში.

თ. ჟორდანიას ეროვნულ-პოლიტიკური პოზიციების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ მას არსებითად ი. ჭავჭავაძის მსგავსად ესმოდა ქართული ეკლესიის ისტორიული ბედისა და მისი მომავლის საკითხიც. თ. ჟორდანიას ჩარევას ზემოაღნიშნულ კამათში ის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ საერთო პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაება ივ. ჯავახიშვილთან შედარებით ხანდაზმული წევრი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რითაც პოლიტიკურ პრობლემას მიემატა მეცნიერული არგუმენტაცია და იგი ამიერიდან იქცა მეცნიერულ და არა შიშველ პუბლიცისტურ საბუთებზე დაფუძნებულ საკითხად. ეს შეეხებოდა არა მარტო ქართული ეკლესიის ისტორიის გაცნობას, არამედ მისი სტატუსის აღდგენასაც, რასაც ქართული მხარე დაბეჯითებით მოითხოვდა იმ დროისათვის.

თ. ჟორდანია ისტორიის ჭრილში მიმოიხილავს ქართველების მიერ ქრისტიანობის მიღებასა და სარწმუნოებრივ ცხოვრებას IV

საუკუნიდან. ისტორიკოსი იზიარებს ქართულ ტრადიციაში აღიარებულ აზრს ქრისტიანობის ანტიოქიიდან შემოსვლის შესახებ და დასძენს, რომ 326 წელს ანტიოქიის გამოჩენილმა პატრიარქმა, მეცნიერმა და წმინდანმა ევსტატემ პირადად მოინახულა საქართველო, წმინდა ნინოს მიერ მოქცეული ქვეყანა. „აი რატომ — წერს თ. ჟორდანია, — ძველი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, საქართველოს ეკლესია, რომელმაც ქრისტიანული რწმენა ანტიოქიიდან მიიღო, შევიდა კიდეც ანტიოქიის საპატრიარქოს შემადგენლობაში, სადაც ნათლობას ღებულობდნენ ახლად მოქცეული ხალხები. მცხეთის არქიეპისკოპოსი კი ინიშნებოდა ბერძენთა მხრიდან თავად ანტიოქიის საპატრიარქოს შერჩევით“[1]. მაგრამ მეცნიერის აზრით, ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, ბერძენი არქიეპისკოპოსები, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებსა და საეკლესიო ცხოვრებაში, ცუდი მმართველები აღმოჩნდნენ, რამაც, თ. ჟორდანიას აზრით, აიძულა მეფე ვახტანგ გორგასალი ეკლესიის მეთაურის შეცვლის მოთხოვნით მიემართა ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვის და აღწერს ქართულ ტრადიციულ ისტორიოგრაფიაში ცნობილ ფაქტს — პეტრე კათალიკოსის ბიზანტიიდან მოწვევის შესახებ, რომელსაც, როგორც ცნობილია, მოჰყვა კიდეც განხეთქილება მეფესა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის.

აღსანიშნავია, რომ თვითონ ეს ქარგა, რომელზედაც აგებულია ქართული ეკლესიის დამოკიდებულობის საკითხი სხვადასხვა რელიგიურ ცენტრზე, განსაკუთრებით მისი განვითარების ადრეულ წლებში, გამომხატველია იმ ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალობებისა, რომელშიც ვითარდებოდნენ თავად ეს აღიარებული ეპარქიები.

ასე მაგალითად, მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლი ის-ის იყო იკვეთებოდა პოლიტიკურ რუკაზე, „ანტიოქია III საუკუნის შუა ხანებისათვის რელიგიურ ცენტრად იქცა სირიის, კაბადოკიისა და პალესტინისათვის“[2]; სათანბირო ხოლო IV საუკუნეში ეს გავლენა ანტიოქიის ეკლესიისა კიდევ უფრო გაფართოვდა, რასაც V საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ გავლენის თანდათანობით შესუსტება და ბოლოს, სრული დაკნინება მოჰყვა.

---

1. თ. ჟორდანია, მოკლე ისტორიული ცნობები ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, გვ. 1 (რუსულ ენაზე).

2. История Византии, М., 1967, გვ. 145.

ამ დროს კი ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ძლიერებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება გავლენა და ავტორიტეტი კონსტანტინოპოლის პატრიარქისა, რომელიც ამ გავლენის განსამტკიცებლად აქტიურად იყენებს სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს.

ქართულ წყაროებშიც იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები სათანადო თანმიმდევრობით აისახება, ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უძველესი ქართული ძეგლები საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას სწორედ კაბადოკიიდან დაწყებულად მიიჩნევენ, ხოლო მომდევნო პერიოდის ისტორიული დოკუმენტები კათალიკოსების მოწვევას ბიზანტიიდან აღწერენ. ის, რომ აქ ანტიოქია კვლავ მოიხსენიება, ივ. ჯავახიშვილს შესანიშნავად აქვს ახსნილი: „ცნობა სამღვდელო პირების ჯერ კონსტანტინეპოლში წარვლენისა და იქიდან მათი ანტიოქიის პატრიარქთან გამოგზავნის შესახებ, უნდა ძველი გზისა და დამოკიდებულობის შეცვლისათვის კანონიერების მისანიჭებლად იყოს შეთხზული, ან თვით ჯუანშერისაგან ან და იქნებ უკვე მისი წყაროს მიერ“[1]

თ. ჟორდანია სიტყვასიტყვით იმეორებს ძველ ქართულ წყაროებში დაცულ ცნობას იმის შესახებ, თუ როგორ დაუმძიმდა მცხეთის მთავარეპისკოპოსს მიქაელს ვახტანგის გადაწყვეტილება, — საქართველოს კათალიკოსად საბერძნეთიდან მოწვეული პეტრე დაესვა. გაცეცხლებული მთავარეპისკოპოსი მეფეს, როდესაც ეს უკანასკნელი ჩვეულებისამებრ, მოწიწების ნიშნად თავს უხრის, ფეხს მიარტყამს და კბილსაც კი უმტვრევს.

ამ ვითარებამ, თ. ჟორდანიას თქმით, ხელი შეუწყო კვანძის გახსნას და მეფემ თავხედი არქიეპისკოპოსი დასაჯა და კონსტანტინოპოლის პატრიარქს გაუგზავნა. მოვლენების შემდგომი აღწერისას თ. ჟორდანია კვლავ იმეორებს ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს და აგრძელებს: კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დასაჯა მიქაელი, ხოლო რაც შეეხება კათალიკოსის და არქიეპისკოპოსის საქართველოში გამოგზავნას, როგორც ამას ვახტანგ გორგასალი ითხოვდა — თ. ჟორდანიას თქმით, ტრადიციისამებრ, ანტიოქიის უპირატესი როლის გათვალისწინებით, ბერძნების იმპერატორმა და პატრიარქმა საქართველოს უმაღლეს საეკლესიო თანამდებობაზე დასანიშნი კურთხევისათვის ანტიოქიაში გააგზავნა. აქ ერთი მომენტია ყურადღება მისაქცევი, V საუკუნის მეორე ნახევრიდან, როგორც ცნობილია,

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ.333

მაშინდელ მსოფლიოში განსაკუთრებით წარმოჩინდა ბიზანტიის წამყვანი როლი, რასაც კვლავ და კვლავ მოჰყვა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, როგორც ქრისტიანული ცენტრის, მნიშვნელობის გამოკვეთა; ასეთ ვითარებაში სრულიად ბუნებრივად ჩანს ქართველთა მეფის — ვახტანგ გორგასალის, რომელიც ბიზანტიის მთავარ მოკავშირედ ითვლებოდა კავკასიაში, თხოვნა — საქართველოს ეკლესიის სათავეში კათალიკოსი ყოფილიყო. ამას ქართული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, მაგრამ ცნობა იმის შესახებ, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო შერჩეულ კანდიდატებს დასამტკიცებლად ანტიოქიის პატრიარქს უგზავნის, მოგვიანო დროისაა და აღიარებული აზრით, XI საუკუნეში მოღვაწე ქართველ ისტორიკოსს — ჯუანშერს ეკუთვნის, რომლის უტყუარობა, თავის დროზე, ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა სათუო გახადა: „საეჭვოა — წერდა დიდი მეცნიერი, — რომ ისინი ჯერ კონსტანტინოპოლის პატრიარქთან მისულიყვნენ და ამ უკანასკნელს მათი ხელდასხმის უფლება ანტიოქიის მამამთავრისათვის დაეთმო“[1]. არაა გამორიცხული ისიც, რომ ჯუანშერს, როგორც თავისი ეპოქის მოღვაწეს, რომლის დროსაც ბიზანტიის ექსპანსია საქართველოს მიმართ სულ უფრო აგრესიულ ხასიათს იღებს, ხელს აძლევს იმის მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესია იერარქიულად კონსტანტინოპოლის კი არა, ანტიოქიის დაქვემდებარებაში იყო, ეს აზრი კი ქართული ეკლესიისათვის იმთავითვე მისაღები ჩანს, რამეთუ ამ ცნობით კათალიკოსის ხელდასხმა საქართველოში — ორი დიდი საქრისტიანო ცენტრის მიერ იყო აღიარებული.

თავისთავად ცხადია, თედო ჟორდანია გვერდს ვერ აუვლიდა ისეთ კითხვას, როგორიცაა — კათალიკოსის ხელდასხმა ქართული ეკლესიის სათავეში — ეს ამავე დროს ნიშნავდა თუ არა მის ავტოკეფალიას. ვინაიდან იმას, თუ როდის და როგორ გახდა ქართული ეკლესია ავტოკეფალიური — განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა რეაქციონერებით სავსე, მაგრამ მაინც წმინდა სინოდში მოკალათებულ, რუს საეკლესიო მამებთან ბრძოლაში.

თ. ჟორდანიას აღნიშნული საკითხის მეცნიერული კვლევის დროს გამოყენებული აქვს პატრიარქ მაკარიოსის შრომები (XVII ს.), რომელთა მიხედვითაც, ქართველი მღვდელმთავრები ხელდასხმისათვის ანტიოქიაში მიემგზავრებოდნენ, ამასთანავე, საქართველოს კათალიკოსის არჩევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ანტიოქიის პატრიარქზე.

1. ივ. ჯავახიშვილი დასახ. ნაშ, გვ. 333

წყაროდ ამ საკითხების განმარტებისას აგრეთვე გამოყენებული აქვს ბიზანტიელი კანონისტის – ბალსამონის (XIIს.) შრომები, სადაც მოთხრობილია საქართველოს კათალიკოსების ურთიერთობის შესახებ ანტიოქიელ პატრიარქებთან. აღნიშნული ცნობა თ. ჟორდანიამ, როგორც თვითონვე მიუთითებს, აიღო პლატონ იოსელიანის წიგნიდან „ქართული ეკლესიის ისტორია“.

„უნდა აღინიშნოს, – წერს თ. ჟორდანია, – რომ ახლად დაყენებული კათალიკოსი, მართალია, ცნობილი იყო ავტოკეფალურად, თუმცა არ იყო ბოლომდე დამოკიდებული ანტიოქიის პატრიარქისაგან“. თუ რა სახით იქნა ცნობილი საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი ავტოკეფალიურად, მკვლევარი არ განმარტავს. სამაგიეროდ, დამოკიდებულებაზე აგრძელებს აზრს და უმატებს: „ახლად არჩეული კათალიკოსები ხელდასხმისათვის ანტიოქიის პატრიარქთან უნდა გამგზავრებულიყვნენ, როგორც შემდეგ მოვლენებიდან ჩანს არამარტო ხელდასმა, არამედ თავად კათალიკოსის შერჩევაც კი მნიშვნელოვან წილად დამოკიდებული იყო ანტიოქიის პატრიარქზე. სწორედ ასე ახასიათებს საქართველოს კათალიკოსების ურთიერთობას ანტიოქიის საეკლესიო ტახტთან მეცნიერი ბალსამონი, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ზუსტად ამ დროის (იგულისხმება ვახტანგ გორგასალის შემდგომი პერიოდი) კათალიკოსები და არა შემდგომი დროისა, რომლებიც VIII საუკუნის შუა ხანებიდან მთლიანად გათავისუფლდნენ ყოველგვარი დამოუკიდებლობისაგან.“[1]

პირველი კათალიკოსის მოსვლას საქართველოში, გამოყენებულ წყაროებზე დაყრდნობით, თ. ჟორდანია 493 წლით ათარიღებდა. იგი აღნიშნავს, რომ VI საუკუნეში ფარსმან მეფის დროს იმპერატორმა იუსტინიანე დიდმა ქართველების მიერ სკვითების დამორჩილებაში დახმარებისათვის მადლიერების ნიშნად ქართულ ეკლესიას საგანგებო ქარტიით უბოძა უფლება, აერჩიათ კანდიდატები საკათალიკოსო ტახტაზე ადგილობრივი წარმომადგენლებისაგან, მაგრამ ამ პატივში ხელდასხმისათვის ისინი მაინც აგრძელებდნენ გამგზავრებას ანტიოქიაში. თ. ჟორდანიას მთელი მსჯელობიდან ჩანს, რომ იგი მხარს უჭერს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაწესებას იუსტინიანე დიდის დროიდან, მაგრამ არც იმისი აღნიშვნა ავიწყდება, რომ გარკვეული დამოკიდებულება ანტიოქიის ეკლესიისადმი საქართველოს ეკლესიას VIII ს-ის შუა ხანებამდე გაჰყვა.

1.თ. ჟორდანია დასახ. ნაშრომი, გვ.3

თ. ჟორდანია წერს: „ამდენად, იუსტინიანეს დროიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიამ ყველა პატრიარქის თანხმობით მსოფლიო კრების სანქცია მიიღო, მიუხედავად ამისა შემდგომ დროშიც თითქმის VIII ს-ის შუა ხანებამდე ქართული ეკლესია აგრძელებდა სულიერ კავშირში ყოფნას ანტიოქიის პატრიარქებთან. ამ კავშირის გამოხატულება იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში არჩეული კათალიკოსები კვლავინდებურად აგრძელებდნენ ანტიოქიაში წასვლას ხელდასხმისათვის, თუმცა სხვა მხრივ მისგან თავისუფალი და დამოუკიდებელი იყვნენ. გარდა ამისა, ქართველი კათალიკოსები ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ვალდებულნი იყვნენ, მნიშვნელოვანი თანხა მიერთმიათ ანტიოქიის პატრიარქისათვის წმინდა მირონის სანაცვლოდ, რომელსაც VI მსოფლიო კრებამდე იმდროინდელი სამყაროს ყველა ეკლესია ანტიოქიიდან ღებულობდა. მაგრამ VI მსოფლიო კრების შემდეგ წმინდა მირონის მოხარშვა მცხეთის ეკლესიაშიც დაიწყეს საქართველოსა და სომხეთის ყველა ეკლესიისათვის“.[1]

„შემდეგ – დასძენს თ. ჟორდანია, – ეს ფაქტიური დამოკიდებულებაც ქვემოთ მოყვანილი პოლიტიკური მოვლენების გამო (მხედველობაში აქვს არაბების შემოსევა) მალე მთლიანად შეწყდა ჯერ ფაქტიურად (დაახ. 609წ.), ხოლო მერე იურიდიულად (751წ.).“[2]

აღსანიშნავია, რომ თ. ჟორდანია თავისი დასკვნების გამოტანისას მნიშვნელოვანიწილად იყენებს ანტიოქიის ქრონიკების ძველ ქართულ თარგმანებს, (XIIს.) რომლებზე დაყრდნობითაც წერს: „ამრიგად, ორივე დოკუმენტი ადასტურებს, რომ VIII ს-ის შუა პერიოდში (დაახლ. 751წ.) პატრიარქ თეოფილაქტესა და იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741-775წ.) დროს კვლავ დასტურდება ქართული ეკლესიიის ავტოკეფალია, რომელიც მთლიანად გათავისუფლდა იუსტინიანეს ქარტიისა და 553 წლის კრების დამოკიდებულების აჩრდილისაგანაც კი, და ამ დროიდან კათალიკოსები არამარტო აირჩევიან, არამედ იკურთხებიან კიდეც საქართველოში“.[3]

მაშასადამე, ჟორდანიამ თავისი გამოსვლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ე.წ. ქართული საკითხის, ანუ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დოკუმენტურად დადასტურებაში, რასაც განსაკუთრებული გამოძახილი ჰქონდა რუსეთის სინოდის წინაშე საქართველოს

1. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრ., გვ.7.
2. იქვე, გვ.7.
3. იქვე, გვ.32.

ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნისათვის მეცნიერული საფუძვლის შესაქმნელად. საქართველოს მოწინავე წრეებს სასიამოვნოდ დარჩათ თ. ჟორდანიას ღრმად გააზრებული მსჯელობა და ისტორიული ალღო, რომელმაც სერიოზულად წასწია წინ ისტორიული მსჯელობა პრაქტიკული მიზნის მიღწევისაკენ.

მიხეილ თამარაშვილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ

ქრისტიანობა საქართველოში, როგორც მსოფლიო ქრისტიანული მიმდინარეობის განუყოფელი ნაწილი, თავისი წარსულით დასაბამს იღებს ქრისტიანული რელიგიის წარმოშობის სათავეებიდან, რის გამოც ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არა ერთი და ორი მასთან დაკავშირებული კარდინალური პრობლემა სისტემატური გარკვევის, დაპირისპირებისა და კამათის საგანი გამხდარა.

უძველესი დროიდან იყვნენ ადამიანები ჩაბმული გაუთავებელ დისკუსიებში: ზოგი რწმენისა და შეხედულების გამო, ზოგნი წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით, სხვებიც სუბიექტური შეხედულებებისა თუ სხვათა კარნახით – აღწერდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიას და ხშირად მის ისედაც ლეგენდებში გახლართულ წარსულს, კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდიდნენ.

მიხეილ თამარაშვილი ეკუთვნის იმ ქართველ მკვლევართა რიცხვს, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლას სუფთა რწმენითა და სინდისით მოჰკიდა ხელი. მან ერთ-ერთმა პირველმა მოუყარა თავი უცხოეთის წიგნსაცავებში დაცულ ცნობებს საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის შესახებ და შექმნა მონოგრაფიული გამოკვლევები, რომლებმაც არა მარტო ქართველთა წარმოდგენაში მოახდინეს გადატრიალება და საკუთარი ისტორიის მიმართ მოწიწების გრძნობა გაუჩინეს თანამედროვეთ, არამედ უცხოელ მკითხველსაც ნათლად დაანახეს საქართველოს, როგორც თვითმყოფადი ქვეყნის, საოცრად დიდი ისტორია და კულტურული პოტენციალი.

მართალია, მიხეილ თამარაშვილი, მის გარშემო შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე, ძირითადად, საქართველოში კათოლიკური მიმდინარეობის შესწავლისა და შემდგომ მისი ისტორიით იყო დაინტერესებული, მაგრამ, როგორც შ. ლომსაძე წერს: „მ. თამარაშვილის ცხოვრების აღნუსხვა და აღწერა ცოტად თუ ბევრად კათოლიკე ქართველთა ისტორიის შესწავლას და გამოკვლევას ნიშნავს. მ. თამარაშვილმა თავისი დაუღალავი და შეგნებული ცხოვრება მთლიანად საქართველოს ისტორიის დოკუმენტური მასალების მოძიებას და მის გაშუქებას მიუძღვნა; მან ჩვენი ქვეყნის ნაკლულოვან ისტორიულ ცნობებს უცხოეთში მოძიებული დოკუმენტური მასალები შეაშველა და თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე სულთმოუთქმელი და ნაყოფიერი

მუშაობით „მეორე ქართლის ცხოვრების“ შემქმნელის სახელი დაიმკვიდრა“.[1] და ეს არც არის გასაკვირი! მიხეილ თამარაშვილი მთელი თავისი შეუპოვრობითა და ცოდნით უპირისპირდებოდა რუსეთის ცარიზმის მიერ ქართული ეკლესიის შევიწროებისა და დევნის გაძლიერებას. მისი, როგორც ქართველი კაცის სულიერი ძლიერების საძირკვლის მოშლასა და აღმოფხვრას. სწორედ მიხეილ თამარაშ-ვილის თვალწინ ახორციელებდა რუსეთის შავრაზმული რეჟიმი თავის მზაკვრულ გეგმას – ღმერთის რწმენა და იმედიც მოეკლა ისედაც გაუბედურებული ქართველისათვის და იგი სრულიად უმწეო და იოლად დასამორჩილებელი გაეხადა.

მართლაც, თუ XIX საუკუნემდე ქართული ეკლესია ეროვნული სამეფო ხელისუფლების მხარდამხარ ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის ხელშემწყობი იყო. რუსული მმართველობის დროს მას ეროვნული გადაგვარების საფრთხე დაემუქრა. რუსეთის ხელისუფლებამ შეზღუდა ქართული ეკლესიის ეროვნულ-კულტურული ფუნქცია, თავის სამსახურში ჩააყენა სასულიერო წოდება თავად-აზნაურობისა და გლეხების ნაწილთან ერთად, რომელსაც სარწმუნოებისადმი გულგრილი დამოკიდებულება გაუჩნდა ქრისტიანი დამპყრობლების სიცრუის, ღალატისა და ძალადობის გამო

რუსი ეგზარქოსები და მათი მორჩილი მღვდელმსახურნი მონარქისტულ-თვითმპყრობელური სახელმწიფოს ინტერესებს იცავდნენ და არა ხალხის ქრისტიანულ-სარწმუნოებრივ რწმენა-წარმოდგენებს, „რუსულ საქმეს“ ემსახურებოდნენ და არა სახალხო მისწრაფებებს. ისინი დიდად არ დაგიდევდნენ იოანეს სახარების იმ დებულებას, რომ „მოძღვარი ხალხის ამოურჩევლად მისული მრევლში არის მპარავი და მტაცებელი... გადასული სამწყსოში ღობიდან და არა მწყემსი კეთილი, შესული კარიდან, რომელსაც სცნობდნენ ცხოვარნი“. არც ერთმა რუსმა ეგზარქოსმა ქართული არ იცოდა და ქართველ მრევლს, ცხადია, რუსულად ექადაგებოდა. მათ დროს მოიშალა საქართველოში ქართული წირვა-ლოცვა, სამღვდელმთავრო კათედრები და ეპარქიები, დაიხურა, გადაკეთდა ან პირწმინდად გაიძარცვა არაერთი ქართული ეკლესია-მონასტერი და სასულიერო სასწავლებელი, იდევნებოდა ქართული საეკლესიო გალობა, სახალხო ზნე-ჩვეულება, თვით რუსიფიკატორთა აღიარებით მიმდინარეობდა ქართველების ფიზიკური დაპყრობის შემდეგ მათი სულისა და გულის ხელახალი

1. შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1969, გვ.6

დაპყრობა. ამის მიღწევას რუსი ეგზარქოსები და რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ჯერ რუს სექტანტთა, მერე რუს მართლმადიდებელ ქრისტიანთა მასობრივი ჩასახლებით საქართველოში, ქართულის ნაცვლად რუსული სასულიერო სასწავლებლების დაარსებით, ქართული ეკლესია-მონასტრების რუსულად გადაკეთებით. მაჰმადიან მოსახლეობაში მისიონერული მოღვაწეობიდან ქართველთა განდევნისა და მათ ნაცვლად რუსი სამღვდელოების შემოყვანით, მეგრული და სვანური დამწერლობის შექმნის ცდითა და ქართველთა შორის კუთხურობის შუღლის გაღვივებით.

მაგრამ საქართველოს რუსი ეგზარქოსები და მათი მორჩილი მღვდელმსახურები (სამწუხაროდ, ზოგჯერ ქართველებიც) ყოველთვის როდი აღწევდნენ თავიანთ მიზანს საქართველოს გარუსების საქმეში. ამაო გამოდგა მათი ცდა ქართველობისაგან აჭარელ, სამურზაყანოელ, სვან და თუშ-ფშავ-ხევსურ ქართველთა ჩამოშორებისა.

ეროვნული მოღვაწეობით ცნობილ ქართველ სამღვდელოებასთან ერთად მეფის რუსეთის მზაკვრულ გეგმებს, ხშირად სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, უპირისპირდებოდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, რომელთა რიგებში აშკარად გამოირჩეოდა ახალგაზრდა მიხეილ თამარაშვილი, რომელიც იმპერიის რეაქციული წრეების მიერ ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ უსამართლობას დაუფარავად ამხელდა თავის ცნობილ ნაშრომში „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე".[1] ეს წიგნი მიხეილ თამარაშვილმა ფრანგულ ენაზე გამოსცა 1910 წელს რომში და ამით ქართველთა დიდი გასაჭირი ევროპის მოწინავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქცია. მ. თამარაშვილი წერდა: „წმინდა სინოდის დახმარებით მთავრობამ მოსპო ქართული ეკლესია, მრავალრიცხოვანი საეპისკოპოსოს რიცხვი ოთხამდე დაიყვანა, ეკლესიას ჩამოაშორა და ნელ-ნელა გადაასახლა ის თავდადებული სამღვდელო-სასულიერო პირები, რომლებიც მრევლის სიყვარულით სარგებლობდნენ, ხოლო მათ მაგიერად რუსი სამღვდელოება დააყენა, რუს სამღვდელოებაში კი ბევრი იყო ყოველმხრივ გახრწნილი და ზნედაცემული, ხშირად ურწმუნოც კი. სწორედ მათ გაინაწილეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილები. რაც უფრო გულმოდგინედ ანადგურებდა რუსი

1. აღნიშნული ნაშრომი ითარგმნა ქართულად და გამოიცა 1995 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ თამარაშვილი – 1858-1911

სამღვდელოება ეკლესიას, მით მეტად აჯილდოებდა და პატივს სცემდა მას მთავრობა".[1]

როგორც ცნობილია, ამ პერიოდს დაემთხვა სამოღვაწეო ასპარეზზე ივანე ჯავახიშვილის გამოსვლა. ბევრი მანამდე აღიარებული მოგონება, ფაქტი თუ ისტორიული ეპიზოდი საქართველოს ისტორიისა ივანე ჯავახიშვილმა ეჭვის ქვეშ დააყენა და მათი სრულიად განსხვავებული ახსნა მოუძებნა. ახალგაზრდა მეცნიერის ასეთი თამამი განცხადებები მაშინდელ ქართველ ისტორიკოსთა და საზოგადო მოღვაწეთა ნაწილისათვის სრულიად მიუღებელი დარჩა. მტკივნეულად განიცადა მომავალი დიდი მეცნიერის შეხედულებები წმ. ანდრიას მოღვაწეობის შესახებ საქართველოში მიხეილ თამარაშვილმაც, რომლის აზრითაც, ივ. ჯავახიშვილის მიერ იმისი მტკიცება, რომ წმ. ანდრია და წმ. ნინო შეთხზული პერსონაჟებია და ისტორიულ სინამდვილეში ამ პირთა მოღვაწეობას ადგილი არ ჰქონია, არასწორია და ამ „არგუმენტების გასაბათილებლად სულ რამდენიმე სიტყვაა საკმარისი".[2]

მ. თამარაშვილს ეჭვიც არ ეპარება წმ. ანდრიას მოღვაწეობაზე საქართველოში, მაგრამ როგორც ჩანს, ავტორი ბოლომდე ყველაფერს არ იზიარებს — „ჩვენ არ ვამტკიცებთ, თითქოს იგი სრულიად მოკლებულია ინტერპოლაციებსა და გაზვიადებას, და სხვა."[3] და მაინც, მ. თამარაშვილი შემდეგნაირად აყალიბებს თავის შეხედულებებს ამ საკითხთან დაკავშირებით: „მართალია, რუფინიუსის ისტორიაში არაფერია ნათქვამი წმ. ანდრიას შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ლაპარაკია საყოველთაო, საბოლოო, ასე ვთქვათ, ოფიციალურ მოქცევაზე... არავის მოსვლია აზრად, ემტკიცებინა, თითქოს მთელი ქართველი ერი თავის მეფიანად წმ. ანდრიამ მოაქცია, ანდა საბოლოოდ დააფუძნა აქ ქრისტიანობა".[4] მაშასადამე, ის რომ რუფინიუსის ისტორიაში არაფერია ნათქვამი წმ. ანდრიას მოღვაწეობის შესახებ, მ. თამარაშვილის აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სინამდვილეში საქართველოში წმ, ანდრიას არ ექადაგოს. ვინაიდან ამას ოფიციალური მოქცევა არ მოჰყოლია, ანუ სამეფო კარის მიერ იგი სახელმწიფო რელიგიად არ იქნა გამოცხადებული — ამ მიზეზით მასზე საგანგებოდ არც არავინ მსჯელობს. ანუ როგორც თვითონ წერს: „ეს ჯერ კიდევ

1. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 439
2. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 439
3. იქვე, გვ. 163
4. იქვე, გვ. 160

არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ უარვყოთ ანდრიას ქადაგობა ქართველთა შორის“.[1] ამავე მიზეზით ხსნის იგი „პეტრე იბერის ცხოვრებაში“ წმ. ანდრიას შესახებ სრულ სიჩუმეს. თითქმის იგივე აზრია გატარებული მ. თამარაშვილის მიერ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-შიც წმ. ანდრიას მოღვაწეობის შესახებ მიუნიშნებლობაზე. „ეს განა საკმარისია, — წერს მკვლევარი, — დავასკვნათ, წმ. ანდრიას მოციქულობა საქართველოში ლეგენდებს განეკუთვნებაო? ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ამ ამბავში, ცხადია, ისევ წმ. ნინოს მიერ მთელი ერის საყოველთაო და საბოლოო მოქცევაზეა ლაპარაკი და არა იმაზე, თუ რა ქადაგება უძღოდა ნინოს მოსვლას“.[2] ქართველ ისტორიკოსთა გარკვეული ნაწილი ივ. ჯავახიშვილის აზრს ანაწებს უპირატესობას და ეს სულაც არ აკნინებს საქართველოს ეკლესიის ისტორიას და არც ქართველთა ადრეულ ზიარებას ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, რომელიც მართლაც საუკუნეთა წიაღიდან მოდის და სრულიად ბუნებრივია, საკითხთა ისეთი წყების ჩამოყალიბება, რომელთა დასამტკიცებლად ისტორიული დოკუმენტები ჟამთა სიავის გამო არ მოგვეპოვება — საკვირველი არ უნდა იყოს.

მ. თამარაშვილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხსაც შეეხო და ეს უმნიშვნელოვანესი საკვანძო პრობლემა უცხოური წყაროების მოშველიებითაც სცადა გადაეწყვიტა. არაერთი ქართველი ისტორიკოსივით თუ მკვლევარივით, მ. თამარაშვილმაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი საქართველოში კათალიკოსობის დაწესებას დაუკავშირა. „ჩვენი ფიქრით ეკლესიის ცალკე გამოყოფა უნდა ემთხვეოდეს კათალიკოსის ხელდასხმას“.[3] მაგრამ მ. თამარაშვილი იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ „საქართველოში კათალიკოსობის დაწესების შესახებ უცხოელი მწერლების უშუალო მოწმობანი არ გაგვაჩნია. არსებობს მხოლოდ მყარი და ერთსულოვანი ადგილობრივი გადმოცემა“.[4] და მათ უნდა დავეყრდნოთ — დასძენს მკვლევარი.

საქართველოში კათალიკოსობის შემოღება, მ. თამარაშვილის აზრით, 471 წლის შემდეგ ვერ მოხდებოდა, ვინაიდან ანტიოქიის პატრიარქი პეტრე (ფულონი), რომელმაც სცნო ქართული ეკლესია დამოუკიდებლად, 471 წელს გარდაიცვალა. მ. თამარაშვილის ნაშრომში დიდი ადგილი

1. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ.162.
2. იქვე, გვ.162.
3. იქვე, გვ.162.
4. იქვე, გვ.402.

აქვს დათმობილი თითოეული კათალიკოსის აღსაყდრებას თუ საერთოდ მოღვაწეობას, მკვლევარი ცდილობს, გაარკვიოს პერსონალური თანმიმდევრობა და წლები, რომლის დროსაც ქართული წყაროების სიმწირეს უცხოური მასალებით ავსებს.

მართალია, მ. თამარაშვილსაც ქართველ მკვლევართა ერთი ნაწილივით მიაჩნდა, რომ საქართველოში კათალიკოსობის დაწესება ავტომატურად ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებასაც ნიშნავდა, მაგრამ, ამავე დროს, იმისი აღნიშვნაც არ ავიწყდება, რომ სრული დამოუკიდებლობა ქართულ ეკლესიას V საუკუნიდანაც არ მიუღია.

„საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართული ეკლესიის სათავეში მხოლოდ არქიეპისკოპოსები იდგნენ. დაახლოებით 471 წლისათვის ანტიოქიის საპატრიარქომ ეს ეკლესია დამოუკიდებლად სცნო და მისი საჭეთმპყრობელი აღიყვანა კათალიკოსად, მაგრამ მიუხედავად ამ პრივილეგიისა, ქართული ეკლესიის წინამძღოლები ჯერ კიდევ ანტიოქიაში ხელდასხმული უცხოელები იყვნენ. ეს წესიც დაახლოებით ერთ საუკუნემდე გაგრძელდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-სა და „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ქართულმა ეკლესიამ მხოლოდ იმპერატორ იუსტიანეს დროს (527-565) მოიპოვა უფლება, ნაცვლად უცხოელებისა, კათალიკოსის ტახტზე აეყვანა ქართველები, მაგრამ კათალიკოსი მაინც ანტიოქიის პატრიარქს უნდა ეკურთხებინა და ეს წესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა".[1] როგორც ჩანს, მ. თამარაშვილი ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხში ხედავს რაღაც შუალედურს, ე.წ. დამოუკიდებლობასა და სრულ დამოუკიდებლობას შორის. როგორც ზემოთ ვნახეთ, კათალიკოსის ინსტიტუტის შემოღება მას ქართული ეკლესიის დამოუკიდებელი სტატუსით აღჭურვად მიაჩნდა, მაგრამ ვინაიდან ამ იერარქიულ კიბეს ჯერ უცხოელები, ხოლო შემდეგ მართალია ქართველები, მაგრამ უცხოეთში ნაკურთხნი იკავებდნენ, მ. თამარაშვილს სრულ დამოუკიდებლობად არ მიაჩნდა.

ქართული ეკლესია მსოფლიოში აღიარებული ეკლესიების გვერდით თავის ადგილს იკავებს, მკვიდრდება, მაგრამ, მ. თამარაშვილის აზრით, „საქართველოს სრული სარწმუნოებრივი დამოუკიდებლობა მხოლოდ VIII საუკუნეში მიენიჭა".[2] ამის დასტურად მოჰყავს ვრცელი ამონაწერი XI საუკუნის მწერალ ბერი ნიკონის თხზულებიდან, სადაც ლაპარაკია,

1. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ, გვ.405.
2. იქვე, გვ.407.

რომ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა (741-775) და ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს (744-751) ქართველ ეპისკოპოსებს მიეცათ უფლება, თავად აერჩიათ კათალიკოსი, რაც ქართული წყაროების მონაცემებითაც დასტურდება. აღნიშნული სიტუაციას კი მ. თამარაშვილი სრულ სარწმუნოებრივ დამოუკიდებლობას უწოდებს.

როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას V საუკუნიდან აღიარებს, რასაც როგორც ზემოთ ვნახეთ, იზიარებს დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილიც. თუმცა ეკლესია არ იზიარებს ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას საქართველოში წმ. ანდრიასა და წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ, რომელთა პერსონის ისტორიულობაში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი მ. თამარაშვილს.

მ. თამარაშვილმა საქართველოს ეკლესიის ისტორიის არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი საკითხი წამოსწია წინ, შესაბამისი ისტორიული წყაროები მოუძებნა მათ და, ხშირ შემთხვევაში, ემპირიული მსჯელობა მეცნიერული არგუმენტაციით განამტკიცა და როგორც ბატონები ზ. ალექსიძე და ჯ. ოდიშელი წერენ დასახელებული ნაშრომის ქართული გამოცემის შესავალში, მ. თამარაშვილის წიგნი, რომელიც 80 წლის შემდეგ გამოვიდა ქართულ ენაზე: „ცოცხლად და აქტიურად ჩაერთვება საქართველოსა და ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში, ახალ იმპულსებს მისცემს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართ, მომავალ თაობებს“.[1]

1. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ, გვ.9.

ისტორიკოსი სერგი გორგაძე ქართული ეკლესიის ინტერესების დამცველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეკლესიიის ავტოკეფალიის საკითხზე ცალკე გამოვიდა თავისი მოსაზრებით ცნობილი ისტორიკოსი და ფილოლოგი სერგი გორგაძეც, რომლის ღვაწლი და ისტორიოგრაფიული დამსახურება საქართველოს ეკლესიის ისტორიის ზოგად თუ ცალკეულ საკითხებზეც საგანგებოდ იქნა შესწავლილი ზ. აბაშიძის საკანდიდატო დისერტაციაში. ამ ნაშრომით ჩვენც სათანადოდ ვისარგებლეთ ს. გორგაძის როლის შეფასებისას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხთან დაკავშირებით.

ს. გორგაძე ენერგიულად ჩაება იმ თეორიულ-პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე ეწეოდა რუსეთის ეკლესიის წმ. სინოდთან არსებული საგანგებო კომისია და რუსეთის ეკლესიის კრების წინა სათათბირო.

კამათმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე მალე სხდომათა დარბაზიდან პრესის ფურცლებზე გადაინაცვლა, რაშიც აქტიურად ჩაება ს. გორგაძეც, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს შეეხო ჯერ კიდევ სადისერტაციო ნაშრომში „ეკლესიის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა ძველ საქართველოში". 1905-06 წლებში აღნიშნულ პრობლემას ს. გორგაძემ მიუძღვნა რამდენიმე საგაზეთო წერილი და საჟურნალო სტატია.

ს. გორგაძის აზრით, ქართულმა ეკლესიამ დამოუკიდებლობის გზაზე გაიარა სამი საფეხური.

ვახტანგ გორგასალის დროს შემოღებულ საკათალიკოსო მმართველობას, ს. გორგაძის აზრით, მოჰყვა ეკლესიის საშინაო საქმეებში თავისუფლება. 1901 წელს სადისერტაციო ნაშრომში ს. გორგაძე ზემოაღნიშნულ თავისუფლებას განსაზღვრავდა ტერმინით „ავტოკეფალია", თუმცა ფიქრობდა, რომ ეს ავტოკეფალია შეზღუდული იყო. მოგვიანებით ავტოკეფალიისადმი თავის ნაშრომში ისტორიკოსი აღარ ხმარობდა ტერმინს „ავტოკეფალიას", და მიაჩნდა, რომ ვახტანგის რეფორმის შედეგად ქართულმა ეკლესიამ მიიღო თვითმმართველობა, ან სრული ავტონომია. მერვე საუკუნეში ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს, მიიჩნევდა ს. გორგაძე, ქართული ეკლესია სრულიად გათავისუფლდა ანტიოქიის კათედრაზე დამოკიდებულებისაგან და დარჩა ამ უკანასკნელთა მხოლოდ ნომინალურ

ზემდგომობის ქვეშ (პატრიარქის სახელის მოხსენიება, მატერიალური შესაწირი და ა.შ.).

ს. გორგაძის აზრით, ამგვარ დამოკიდებულებასაც ბოლო მოეღო საქართველოს ერთიანი სამეფოს შექმნის შემდეგ, როდესაც გაერთიანებული საქართველოს ერთიანი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა კათალიკოს-პატრიარქის წოდებულება მიიღო და პატივითა და უფლებებით გაუთანაბრდა აღმოსავლეთის სხვა პატრიარქებს.

ზ. აბაშიძის კომენტარით, მართალი იყო ს. გორგაძე, როდესაც ვახტანგის დროინდელ ქართლის ეკლესიის სტატუსს განსაზღვრავდა ტერმინით „ავტოკეფალიური." მაგრამ იმავე მკვლევარის სიტყვებით, ს. გორგაძე ცდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც შემდგომი ეპოქისათვის აღარ ხმარობდა ტერმინს „ავტოკეფალიური" და ლაპარაკობდა იმდროინდელი ქართლის ეკლესიის „ავტონომიაზე", რა ტერმინიც ქართული ეკლესიის სტატუსის განსაზღვრისათვის პირველად სწორედ ს. გორგაძემ იხმარა. დღეს კი, შენიშნავს ზ. აბაშიძე, ამ ტერმინით განსაზღვრავს ჩვენი ეკლესიის ვახტანგის დროინდელ სტატუსს ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი.

ზ. აბაშიძის აზრით, თვითმმართველობა ნიშნავდა სწორედ ავტოკეფალიას, ამ შემთხვევაში კი ავტოკეფალია და თვითმმართველობა შინაარსობრივად იდენტურია. უფრო სწორად, ავტოკეფალია გულისხმობდა ადგილობრივი ეკლესიის თვითმმართველობას და მეტს არაფერს. X ს-ში კი მცხეთის კათალიკოსის აღზევებას საპატრიარქომდე სრულიად ახალ საფეხურზე აჰყავდა ქართული ეკლესია და მისი პირველი იერარქი — მელქისედეკ კათალიკოს-პატრიარქი უთანაბრდებოდა აღმოსავლეთის საპატრიარქო საყდრებს. სწორედ ეს უკანასკნელი მოვლენა მიაჩნდა ს. გორგაძეს ქართული ეკლესიისათვის სრული ავტოკეფალიის მინიჭების ფაქტად. ამგვარ შეხედულებას, შენიშნავს ზ. აბაშიძე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ავითარებდნენ ს. გორგაძის თანამედროვე ისტორიკოსებიც. ამ აზრს იზიარებენ დღეს მოღვაწე მკვლევარებიც (მ. კელენჯერიძე, ევ. ნიკოლაძე, ნ. პაპუაშვილი, ჯ. ფარისი და სხვ.). ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ვახტანგის დროს ქართულმა ეკლესიამ ერთხელ და სამუდამოდ მიიღო სრული თავისუფლება. ნაწილი კი იმ აზრისაა, რომ საკათალიკოსო მმართველობის შემოღება სრულიადაც არ ნიშნავდა ქართული ეკლესიის გათავისუფლებას გარეშე დაქვემდებარებისაგან, არადა სწორედ ეს ფაქტი, ე.ი. მცხეთის კათალიკოსის

გაპატრიარქება მიაჩნდა ს. გორგაძეს ეკლესიისათვის „სრული ავტოკეფალიის“ მინიჭების ფაქტად, რასაც ზემოთაც ვუთითებდით.

ისტორიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ვახტანგის დროს ქართულმა ეკლესიამ ერთხელ და სამუდამოდ მიიღო სრული თავისუფლება, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ საკათალიკოსო მმართველობის შემოღება სრულებითაც არ ნიშნავდა ეკლესიის სტატუსის შეცვლას და ამით ქართლის ეკლესიას არ მიუღია თვითმმართველობა.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ტენდენციასთან, რომ ტერმინ „ავტოკეფალიას“ შესძინონ იმაზე მეტი აზრობრივი დატვირთვა, რაც მას სინამდვილეში ჰქონდა. ისტორიკოსების უმეტესობა არ ითვალისწინებს ცნება და ტერმინის „ავტოკეფალიის“ ტრანსფორმაციას საუკუნეების მანძილზე, იმას, თუ რას გულისხმობდა იგი ძველ დროში საპატრიარქოების ჩამოყალიბებამდე. ყოველივე ეს მიზეზია იმისა, რომ მკვლევარები ვერ შეთანხმებულან ქართლის ეკლესიის სტატუსის განსაზღვრისას. ამგვარ სირთულეს ვერ ასცდა ს. გორგაძეც.

საკათალიკოსო მმართველობის შემოღება და, გარკვეულწილად, ამ მოვლენის დათარიღებაც, დაკავშირებულია ორ სასულიერო პირთან: მღვდელ პეტრესთან, რომელმაც მცხეთის კათედრა დაიკავა და კათალიკოსი გახდა და სამოელ მონაზონთან. ს. გორგაძემ ვარაუდი გამოთქვა, რომ შუშანიკის მარტვილობაში ეპისკოპოსთა თავად მოხსენიებული სამოელი არის პირველ კათალიკოს პეტრესთან ერთად ქართლში გამოგზავნილი სამოელი, რომელიც შუშანიკის გარდაცვალების მომენტისათვის ჯერ კიდევ არ იყო ნაკურთხი კათალიკოსად. ამას ს. გორგაძე ფიქრობდა იმიტომ, რომ სამოელი ჯერ კიდევ მოხსენიებულია „ეპისკოპოსთა თავად“. ეს წოდება კი, ს. გორგაძის თანახმად არ არის ეკვივალენტი კათალიკოსისა და შეესაბამება მთავარეპისკოპოსს. ეს შეხედულება შემდეგ არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა და დღესაც ამ აზრს ბევრი იზიარებს. ზ. აბაშიძის სიტყვით, შესაძლებელია, სიმართლეს შეესაბამებოდეს აზრი, რომ „თავი ეპისკოპოსთა“ და „კათალიკოსი“ ერთი და იმავე შინაარსისაა. „თავი ეპისკოპოსთა“ შესაძლებელია ეწოდოს ნებისმიერ მღვდელმთავარს, რომელიც სათავეში უდგას საეკლესიო ორგანიზაციას (რამდენიმე ეპისკოპოსისაგან რომ შედგება), თუმცა გამორიცხული არაა, რომ როგორც ს. გორგაძე ფიქრობდა, „შუშანიკის მარტვილობის“ შექმნის დროს ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ქართული საეკლესიო

ტერმინოლოგია და ამ მიზნით „თავი ეპისკოპოსთა“ იხმარებოდა მთავარი ეპისკოპოსის მნიშვნელობით.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსთა უმრავლესობა „შუშანიკის მარტვილობაში“ ნახსენებ სამოელს პეტრესთან ერთად მცხეთაში ეპისკოპოსად გამწესებულ სამოელს სხვადასხვა პირად წარმოადგენდნენ, ვარაუდი, რომ საქმე გვაქვს ერთსა და იმავე სამოელთან, ინარჩუნებს არსებობის უფლებას და ზამას იზიარებს თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილიც.

1. ზ. აბაშიძე, სერგი გორგაძე ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსპოვებლად. თბ. 1998 წ. ტექსტი ინახება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 1997 გვ. 31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III თავი

ალექსანდრე ცაგარელი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში

გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის — ალექსანდრე ცაგარელის მოღვაწეობა დაემთხვა რუსული ცარიზმის ყველაზე უფრო რეაქციულ წლებს, როდესაც დაპყრობილი ხალხის წიაღიდან გამოსულ სწავლულებს ეჭვის თვალითა და განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ, რაც ამ უკანასკნელთა მხრიდან არა მარტო პირად გაბედულებასა და ვაჟკაცობას მოითხოვდა, არამედ დიდ ნიჭიერებასა და განსწავლულობასაც, რადგან ყველა სფეროში ფეხმოკიდებული უმკაცრესი ცენზურა — სწორედ შეუპოვრობითა და დიდი რისკის ფასად გადალახულიყო.

ალ. ცაგარელი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მეცნიერთაგანი, რომელმაც ისტორიული მოვლენების ანალიზსა და დასკვნების გამოტანას საფუძვლად დაუდო პირველწყაროთა მონაცემები და იგი სერიოზული მეცნიერული განსჯის საგნად აქცია. ამიტომაც ალ. ცაგარელის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესწავლით დაინტერესებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან დიდ მეცნიერს მთელი რუსეთის იმპერიის გასაგონად შეეძლო ისეთი სიტყვა ეთქვა, რომელიც უსათუოდ იქნებოდა დასაბუთებული ისტორიული დოკუმენტებითა და სწორი, მეცნიერული დასკვნებით. არტურ ლაისტის თქმით — „თავისი შრომებით ცაგარელმა ბიძგი მისცა ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის განვითარებას“[1].

მართლაც, ქართული ეკლესიისათვის შელახული ავტორიტეტის აღორძინების საქმეში სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა ალექსანდრე ცაგარელმა, რომელმაც ხსენებული პრობლემის გაშუქებას

1. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1968, გვ. 160.

გამოკვლევებისა და პუბლიცისტური წერილების მთელი რიგი მიუძღვნა. უმთავრესად, რუსულენოვან პერიოდიკაში, რითაც კიდევ უფრო გაამწვავა ქართველთათვის ეს საჭირბოროტო საკითხი და ფართო საზოგადოების ყურადღება მიაქცია საქართველოს ეკლესიის მძიმე დღეს.

ალ. ცაგარელი ცნობილი ავტორიტეტი იყო. მის აზრებსა და შეხედულებებს პატივს მიაგებდნენ და ეყრდნობოდნენ. მან განვლო დიდი მეცნიერული გზა, გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული სიტყვიერების კათედრის გამგე. მისი მოწაფეები იყვნენ შემდგომში სახელოვანი მეცნიერები — ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი. საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერის სიტყვამ და საქმემ მთელ იმპერიაში შეცვალა შეხედულება საქართველოს ეკლესიის მიმართ, რომლის ისტორიულ დამსახურებებზე ახლა რუს რეაქციონერებს ფაქტებზე ზეწოლის გარეშე ლაპარაკი აღარ შეეძლოთ. „მეფის აგენტურას არ გამოპარვია მეცნიერის ამგვარი მოღვაწეობა. თბილისისა და პეტერბურგის საიდუმლო პოლიციებში ალ. ცაგარელზე სპეციალური საქმე შედგა და მასზე მეთვალყურეობა დააწესეს“[1].

ქართველ საზოგადოებრიობასაც, ბუნებრივია, შეუმჩნეველი არ დარჩენია ალ. ცაგარელის აქტიური დაინტერესება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიით და იგი საგანგებოდ მიიწვიეს კომისიაში, რომელიც რუსეთის იმპერიის მმართველ წრეებთან და უმაღლეს სამღვდელოებასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ქართული ეკლესიისათვის ისტორიულად მოპოვებული დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად, თუმცა აღნიშნული საკითხი წლობით გაჭიანურდა და ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილს არაერთი საყვედურისა და ლანძღვის მოსმენა მოუწია რუსი რეაქციონერი შოვინისტებისაგან, რომლებსაც ცარიზმის ოფიციოზიც მხარს უბამდა და ზურგს უმაგრებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი სასტიკად აღიზიანებდა რუსული სამღვდელოების იერარქიას და მთლიანად იმპერიის უმაღლეს მოხელეებსაც, ალ. ცაგარელმა მაინც

1. კ. კინწურაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, თბ., 1974, გვ. 101.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ცაგარელი – 1844-1929

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ხახანაშვილი – 1864-1911

შეძლო 1912 წელს პეტერბურგში ცალკე წიგნად გამოეცა ნარკვევები ქართული ეკლესიის ისტორიის შესახებ[1].

აღნიშნული წიგნის გამოსვლით, შეიძლება ითქვას, რომ სერიოზული განაცხადი იქნა გაკეთებული ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების აუცილებლობის სასარგებლოდ. ალ. ცაგარელს არ გასჭირვებია ისტორიული დოკუმენტების მომარჯვებითა და დასაბუთებული მეცნიერული მსჯელობით სრული სურათი დაეხატა ქართული ეკლესიის მიერ განვლილი გზისა, რომლის ძირითადი ლაიტმოტივი იყო იმისი მტკიცება, რომ ქართულ ეკლესიას უდიდესი დამსახურება აქვს ქრისტიანული სამყაროს წინაშე და იგი უსათუოდ იმსახურებს დამოუკიდებლობის დაბრუნებას.

„რუსეთის ეკლესია, – წერდა ა. ცაგარელი – 1589 წლიდან, და თუნდაც 1721 წელს გამოცემული „სასულიერო რეგლამენტის" შემდეგ სარგებლობს „ავტოკეფალიით" და თავის მმართველობაში არ ემორჩილება უცხო ეკლესიას, თვითონ ახორციელებს საკუთარ ამოცანებსა და მიზნებს, იმართება რა თავისივე იერარქებით წმინდა სინოდის სახით და ხელმძღვანელობს არა მარტო საერთო საეკლესიო დადგენილებებით, გადმოცემებითა და ჩვეულებებით, ასევე თავად რუსული ეკლესიის განსაზღვრებებით. ღვთისმსახურება, წირვა და სხვა ხორციელდება საეკლესიო-სლავურ ენაზე, საქმის წარმოება, სასამართლო, სასულიერო სასწავლებლებში საგანთა სწავლება მომავალ ღვთისმსახურთა მომზადებისათვის მიმდინარეობს მშობლიურ რუსულ ენაზე; თანხა, რომელსაც ხაზინა გამოყოფს, სასულიერო პირთა და ეკლესიების შესანახად ნაწილდება წმინდა სინოდთან არსებული სამეურნეო სამმართველოს მიერ და ა. შ. საქართველოს ეკლესია კი 1811 წლიდან ყოველივე ამას მოკლებულია. ერთი სიტყვით რუსული ეკლესიისათვის პროექტირებული „პატრიარქობა" არის რუსული საეკლესიო იერარქიული შენობის დაგვირგვინება, ანდა „მეთაურობა", საქართველოს ეკლესიისათვის კი „ავტოკეფალია",

1. ალ. ცაგარელი, სტატიები და ჩანაწერები ქართული საეკლესიო საკითხის შესახებ, პეტ., 1912 წ. (რუს. ენაზე).

ანდა „კათალიკოსობა“ — ეს „პურია არსობისა“, რომლის გარეშე, როგორც ასეთი, მას არსებობა არ შეუძლია“[1].

მსგავსი განცხადებები ქართული ეკლესიის სასარგებლოდ ბევრს ჰქონდა ნათქვამი, მაგრამ ალ. ცაგარელის სიტყვას სხვა წონა და მიზანმიმართულება ჰქონდა. იგი ადვილად მოსაგერიებელი ან გასაბათილებელი არ იყო. აქ უზარმაზარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობითა და ღრმა მეცნიერული განზოგადებით დასტურდებოდა ქართული ეკლესიის დიდი ისტორია და მისი, როგორც დამოუკიდებელ ეპარქიად მსოფლიო საეკლესიო აღიარება, რასაც კატეგორიულად უარყოფდნენ რუსული ეკლესიის შოვინისტი მამები და თან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას განზრახ უდებდნენ პოლიტიკურ მოტივაციას და იმპერიის ხელისუფლებას ქართველთა მიერ მომავალში ავტონომიის მოთხოვნით აშინებდნენ.

ალექსანდრე ცაგარელი იძულებული იყო, განეცხადებინა — „აქ საქმე ეხება არა დოგმებსა და წეს-ჩვეულებებს, არა ღმერთმაძიებლობასა და საეკლესიო მოდერნიზმს, სიახლეებსა და ახალმიმდინარეობას, საეკლესიო თუ პოლიტიკურ „სეპარატიზმს“, რამე თუ საქართველო და ქართველები არ აპირებენ წასვლას არც მართლმადიდებლური რწმენიდან და არც რუსეთის იმპერიიდან — არამედ ლაპარაკია მხოლოდ ქართული ეკლესიის კანონიკური მართვის აღდგენაზე, მართლმადიდებლურ ბერძნულ-აღმოსავლური საეკლესიო კანონმდებლობისა და პრაქტიკის საფუძველზე, იმ სახით, რომლითაც იგი იმართებოდა 1811 წლამდე“[2].

მართლაც, ქართველ საზოგადოებაში რუსეთის მიერ მისი ოკუპაციიდან ასი წლის შემდეგაც არ შეწყვეტილა ფიქრი საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების შესახებ, მაგრამ ქართველ მოღვაწეებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ეს გზა მოკლე და იოლი გასავლელი არ იქნებოდა. საჭირო იყო ყველა ნაბიჯისა და მოქმედების წინასწარ აწონვა.

---

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ. გვ. 4.
2. იქვე, გვ. 4.

ალ. ცაგარელი აღშფოთებას ვერ ფარავს იმ ბიუროკრატიული და ზერელე დამოკიდებულების გამო, რასაც წმინდა სინოდში მოკალათებული შოვინისტები იჩენდნენ საქართველოს ეკლესიის საკითხისადმი, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ეროვნული პრობლემის ხასიათი მიიღო და ინტელექტუალ ქართველთა ძალისხმევის მთავარ მიზანმიმართულებად იქცა.

მართლაც, მეტის მოთმენა შეუძლებელი იყო. რუსეთის იმპერიული მანქანა ქრისტიანულ-მართლმადიდებლობის სახელით ანგრევდა ხალხის სულიერ რწმენასა და შეგნებას. ამ მიზნის მისაღწევად კი რუსეთის რეაქციას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სრული დეზორგანიზაცია და მასებისაგან მისი იზოლირება ჰქონდა გადაწყვეტილი, რასაც მეთოდურად ახორციელებდა კიდეც.

1811 წელს რუსეთის თვითმპყრობელობამ ქართლ-კახეთის სასულიერო დისკატერიის დაარსებით გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რასაც 1845 წელს მოჰყვა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის შექმნა, ბოლოს ეს ყველაფერი დაგვირგვინდა საქართველოს საეგზარქოსოს ჩამოყალიბებით, რომლის სათავეშიც სასულიერო მანტიაში გახვეული პირწავარდნილი რეაქციონერები ინიშნებოდნენ. დევიზი რუსი შოვინისტებისა — სხეული ეროვნული, სული კი რუსული, თანდათან ძალას იკრებდა და საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა, ვიდრე ოსმალო-სპარსთა ბატონობა.

ქართული ეკლესია, მისი არაერთი ჭეშმარიტი მესვეური არცთუ იოლად ნებდებოდა რუსეთის ხელისუფლებასა და რუსულ სინოდს, რომელსაც იგი დაუმორჩილეს. რუსულ საეკლესიო რეფორმას საქართველოში იმერეთ-გურიის დიდი აჯანყება მოჰყვა 1819-1820 წლებში. პატრიოტი ქართველი მღვდლები და მღვდელმთავრები განაგრძობდნენ ეროვნულ მოღვაწეობას (ფილადელფოს კიკნაძე, გერასიმე-გაბრიელ ქიქოძე, გიორგი-კირიონ საძაგლიშვილი და სხვები). საბოლოოდ ცარიზმმა მაინც შეძლო სასულიერო წოდების გადაბირება და თავის სამსახურში ჩაყენება. უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ხაზინის მიერ ქართული ეკლესიის უზარმაზარი ქონებიდან სამღვდელოებისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანტონ II – 1765-1827

მცირე ხელფასის დანიშვნით; საქართველოს საეგზარქოსო საიმპერიო ხელისუფლებამ თავისი ძლიერების იდეოლოგიურ საყრდენად გადააქცია მთელ კავკასიაში. საქართველოს ეგზარქოსად რუსეთის სინოდი რუს მღვდელმთავარს ნიშნავდა (გარდა ერთი შემთხვევისა 19-დან), მაგრამ ყველა ისინი ამავე დროს ქართლ-კახეთის მიტროპოლიტისა და არქიეპისკოპოსის წოდებას ატარებდნენ, თუმცა მათ კომპეტენციას მთლიანად კავკასია ექვემდებარებოდა და რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის იერარქიაში მეოთხე საფეხურზე იდგა თითქმის ასზე მეტი წლის მანძილზე.

მეოცე საუკუნის დამდეგიდან საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების მოთხოვნით კიდევ უფრო მეტი დაჟინებით დაიწყეს გამოსვლა ქართული ეკლესიის პატრიოტულად განწყობილმა ძალებმა, რასაც საერო ინტელიგენციის უთვალსაჩინოესმა მოღვაწეებმაც აუბეს მხარი და ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნება, შეიძლება ითქვას, XX ს-ის დამდეგიდან ქართველთათვის არა მარტო პრინციპისა და შელახული თავმოყვარეობის, არამედ საქართველოს მომავალი ხვედრისათვის მნიშვნელოვან წინასწარ მოსამზადებელ ნაბიჯად აღიქმებოდა. 1905 წლის ზაფხულში შეიქმნა „საქართველოს ეკლესიის თავისუფლების აღმდგენელი ძმობა“, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ქართველი სამღვდელოების წარმომადგენელთა ყრილობამ მოითხოვა საქართველოს ეკლესიის გამოყოფა რუსეთის ეკლესიისაგან და მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ მიზნით საქართველოს სასულიერო წარმომადგენლობამ ორჯერ — 1905 და 1906 წელს პეტიციით მიმართა იმპერიის როგორც საერო, ისე სასულიერო იერარქიას, სადაც, მართალია, აღნიშნული საკითხი იხილებოდა კიდეც, მაგრამ გაქნილ რუს მოხელეებს ქართველთათვის ამ უპირველესი სურვილის არარაობამდე დაყვანა სულაც არ უჭირდათ. „ბოლო ხუთის წლის განმავლობაში — წერდა ა. ცაგარელი თავის დასახელებულ ნაშრომში, — ამ საკითხთან დაკავშირებით ორი თათბირი შედგა წმინდა სინოდთან, ხოლო ერთი — წინასაეკლესიო კრების II განყოფილებაში, სამივე შემთხვევაში ამ თათბირების წევრები მივიდნენ სამ განსხვავებულ დასკვნამდე. ეს

სამი განსხვავებული დასკვნა ერთსა და იმავე საგანზე იმაზე მიუთითებს, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ არასწორად იქნა დაყენებული, არასწორად გაგებული, არ განიხილებოდა მკაცრად საეკლესიო თვალსაზრისით, რამაც შედეგად მიგვიყვანა კიდეც სხვადასხვა არასწორ დასკვნებამდე"[1].

მოვლენათა ასეთ განვითარებას ალ. ცაგარელი განზე მაცქერლად ვერ დაურჩებოდა და ჯერ კიდევ 1907 წელს თავისი აზრი წმ. სინოდს წერილობით წარუდგინა, სადაც დიდი მეცნიერი ზედმიწევნით ზუსტად აღწერს იმ სიტუაციას, თუ როგორ იხილება რუსეთის სასულიერო იერარქიაში ქართული ეკლესიის საკითხი და რამდენად აინტერესებს რუსეთის შავრაზმელ სამღვდელოებას ობიექტურად გადაწყვიტოს ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნება.

ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, — „პირველ რიგში ნიშანდობლივია ის, რომ რუსეთის სამღვდელოება საქართველოს ეკლესიას და მის მრევლს დამნაშავეებად თვლის და ამ საქმეში უპირველეს მოსამართლეებად საკუთარ თავს მიიჩნევს, რაც საშუალებას არ აძლევს მათ ობიექტურად და მიუკერძოებლად გადაწყვიტონ ეს საკითხი, არადა ქართული ეკლესია ნამდვილად დაზარალებული, დაჩაგრული მხარეა." მეცნიერი იმასაც აღნიშნავდა, რომ ფორმალური საეკლესიო წესების მიხედვით ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენა-არაღდგენის საკითხი არ უნდა იყოს ისეთივე ეკლესიის გადასაწყვეტი. ეს მსოფლიო ეკლესიის, მსოფლიო პატრიარქისა თუ მსოფლიო კრების კომპეტენციაა.

მეორე მიზეზი, ალ. ცაგარელის აზრით, რომლითაც რუსეთის სასულიერო იერარქიაში მოკალათებული შოვინისტები ეწინააღმდეგებოდნენ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების საკითხს, იყო პოლიტიკური, ანუ ე. წ. პატრიოტული, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან თუ კავშირთან მიტმასნილი სინოდის ესა თუ ის წევრები ამ პარტიათა ტაქტიკური მოსაზრებებით

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

ხელმძღვანელობდნენ. ამიტომაც ავტოკეფალიის მომხრეებს პირდაპირ სეპარატიზმში სდებდნენ ბრალს და ცდილობდნენ, სინოდის დანარჩენი წევრებისათვის მათი არაკეთილსაიმედოობა დაემტკიცებინათ რუსეთის იმპერიის წინაშე. ალ. ცაგარელს არ მორიდებია მათი გვარების – ბუტკოვიჩის და ვოსტორგოვის დასახელება და მეთოდური, ღრმად გააზრებული არგუმენტებით აბათილებს საქმეში ჩაუხედავ, ისტორიასთან მწყრალად მყოფი ამ შოვინისტების უტაქტო მსჯელობას.

„ეს ოპონენტები ლაპარაკობენ, რომ ქართველები ავტოკეფალიის დაბრუნებას მაძიებლობენ არა რელიგიური, არამედ პოლიტიკური მიზნით, რომ ავტოკეფალიის აღდგენა ვითომ ეს არის პოლიტიკური, ან სახელმწიფო სეპარატიზმი, რომ აზრი ავტოკეფალიის შესახებ წარმოიშვა ახლახან მომხდარი „რევოლუციის" დროს, და რომ მანამდე ქართველები ამის შესახებ არც კი ფიქრობდნენ. და ბოლოს, ვითომ იმიტომაც, რომ ძნელია ერთმანეთისაგან განასხვავო რუსული და ქართული მრევლი"[1].

როგორც უკვე ითქვა, ალ. ცაგარელი იმ პერიოდის იმპერიის სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაშიც აღიარებული ავტორიტეტი იყო, ამიტომ მას ჰქონდა საშუალება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ პირადი საუბრები ჰქონოდა მმართველი წრეების ხელმძღვანელ პირებთანაც. თვითონვე შენიშნავს, რომ ბოლო ხუთი-ექვსი წლის მანძილზე, მას შემდეგ რაც ქართველთათვის ეს მტკივნეული საკითხი იხილებოდა, პირადად მას ჰქონდა შეხვედრები და საუბრები არაერთ ოფიციალურ პირთან და არც ერთ მათგანს არ უთქვამს, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენა – ეს სეპარატიზმი, ან სახელმწიფო ღალატი იყოს. ის კი არა, – წერს მეცნიერი, – 1907 წელს წმინდა სინოდის ობერ-პროკურორმა პირდაპირ განმიცხადა, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი გადაცემული აქვს სასულიერო უწყებას არა როგორც პოლიტიკური, ან სახელმწიფო, არამედ როგორც სასულიერო საკითხი. მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ იმ

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

დროს რუსეთის იმპერიის მესვეურთ შესანიშნავად შეეძლოთ თვალთმაქცობა და როდესაც საკითხი განხილვამდე მივიდოდა, ვოსტორგოვისა და ბუტკოვიჩის მსგავსი შოვინისტები ადვილად ახერხებდნენ დანარჩენი წევრების ვითომდა დაყოლიებას, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება ყოვლად შეუძლებელი იყო.

ალ. ცაგარელი გაკვირვებული და შეწუხებულია იმპერიის უმაღლეს სასულიერო უწყებაში ავტოკეფალიის საკითხის განხილვისას მოვლენათა განვითარებით, რომ თითქოს ეს ერთი შეხედვით მარტივად გადასაწყვეტი საკითხი გაუთავებული დისკუსიებისა და მუდმივი ჩავარდნის საგნად გამხდარა.

მეცნიერი წერს: „ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ იერარქიის უმაღლესი ავტორიტეტისა და ხელისუფლების მქონე წარჩინებულთა უმრავლესობა ობიექტურად და წინასწარ ცუდი განწყობის გარეშე უდგება ქართული ეკლესიის საკითხს, ისე რომ ვერ ხედავს მასში ქართველთა მხრიდან „სეპარატიზმსა“ და „ღალატს“ სახელმწიფოს მიმართ, როგორც ამას ღაღადებენ მამა-მისიონერები ვოსტორგოვი და ბუტკევიჩი. მაგრამ, ნურას უკაცრავად, ისინი მობრძანდნენ II განყოფილებაში, გახდნენ მოთავენი და წინასწარმეტყველნი საკითხის განხილვისას, მიაღწიეს კიდეც სხვათა სწორი გზიდან გადაცდენას. ეს დროის რაღაც ნიშანია: ნუთუ არ დადგა ნაწინასწარმეტყველი დრო ცრუ წინასწარმეტყველთა გამოვლენისა“[1].

მთელი სირთულე ის იყო, რომ თავად რუსული საზოგადოების დიდი უმრავლესობა უარყოფითად იყო განწყობილი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მიმართ და მხოლოდ მისი რეორგანიზაციის მოთხოვნით კმაყოფილდებოდა. რაც თავისთავად, ცხადია, მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის და ამიტომაც დაჟინებული მოთხოვნა – ქართული ეკლესიის კანონიერ უფლებებში აღდგენისა, დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა. აღნიშნული საკითხის დაყენება იმ პერიოდში აღმოცენებულმა სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიამაც დაიწყო, მაგრამ სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს აძლევდნენ ამ

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

უფლებას. ისინი, ვინც საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდნენ, არც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ივიწყებდნენ, თუმცა ზოგ სოციალ-დემოკრატს ეს „ხუცესთა საქმედ“ მიაჩნდა.

1907 წელს ჯერ ქართველ თავადაზნაურთა საერთო კრების დავალებით ვ. მიქელაძე წარუდგა კავკასიის მეფისნაცვალს ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნით, მერე კი „საქართველოს უფლებების დამცველთა კავშირმა“ ოფიციალურად მიმართა რუსეთის იმპერატორს იმავე მოთხოვნით. მაგრამ რუსეთის მთავრობა და სინოდი ამ მოთხოვნის მომხრეებს „ამბოხებას“ აბრალებდა და ავტოკეფალისტებს (კირიონს, ლეონიდეს, კ. კეკელიძესა და სხვებს) სდევნიდა. ქართული სამღვდელოების ყრილობა სინოდმა არაკანონიერად სცნო, ხოლო მისი დელეგატები დამნაშავეებად. ამის საპასუხოდ ქართველმა სამღვდელოებამ ბოიკოტი გამოუცხადა 1906 წელს დანიშნულ ახალ ეგზარქოსს ნიკონს და სთხოვა, სახელმწიფო საბჭოს წევრ ილია ჭავჭავაძეს თავისი უარყოფითი დამოკიდებულებაც ეცნობებინა მისთვის.

რუსეთის სინოდის სხდომაზე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვას ოცი სასულიერო პირი ესწრებოდა, მათგან ოთხი ეპისკოპოსი – კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდი (ოქროპირიძე), დიმიტრი (აბაშიძე) და ექვთიმე (ელიაშვილი). მეცნიერთაგან განხილვაში მონაწილეობდნენ რელიგიის ისტორიკოსები ი. სოკოლოვი, ნ. დურნოვო, ქართველი ჰუმანიტარები ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი და ალექსანდრე ხახანაშვილი. სინოდის რამდენიმე წევრმა მხარი დაუჭირა ამ მეცნიერთა სამართლიან მოთხოვნებს, მიენიჭებინათ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალია. მაგრამ უმრავლესობამ ქართველ რენეგატ ექვთიმე და დიმიტრი ეპისკოპოსებთან ერთად უსაფუძვლოდ მიიჩნია და უარყო. მეტიც, სინოდის 7 წევრმა, 3-ის წინააღმდეგ, მოიწონა დეკანოზ ივანე ვოსტორგოვის პროექტი კავკასიის მიტროპოლიის დაარსების თაობაზე, რითაც უქმდებოდა ის მოჩვენებითი ავტონომიური უფლებანიც, რაც ქართულ ეკლესიას საქართველოს საეგზარქოსოს ფორმით გააჩნდა. ამით უკმაყოფილო და

აღშფოთებულმა ქართველმა ეპისკოპოსებმა კირიონმა და ლეონიდემ განაცხადეს: საქართველოს ეკლესია თვითონ განახორციელებს ავტოკეფალიას და დაშორდებაო სინოდს.

1907-1908 წლებში ზედიზედ გადააყენეს თანამდებობიდან ქართული ეპარქიების მრავალი სასულიერო პირი, მათ შორის კირიონ ეპისკოპოსიც, რომელიც საქართველოდან გაასახლეს კიდეც. მაგრამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა არ ნელდებოდა. კირიონი გადასახლებიდანაც მოუწოდებდა ქართველ სამღვდელოებასა და მრევლს, რომ ებრძოლათ იმ დღის მოახლოებისათვის, როცა ავტოკეფალური ქართულ ეკლესიას მოჰყვებოდა საეკლესიო ცხოვრების გამოცოცხლება, ეროვნული საეკლესიო-საგანმანათლებლო და საგამომცემლო ქსელის აღორძინება, საეკლესიო-ისტორიულ სიძველეთა აღდგენა-განახლება, ქართული ეკლესიის კუთვნილი მამაპაპეული მამულების დაბრუნება.

ზოგიერთი ზემოხსენებული რუსი მეცნიერი თუ მღვდელმთავარი იზიარებდა ქართველი მეცნიერებისა თუ პატრიოტ სასულიერო პირთა ავტოკეფალიურ თვალსაზრისს. მაგალითად, ნიკოლოზ დურნოვო, მხატვარი ვასილ ვერეშჩაგინი, ივანე სოკოლოვი, რომელსაც გულწრფელად უკვირდა, რომ „ქართველებმა აქამდე როგორ ვერ მიაღწიეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებას, რომელიც მოსპო უწმინდესმა სინოდმა". მეორე რუსი მეცნიერის გ. პანკოვის თქმით, სინოდის სხდომებმა ამის თაობაზე ქართული ეკლესიის „განკითხვის" სახე მიიღო.

ამასვე უყიჟინებდა ალ. ცაგარელი რუს რეაქციონერებს და მთელი მონდომებით უმტკიცებდა, რომ ეკლესიის ავტოკეფალიას პრინციპში შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი ავტონომიისა და „მეფობის" გარეშეც. „ამისი მაგალითები ჩვენ საკმაოდ გვაქვს ეკლესიის ისტორიაში, როგორც წარსულში, ისე დღევანდელობაში: რუსეთი 700 წელი ისე იყო სახელმწიფო, რომ არც ავტოკეფალია ქონია და არც პატრიარქი ყოლია. უნგრეთში მცხოვრებ 200 ათას სერბს ყავს თავიანთი პატრიარქი, მაშინ, როდესაც თავად სერბეთის სამეფოში იგი არა ყავთ. დღევანდლამდე აქვთ ავტოკეფალია და ყავთ პატრიარქი

ალექსანდრიის, იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებს, სადაც ქრისტიანულ პერიოდში არავითარი „მეფობა“ არ ყოფილა და ა. შ.[1]

ამდენად, ალ. ცაგარელის აბსოლუტურად სწორი მინიშნებით, ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებაზე პოლიტიკური სარჩულის მიკუთვნება ჭეშმარიტების თვალსაზრისით სრულიად უნაყოფო და უშედეგო ცდა იყო, მაგრამ ეს იქ, სადაც მოსმენა შეეძლოთ. თუკი საქართველოს ავტონომიის საკითხი დადგება, — აღნიშნავდა მეცნიერი — იმედია, ეს ვოსტორგოვისა და ბუტკევიჩის მსგავსთა გადასაწყვეტი არ იქნება. მართლაც, ქართული ეკლესიის საკითხის განხილვამ სინოდში, ნაცვლად იმისა, რომ მას საეკლესიო, კანონიკური მიმართულება მიეღო და საკითხი გადაწყვეტილიყო სწორედ სასულიერო მოტივირებით, პირიქით, პოლიტიკური შეფერილობა მისცეს და მისი რელიგიური მიმართულება საერთოდ უკანა პლანზე გადასწიეს. საქმე ის იყო, რომ სინოდს არანაირი საბუთი არ გააჩნდა, თავისი უარი საეკლესიო დოკუმენტაციით დაესაბუთებინა. მთელი განხილვის პერიოდში, რომელიც წლობით გრძელდებოდა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეებმა ვერანაირი საეკლესიო დოკუმენტი თავიანთი პოზიციის გასამყარებლად ვერ მოიტანეს. ამიტომაც მთელი მსჯელობა სწორედ პოლიტიკურ პრობლემაზე იყო გადატანილი, რაც ასე აღაშფოთებდა ალ. ცაგარელს.

„რუსეთის საეკლესიო კრებაზე — წერდა დიდი მეცნიერი, — შეიძლება ლაპარაკი იყოს არა ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ბოძებაზე, რომელიც მან თავის დროზე სრულიად კანონიკური თანმიმდევრობით მიიღო ანტიოქიის პატრიარქის საეკლესიო დადგენილებით, რომელზედაც იგი დამოკიდებული იყო წინათ და, რომლითაც (ავტოკეფალია) იგი სარგებლობდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, არამედ ქართული ეკლესიისათვის აკრძალვის მოხსნაზე, რათა განახორციელოს თავისი ავტოკეფალიური უფლებები და შეიცვალოს განკარგულება მისი წმინდა სინოდზე დაქვემდებარების შესახებ. მაშასადამე, რუსეთის საეკლესიო კრებას, რომელიც 200

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 16.

წელზე მეტია არ შეკრებილა, წარდგენილი აქვს სრულიად გამოკვეთილი და კონკრეტული კითხვა: აქვს თუ არა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიური უფლებების აღდგენას კანონიკური წინააღმდეგობები, როგორც ამას თავის პეტიციებში მოითხოვს საქართველოს სამღვდელოება და მრევლი? მით უმეტეს, რომ წმინდა სინოდმა თავის „მოხსენებაში" უმაღლესი ხელისუფლების სახელზე 1811 წელს არ მიუთითა არც ერთ კანონიკურ საფუძველზე (არც წმინდა წერილიდან, არც საეკლესიო წესებიდან და არც ეკლესიის წმინდა მამათა ქმნილებებიდან) ქართული კათოლიკოსობის ადგილზე საეგზარქოსოს დაარსებისა და მისი წმ. სინოდისადმი დაქვემდებარების შესახებ, ვინაიდან ასეთი საფუძვლები სინამდვილეში არც არსებობენ"[1]. ვფიქრობთ, ამაზე უფრო ნათლად საკითხის გაშუქება და მეცნიერული არგუმენტირება ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ რუსული ბიუროკრატია ძალის პოზიციიდან წყვეტდა საკითხებს და არა სამართლიანობისა თუ დამორჩილებულ ხალხთა სულიერი ინტერესების გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის დასაწყისი რუსეთის იმპერიისათვის არცთუ ისე სახარბიელოდ წარიმართა, ჯერ იყო და, რუსეთ-იაპონიის ომში სამარცხვინო დამარცხებამ სოციალური მდგომარეობა ქვეყანაში უკიდურესად დაძაბა, რასაც ზედ დაერთო, 1905 წლის რევოლუციაც, ქვეყანაში მასობრივი გამოსვლები აღინიშნა, რასაც ოსტატურად იყენებდნენ რუსეთის საზოგადოებას შავ ჭირად მოვლენილი ბოლშევიკები. ცარიზმი იძულებული შეიქნა, უკან დაეხია და ხალხი დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნით დაეშოშმინებინა. რუსეთის სამღვდელოებასაც პატრიარქობის აღდგენას შეჰპირდნენ, რასაც ეს უკანასკნელნი სიხარულით შეხვდნენ და ამ აქტის განხორციელებას 200 წლიანი ტყვეობიდან გათავისუფლებასაც კი უწოდებდნენ.

ეს ძალიან კარგია, აღნიშნავდა ალ. ცაგარელი, მაგრამ რა დააშავა ქართულმა ეკლესიამ, ასი წლის „ტყვეობის" შემდეგ ნუთუ მან არ დაიმსახურა თავისი ისტორიული უფლებები. მსოფლიო ეკლესიის

---

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

საპატრიარქოს ნამდვილად აქვს ნება მიუთითოს რუსეთის სამღვდელოებას – „წადი, შენს ძმას შეურიგდი“ (V, 24, მათე). რუსეთის სასულიერო იერარქიამ უნდა დაუმტკიცოს მსოფლიოს, რომ თავისუფლება, რომელიც უფალმა მოგვიტანა ჩვენ ყველას, მან მხოლოდ თავისთვის კი არ უნდა ისურვოს, არამედ სხვა ეკლესიებისთვისაც, რომლებიც მოკლებული არიან კანონიკურ უფლებას – განახორციელონ თავისუფლება.

ალ. ცაგარელის ნარკვევები სისტემატურად იბეჭდებოდა რუსულ პერიოდიკაში და რეაქციონერთა მხრიდან სერიოზულ შეშფოთებასაც იწვევდა, ვინაიდან საპირისპირო არგუმენტაცია, რომელიც დასაბუთებული იქნებოდა სათანადო დოკუმენტაციით, მათ არ გააჩნდათ. ამ საკითხთან დაკავშირებით ალ. ცაგარელის განსაკუთრებული მონდომება იქიდანაც ჩანს, რომ მეცნიერი საგანგებო წერილით მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს სტოლიპინსაც კი აყენებს საქმის კურსში, რომელსაც ის პირადადაც შეხვდა.

ქართული ეკლესიის რუსული სინოდისადმი დაქვემდებარებამ, ეკლესიიდან ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის გამოდევნამა და რუსული ზნე-ჩვეულებების ძალდატანებით დამკვიდრების პოლიტიკამ ქართულ მოსახლეობაში სულიერების მოშლა, ეკლესიის მიმართ ნიჰილიზმი და ღვთისადმი მოკრძალების დაქვეითების ელემენტი საგრძნობლად გააღრმავა, რაც დროთა განმავლობაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო მასებს მოიცავდა. ასეთმა განწყობილებამ თავის კულმინაციას XX ს-ის დამდეგს მიაღწია და პატრიოტულად განწყობილი საეკლესიო მოღვაწეებისა და საზოგადოების მოწინავე წევრებისათვის ცხადი შეიქნა, რომ არა რადიკალური ცვლილება, ქართველი კაცის უფლისადმი შემობრუნების გარეშე თვით ერის სასიცოცხლო ინტერესებიც კი ეჭვის ქვეშ შეიძლებოდა დამდგარიყო.

ამას ალ. ცაგარელიც მთელი სიმწვავით გრძნობდა; ეკლესია არ არსებობს მხოლოდ თავად-აზნაურების ან გლეხობისათვის, თუნდაც სამღვდელოებისათვის – წერდა იგი, – არამედ მთელი ხალხისათვის. არადა ხალხში დღეს სრული რელიგიური „ინდიფერენტიზმია“, რაც მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ არ ხდება ქართული ეკლესიის

მართვა იმ ტრადიციული წეს-ჩვეულებებითა და კანონიკური უფლებებით, საუკუნეების მანძილზე რომ ჩამოაყალიბა. და ეს მაშინ, როდესაც თავის მფარველობაში აყვანილ საეგზარქოსოსათვის რუსეთის იმპერიის რეაქციულ ხელისუფლებას არც ძალა და არც სახსრები ეშურებოდა. მაგალითად, XIX ს-ში საეგზარქოსოსთან დაარსებულმა „მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმდგენელმა საზოგადოებამ", რომლის ძირითადი დანიშნულება ამიერკავკასიის მოსახლეობის რუსიფიკაცია იყო, მარტო 1907 წელს მთავრობისაგან მიიღო 100 ათასი მანეთი. იგი ფლობდა 100 ათას დესეტინა მიწას მთელს ამიერკავკასიაში. მიღებული შემოსავლებით ეს, ე. წ. საზოგადოება აარსებდა ათეულობით რუსულ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს, სამლოცველოებს, დამწერლობა შეუქმნა აფხაზებსა და ოსებს (ქართველ მოღვაწეთა დახმარებით). 1903 წელს იმპერატორმა ნახევარი მილიონი მანეთით წაახალისა საეგზარქოსოს ერთგული თანამშრომლები. ზოგან, მაგალითად, სამურზაყანოში, წარმატებით მოღვაწეობდა მრავალი ქართველი მისიონერი (ს. თოფურია, ი. მიქაბერიძე და სხვები), მაგრამ რუსეთის სინოდი და საქართველოს ეგზარქოსი ქართველებს არ ანდობდა მაჰმადიან ქართველობაში ქრისტიანობის გავრცელებას და ამ მისიის განხორციელებას, უპირატესად, რუსულ ეკლესიას აკისრებდა. აფხაზთა გაქრისტიანება-გარუსება, რასაც სასულიერო და საერო პირთა მთელი არმია ემსახურებოდა, მიზნად ისახავდა აფხაზეთში ქართული კულტურისა და სარწმუნოების აღმოფხვრას, რუსული კულტურისა და რუსული მღვდელმსახურების გაბატონებას, რასაც წინ აღუდგნენ, თუმცა არცთუ დიდი წარმატებით, ქართველი და თვით აფხაზი მოღვაწენიც (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი შარვაშიძე და სხვები). რუსმა მღვდელმსახურებმა XX ს-ის დამდეგიდან მოახერხეს ეროვნული ეკლესიისა და კულტურისათვის ჩამოეცილებინათ არა მარტო აფხაზეთი, არამედ აფხაზეთის ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილიც. სოხუმის რუსიფიკატორი ეპისკოპოსი ანდრია, ეროვნებით ქართველი, ფარისევლურად ეხმარებოდა რუს მღვდელ-მთავრებს ქართველი მოსახლეობის გარუსებასა და ქართული და

აფხაზური ენების დევნაში. 1906 წელს შეადგინეს საქართველოს საეგზარქოსოს რეორგანიზაციის პროექტი, რომლის მიხედვით, აფხაზეთის მხარის ეკლესიები ყუბანის რუსულ ეკლესიებს უნდა შეერთებოდა, შიდა ქართლში ცალკე ეპარქია იქმნებოდა, სამურზაყანო გურია-სამეგრელოს ეპარქიაში უნდა შესულიყო, აჭარა კი, ქალაქ ბათუმით, სოხუმის ოლქის ეპარქიაში. ეს მიზნად ისახავდა ამ რეგიონების რუსიფიკაციასა და ქართული ეკლესიისაგან სრულ მოწყვეტას. რუსეთის ხელისუფლებამ ამ დროისათვის ვერ შეძლო პროექტის განხორციელება, მაგრამ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული მზაკვრული ღონისძიებები არც შემდგომ წლებში შეწყვეტილა.

საქართველოში „მოღვაწე" რუსს ღვთისმსახურთა თავაშვებული საქმიანობა უკიდურესად აშწვავებდა მდგომარეობას ქართულ მრევლში, რომელიც არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ გულგრილი დამოკიდებულებით ეკლესიისადმი. ამბოხებული გლეხობა არბევდა ეკლესია-მონასტრებს, ხოცავდა საძულველ მღვდლებსა და თვით მღვდელ-მთავრებსაც. 1909 წელს მოკლეს საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი. ბევრ სასულიერო პირს ხალხი სულიერ მამად კი არ მიიჩნევდა, არამედ მძარცველად. სახალხო მოძრაობაში ქართველ სამღვდელოთა ერთი ნაწილიც მონაწილეობდა, მაგრამ იგი გმობდა შურისძიებასა და ტერორს, საეკლესიო ქონებისა და ინვენტარის დატაცების ფაქტებს. ქართული საეკლესიო ქონების ვითომდა დაცვის მიზნით, რუსეთის სინოდმა საქართველოში გამოგზავნა მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პ. უვაროვა, მაგრამ ქართველი სამღვდელოება წინ აღუდგა მის წინადადებას ქართულ სიძველეთა რუსეთში გატანის შესახებ „დასაცავად" და გააძლიერა საეკლესიო ეროვნული საგანძურის დაცვა საკუთარი ძალით. ამ მიზნით დიდი მუშაობა გასწია საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა კირიონ-გიორგი საძაგლიშვილისა და თედო ჟორდანიას მეთაურობით. აგრეთვე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არაერთმა წევრმა, რომლებიც აგროვებდნენ და

თავიანთ ერს უნარჩუნებდნენ საეპარქიოში გაბნეულ საეკლესიო სიძველეებს.

ამრიგად, ასი წლის მანძილზე – 1811 წლიდან, ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ჩამორთმევის შემდეგ, სახეზე იყო ქართული მრევლის სრული დემორალიზაცია, როდესაც უფლის მიმართ რწმენის მოშლამ ქართულ ყოფიერებასაც კი საფრთხე შეუქმნა, არადა მთელი ეს პოლიტიკა სრული შეგნებითა და მეთოდური თანამიმდევრობით ხორციელდებოდა იმპერიის საეკლესიო თუ საერო ხელისუფალთა მხრიდან, რომელთა შავბნელი გეგმების გამოაშკარავებას ძალასა და ენერგიას არ აკლებდა მთელი ამ წლების მანძილზე – ალ. ცაგარელი; მან თავისი ნააზრევი ამ საკითხთან დაკავშირებით ცალკე პუნქტებად ჩამოაყალიბა. ჩვენ მას ოდნავ შემცირებული სახით მოვიყვანთ, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას, რაზე ამახვილებდა ყურადღებას ცნობილი მეცნიერი:

I. ქართული ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წლამდე არავითარ ეჭვს არ იწვევს;

II. ქართულ ეკლესიას 1811 წლიდან, საეგზარქოსოს დაარსების შემდეგაც დე იურე არ დაუკარგავს ავტოკეფალია, უბრალოდ, არ ჰქონდა საშუალება, ფაქტობრივად განეხორციელებინა თავისი უფლება;

III. ქართული ეკლესია არ შერწყმია რუსეთისას ერთიან ეკლესიად, არამედ იმართებოდა რუსეთის სინოდის მიერ გაგზავნილი ეგზარქოსის მეშვეობით;

IV. მთავარი საეკლესიო ოლქის მართვა სხვა ეკლესიის ეგზარქოსის მიერ ეწინააღმდეგება, როგორც საეკლესიო კანონებს, ისე მართლმადიდებლური ეკლესიის პრაქტიკას საერთოდ და ქართული ეკლესიის ტრადიციასა და მისი მრევლის სიკეთეს;

V. ქართველ ხალხში ეგზარქოსის მმართველობის შემოღების შემდეგ რწმენის დაცემა ასევე არ იწვევს არავითარ ეჭვს;

VI. წმინდა სინოდის მიერ იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი „წარდგინებაში" – ქართული კათოლიკოსობის რუსული საეგზარქოსოთი შეცვლის მოთხოვნით, მსგავსი საეკლესიო გადატრიალებისათვის

არ არის მოყვანილი არც ერთი კანონიკური საფუძველი, თუნდაც იმიტომ რომ ასეთი სინამდვილეში მართლაც არ არსებობს;

VII. იმ დროის ოფიციალური აქტების მოწმობით, წმ. სინოდის მიერ საქართველოში ეგზარქოსის გაგზავნის საბაბი გამხდარა საქართველოს საეკლესიო მეურნეობის მოწესრიგება. საეკლესიო მამულები გადაეცა ხაზინას, რომელთა ნაწილიც გაიყიდა. საეკლესიო გლეხობა გათავისუფლდა, ეკონომიის საბაბით ეპარქიების რაოდენობა დავიდა მინიმუმამდე და ა. შ. მაშასადამე, საეგზარქოსოს შემდგომი არსებობისათვის საფუძველი აღარ არსებობს;

VIII. არც წმინდა სინოდს და არც რუსეთის ეკლესიის საადგილ-მამულო კრებას კანონიკურ საფუძველზე არ შეუძლიათ საქართველოს ეკლესიას უბოძონ ან ჩამოართვან ავტოკეფალია, მათ შეუძლიათ მხოლოდ სახელმძღვანელოდ მიიღონ მონარქის გადაწყვეტილება, შეთანხმებული მსოფლიო ეკლესიის კანონებთან და დაფუძნებული ქართველი სამღვდელოებისა და მრევლის ნება-სურვილთან — მიეცეთ საშუალება ფაქტობრივად გამოიყენონ ეკლესიის ავტოკეფალიური უფლებები;

IX. „თითოეული ხალხის" ეკლესია უნდა იმართებოდეს მისი ეპისკოპოსების კრებით;

X. არც საეკლესიო კანონები და არც სამოქალაქო კანონმდებლობა არ ითხოვს, რომ საეკლესიო და სამოქალაქო მართვა მოცემული საეკლესიო არეალისა დამოკიდებული იყოს ერთი და იმავე ცენტრალური სასულიერო ხელისუფლებისაგან, რომლის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ეგვიპტის,პალესტინისა და სირიის აღმოსავლეთის პატრიარქები, რომლებიც არ ექვემდებარებიან არც კონსტანტინოპოლის პატრიარქს და არც მის სინოდს;

XI. ქართული ავტოკეფალია არ არის არც „საეკლესიო და არც სახელმწიფო სეპარატიზმი";

XII. ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიური მმართველობის აღდგენის შემთხვევაში, პრაქტიკაში რაიმე გართულებებს არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი;

XIII. რამეთუ საეკლესიო ადგილმამულების მართვა გადაცემული

აქვს ხაზინას, საეკლესიო გლეხობა გათავისუფლებულია, საქართველოს კათალიკოსების ფეოდალური უფლებამოსილებანი წარსულს ჩაბარდა. კათალიკოსის უფლებებში რჩება მხოლოდ წმინდა საეკლესიო საქმეები, რასაც იგი იოლად გადაწყვეტს და ამდენად, ეს აღარ გამოიწვევს ქონებრივსა და სხვა რთულ კონფლიქტებს, რომელთა აღმოსაფხვრელად შეიქმნა კიდეც საეგზარქოსო თავის დროზე;

XIV. რუსეთის ეკლესია 1721 წლიდან პეტრე დიდის „სასულიერო რეგლამენტის" მიხედვით იმართება, რომელიც აღმოსავლეთის ორი პატრიარქის თანხმობით იქნა მიღებული, უშუალოდ რუსული ეკლესიის სახელმძღვანელო მართვისათვის, თუმცა მართლმადიდებლურ ეკლესიებზე და, ცხადია, ქართულ ეკლესიაზე მისი გავრცელების უფლების გარეშე;

XV. ივერიის ეკლესია ბერძნულთან ერთად ერთ-ერთი უძველესია (IV ს-დან) მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა თავისი დელეგატების მეშვეობით მსოფლიო საეკლესიო კრებებში, სადაც დადგინდა ქრისტიანული ეკლესიის კანონები და სარწმუნოებრივი მოძღვრება, და თავის თხუთმეტსაუკუნოვანი აპოსტოლარული მისიის დროს ყოველთვის იდგა მსოფლიო ეკლესიის განსაზღვრებათა სრული სიწმინდით განუხრელად დაცვაში".[1]

ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების აუცილებლობის ასე არგუმენტირებულად დასაბუთების შემდეგ რუსეთის რეაქციის მსახურ ვითომდა სწავლულებს აბსურდამდე მისული მსჯელობისა და ბრალდებების გარდა, სხვა არაფერი რჩებოდათ. თუმცა წმინდა სინოდს ეს ხელს არ უშლიდა, უტიფრობის კედელი აღემართა ქართველთა დაჟინებული თხოვნისათვის და მისი გადაწყვეტის საკითხი გაურკვევლობის ბურუსში გაეხვია. ალ. ცაგარელს არაერთ შოვინისტურად განწყობილ რუს მეცნიერთან უხდებოდა კამათი და ქართული ეკლესიის სიმართლის მტკიცება. იმ დროისთვის რუსული სინოდი სიამოვნებით ეყრდნობოდა, აგრეთვე, პროფესორების — ალმაზოვისა და ბერდნიკოვის ინსუინუაციებს ქართული ეკლესიის

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 33-36.

ავტოკეფალიის შესახებ. მართალია, ვოსტორგოვისა და ბუტკევიჩის მსგავსად, ისინი ავტოკეფალიისათვის მებრძოლთ რევოლუციონერებსა და სეპარატისტებს არ უწოდებდნენ, მაგრამ ცდილობდნენ, შეექმნათ „კანონიერი" საფუძველი, საერთოდ, ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის გაუქმებაზე. ალ. ცაგარელს უკვირდა, რომ მეცნიერები, რომლებმაც შეიძლება ჩინებულადაც კი იციან საეკლესიო სამართალი, მაგრამ აბსოლუტურად არ იციან ქართული ეკლესიის ისტორია, მისი წარსული, ტრადიცია, არ იცნობენ ქართულ სასულიერო ლიტერატურას, ამ ეკლესიის ურთიერთობებს სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებთან, როგორ შეძლებდნენ სწორი დასკვნებისა და აზრების გამოტანას მათთვის სრულიად უცხო საკითხზე.

მაგრამ არაკომპეტენტურობა რუს მეცნიერთა ერთ ნაწილს, და მათ შორის ალმაზოვსაც, აბსოლუტურად არ უშლიდა ხელს, თავი დიდ სპეციალისტად წარმოედგინა ქართული ეკლესიის ბედის გადაწყვეტაში. იგი უიმედო ცდას შეუპყრია, — წერდა ალ. ცაგარელი, — როდესაც ცდილობს რაიმე კანონიკური საფუძველი მოუძებნოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიობის გაუქმებას. ასეთი ბუნებაში არ არსებობს და კარგი იქნება, თუკი ალმაზოვი ასეთ რამეზე მიგვანიშნებს, — დასძენდა დიდი მეცნიერი.

საქართველოს რუსეთის სახელმწიფოსთან შეერთება-შენიშნავდა ალ. ცაგარელი, საქართველოს რუსეთის 1783 წლის ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ საერთაშორისო სამართლის სფეროს განეკუთვნება, ხოლო ქართული ეკლესიის მართვის რუსეთის ეკლესიის სინოდისადმი დაქვემდებარება საეკლესიო სამართლის სფეროა, რომელთა ძირითად პრინციპებს შორის სხვაობა კარგად მოეხსენებათ კანონისტებს, მაგრამ ეს იმათ, ვისაც ამის გაგების სურვილი ჰქონდათ. პროფ. ალმაზოვი კი საქართველოს რუსეთთან შეერთების იმპერატორის მიერ გამოცემულ მანიფესტს საკმარისად თვლიდა, რომ სინოდს ქართული ეკლესიის ავტოკეფალია მოეშალა, რასაც ალ. ცაგარელი ძალმომრეობის ფაქტად მიიჩნევდა და ვერავითარ იურიდიულ საფუძველს ამ მოქმედებაში ვერ ხედავდა.

„ამრიგად, — წერდა ალ. ცაგარელი — პროფ. ალმაზოვის მთელი მოხსენება ირიბი დასკვნებისა და შეჯერების ანალიზს წარმოადგენს, რაც არსებითად დიალექტიკის, სოფისტიკისა და კაზუისტიკის ხელოვნური მოზაიკაა, რომელსაც მშვენივრად იყენებენ მარჯვე ადვოკატები საეჭვო პროცესების მოსაგებად“.[1]

უკეთესი შეფასება ძნელი წარმოსადგენია, მეცნიერი ცდილობს, უპასუხოდ არ დატოვოს ქართული საკითხის, ე. წ. ოპონენტთა მეტ-ნაკლებად აზრს დამსგავსებული მსჯელობა და ღრმა განსწავლულობისა და ისტორიული წარსულის უტყუარი დოკუმენტების მოშველიებით არ უჭირს ალმაზოვებისა და მისი მსგავსი პროფესორების საკითხში ჩაუხედაობის დამტკიცება.

სხვებისგან განსხვავებით, პროფ. ალმაზოვმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საწინააღმდეგოდ თავისი აზრებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად წყაროებშიც ჩაიხედა და მათი ინტერპრეტირება ისტორიული ჭეშმარიტების სრული დამახინჯებით სცადა. მან განაცხადა, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ეკლესიის საეკლესიო კანონები არ მოიხსენიებს ივეერიის (ან საქართველოს) ეკლესიას და, საერთოდ, ეს წესები საგანგებოდ არ ეხება ამა თუ იმ ადგილობრივ ეკლესიათა ავტოკეფალიას, ამიტომაც უნდა დავეყრდნოთ იმ მონაცემებს, რომელიც საერთოდ ეხება ავტოკეფალიის საკითხს. ეს არც არის გასაკვირი — შენიშნავს ალ. ცაგარელი, — ჯერ ერთი I-VII — მსოფლიო კრებათა კანონები[2], რომლებიც საგანგებო შემთხვევათა გამო იქნა შედგენილი ეხებოდა უშუალოდ ერეტიკოსობასა და იმ დოგმების მიღებას, და მხოლოდ

---

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ. გვ. 37.

2. ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის ეგიდით მსოფლიო საეკლესიო კრებები გაიმართა: ნიკეის I 325 წელს; კონსტანტინოპოლის I 381 წელს; ეფესოს — 431 წელს; ქალკედონის 451 წელს; კონსტანტინოპოლის II — 533 წელს; კონსტანტინოპოლის III — 680 წელს; ნიკეის II — 787 წელს; კონსტანტინოპოლის IV 869-870 წელს;

ლატერანის I მსოფლიო საეკლესიო კრებიდან მოყოლებული (1123 წელი) საეკლესიო კრებები კათოლიკეთა უმაღლესი სამღვდელოების ყრილობებს

და მხოლოდ იმ ეკლესიათათვის იყო სავალდებულო, რომლებიც ბერძნულ-რომაული იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. საქართველო კი ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში არ შედიოდა. ამასთან, საეკლესიო წესები აღნიშნულ შეკრებაზე მიიღებოდა საგანგებო შემთხვევათა გამო, ვთქვათ ერთერთ ეკლესიაში განხეთქილება, ან ერთი ეკლესიის საჩივარი მეორის მიმართ, მტრების შემოსევა, სამღვდელოებისა თუ მრევლის თხოვნა საპატრიარქოს დაარსების შესახებ და სხვა. საქართველოს ეკლესიას არ ქონია რაიმე ისეთი საგანგებო ვითარება, რომ ამის შესახებ განსაკუთრებული წესი მიეღოთ. თუმცა ერთი ასეთი შემთხვევა — აღნიშანვს ალ. ცაგარელი, ბალსამონთან მაინც არის დაფიქსირებული. VI მსოფლიო კრების 32-ე წესი ღაღადებს, რომ სომხეთის ქვეყანაში წმინდა ტრაპეზის დროს სომხები მხოლოდ ღვინოს ხმარობდნენ და მასში წყალს არ ურევდნენ. ქართველებსაც იგივე წესი ქონიათ და ამას კი იმითი ხსნიდნენ, რომ ძველი ტრადიციის მიხედვით ღვინის სმის დროს მასში არასოდეს წყალს არ ურევდნენ. მაგრამ როგორც ალ. ცაგარელი აღნიშნავს, გამოცხადების საიდუმლო ძალის მიხედვით ქართველებს დაუწესდათ ზიარების დროს მკაცრად დაეცვათ წმინდა ფინჯანში წყლის გარევა და როგორც შემდგომი პრაქტიკიდან ჩანს, კრების ამ დადგენილებას ქართველები ასრულებდნენ განუხრელად. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი კანონი მიღებული იქნებოდა თვით ქართული ეკლესიის წინააღმდეგაც, როგორც ეს ხდებოდა სხვა ეკლესიათა მიმართ, რომლებიც გადაუხვევდნენ ჭეშმარიტ რწმენას.

წარმოადგენდა და მსოფლიო საეკლესიო კრებად მხოლოდ რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ არის მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ მართლმადიდებლურ ეკლესიაში საეკლესიო კრება თავისი უფლებით პატრიარქზე მაღლა დგას. კათოლიკურში კი არა, აქ პაპის ავტორიტეტი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მსოფლიო საეკლესიო კრება და მისი გადაწყვეტილება. 1054 წელს ფაქტობრივად იურიდიულად გაფორმდა ქრისტიანული ეკლესიის ორ ძირითად ნაწილად გაყოფა მართლმადიდებლურად და კათოლიკურად. მაშინ რომის კარდინალმა ჰუმბერტმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიხეილ კერულარიოსმა ერთმანეთი ანათემას გადასცეს. აღნიშნული ანათემა რომმა და კონსტანტინოპოლმა ერთმანეთს მხოლოდ 1965 წელს მოუხსნეს.

„მაშასადამე — წერს ალ. ცაგარელი, — ის, რომ კანონებში ივერიის ეკლესიის შესახებ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ იმიტომ, რომ „განსაკუთრებული მიზეზი“ ამის შესახებ არ იყო, ისიც, რომ არც ავტოკეფალიის შესახებ არის რაიმე აღნიშნული (როგორც არაფერია ნათქვამი კანონებში, მაგალითად, სომხეთის ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებაც, რომელიც 451 წლამდე ერთიანობაში იყო მართლმადიდებლურ ეკლესიასთან) იმისი ნიშანია, რომ ამასთან დაკავშირებით რაიმე წესი საერთოდ არ არსებობს და როგორც თვითონ პროფ. ალმაზოვი შენიშნავს, მოთხოვნა თავად ქართულ ეკლესიას მიუყენო არარსებული წესი, საფუძველს მოკლებულია. ჩვეულებრივად, ყველაზე უფრო პრაქტიკული საშუალება ავტოკეფალიის მიღებისა იყო იმ პატრიარქის თანხმობა, ვისაც ეს ეკლესია ექვემდებარებოდა. ქართულმა ეკლესიამ სწორედ ასეთი საშუალებით თავისი სრული ავტოკეფალია მიიღო ყველაზე უგვიანეს XI ს-ში, ისე, როგორც მაგალითად, რუსეთის ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია და პატრიარქობაც XVI ს-ის ბოლოს კონსტანტინოპოლის პატრიარქ ერემიასაგან, რომელიც ამ დროს რუსეთში იყო ჩამოსული და რომელსაც აქამდე ექვემდებარებოდა კიდეც“[1].

აქ მეცნიერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის ამა თუ იმ მხარის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების საკითხი — განსაკუთრებულ მომზადებითა და საგანგებო უსტარის შექმნით არ აღინიშნებოდა, რომ ასეთი საკითხი მეთაური პატრიარქის სურვილზე ყოფილა დამოკიდებული და, ცხადია, ავტოკეფალიის მიღების მსურველი ეკლესიის აღნიშნული აქტისათვის უკვე მზადყოფნით. ეს ყურადღებამისაქცევი მომენტია, ავტოკეფალიას ხელაღებით არ არიგებდნენ. თავად რუსეთი XVI ს-ის ბოლომდე ამისათვის მომზადებულად არ მიაჩნდათ, მაშინ როდესაც ქართულ ეკლესიას უკვე V ს-ში კათალიკოსი ედგა სათავეში.

სერიოზული მსჯელობის საგანი გახადა ალ. ცაგარელმა პროფ. ალმაზოვის მიერ მესამე მსოფლიო კრების მე-8 წესის მისებური

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 39.

ინტერპრეტირება, სადაც ეს უკანასკნელი შეეცადა ისტორიული ჭეშმარიტების სრული დამახინჯებით განეცხადებინა, რომ თითქოს ამ მერვე წესის მიხედვით მტკიცდებოდა კვიპროსის ეკლესიის გარკვეული დამოკიდებულება ანტიოქიის პატრიარქისადმი, რაც ალმაზოვის ჩანაფიქრით, გარკვეულ ანალოგიას ქმნიდა ქართული ეკლესიის მიმართაც. ალ. ცაგარელი შენიშნავს, რომ მესამე მსოფლიო კრების დროს „მიტროპოლიტები" თავისი უფლებებით გათანაბრებული ყოფილან „პატრიარქებსა" და „კათალიკოსებთან", სადაც ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ პატრიარქს არ ჰქონდა უფლება, ჩარეულიყო სხვა მიტროპოლიის საქმეში. ასეთ შემთხვევაში — წერს ალ. ცაგარელი, — რა კანონიკური უფლება ჰქონდა რუსულ სინოდს, რომელსაც პატრიარქიც კი არ ედგა სათავეში, გაეუქმებინა საუკუნეების მანძილზე ავტოკეფალიამინიჭებული საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და მისი არჩეული კათალიკოსის ნაცვლად, უცერემონიოდ დაენიშნა თავისი ეგზარქოსი. ეს სრული განუკითხაობაა, აღშფოთებულია მეცნიერი, რომელსაც არანაირი კანონიკური საფუძველი არ გააჩნია. ცდებიან ისინი, ვინც მესამე მსოფლიო კრების მე-8 წესის განმარტებისას მხოლოდ მიტროპოლიასა და საპატრიარქოს დაპირისპირებით შემოიფარგლებიან — აღნიშნავს ალ. ცაგარელი. და მოჰყავს ამ პუნქტის შესახებ ძველი კანონმდებლების, არისტინის, ზონარასა და ბალსამონის აზრები, რომლებიც ერთხმად აღიარებდნენ, რომ „ქალაქ ანტიოქიის ეპისკოპოსი" ძველი ჩვეულების საწინააღმდეგოდ აგზავნიდა ეპისკოპოსებს კვიპროსზე და ამ ეკლესიის საქმეებშიც ერეოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სურდა, იგი თავისი იურისდიქციისათვის დაემორჩილებინა, როგორც ეს იყო სამოქალაქო კუთხით, როდესაც კვიპროსი ემორჩილებოდა ანტიოქიის პრეფექტს. მაგრამ, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია და, რასაც ალ. ცაგარელიც საგანგებოდ ეყრდნობა, მე-3 მსოფლიო კრება კატეგორიულად წინ აღუდგა ანტიოქიის სასულიერო იერარქიის ამ სურვილს. ამიტომაც წერს ალ. ცაგარელი: „ეფესოს კრების ეს წესი (8 პუნქტი) შედგა კიდეც ანტიოქიის ეკლესიის მიერ კვიპროსისაზე უფლების მოთხოვნის გამო, კვიპროსი სამოქალაქო ურთიერთობით იყო ანტიოქიაზე

დაქვემდებარებული, რის გამოც ანტიოქიის პატრიარქსაც გაუჩნდა სურვილი, კვიპროსი საეკლესიო კუთხითაც დაემორჩილებინა. მაშასადამე, ანალოგია საქართველოსთან მთლიანად სახეზეა[1] იმ განსხვავებით, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო ანტიოქიის პატრიარქის უსაფუძვლო პრეტენზიები.

თავისი ღრმად გააზრებული მსჯელობით, ალ. ცაგარელმა მართლაც შესანიშნავად აჩვენა შოვინისტ რუს მეცნიერებს ანალოგია წარსულსა და იმპერიის აწმყოს შორის, მაგრამ ისე კი არა, როგორც ეს სინოდსა და მის დამქაშებს სურდათ, ისტორიული ჭეშმარიტების უტყუარი ღაღადით. კვიპროსის მაგალითი მართლაც მშვენიერი ნიმუში იყო იმისა, თუ რა კანონიკურ უფლებაზე დაყრდნობით მოახდინა რუსეთის ეკლესიამ საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის საერო ხელისუფლებამ არად ჩააგდო 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, მერე ხელოვნურად გაუმწვავა საქართველოს ხელისუფლებას ურთიერთობა მეზობლებთან და იმასაც მიაღწია, რომ 1795 წელს ირანს საერთოდ ააოხრებინა ქვეყანა, ბოლოს კი მისავათებულ საქართველოში, საერთოდ, მეფობაც გააუქმა და იგი თავის ჩვეულებრივ გუბერნიად გადააქცია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების მოწინააღმდეგენი პროფ. ალმაზოვი, გლუბოკოვსკი და სხვები, მაქსიმალურად ცდილობდნენ მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებებში რაიმე ეპოვათ, რომლითაც შეძლებდნენ კანონიკური საფუძვლები მოეძებნათ სინოდის მოქმედების გამართლებისათვის, მაგრამ მსგავსი დოკუმენტებში არსად არაფერი ეწერა, ასეთ შემთხვევაში კი ცდილობდნენ, ამ საკითხით დაინტერესებული გაუთვითცნობიერებული პირებისათვის მიეწოდებინათ ისტორიული დოკუმენტის აშკარად დამახინჯებული და გაყალბებული, საკუთარი სურვილისათვის მორგებული ინტერპრეტირება, რომელსაც ალ. ცაგარელი ნაბიჯ-ნაბიჯ აქარწყლებდა, გამგონეთათვის აშკარას ხდიდა ამ სწავლულ ბატონთა ან სრულ უმეცრებას, ანდა ცრუპენტელობას.

---

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 41.

კერძოდ, ხელზე დაიხვიეს IV მსოფლიო კრების მე-17 წესი, სადაც ძირითადად ლაპარაკი იყო, რომ როგორც სასოფლო, ისე სადაბო სამწყსოები უცილობლად რჩებოდნენ მათი მეთაური ხელისუფლების ქვეშ. მაგრამ საკითხის გაშუქების დროს ზემოთ დასახელებული რუსი სწავლულები, ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ წესების ცალკეული ნაწილებით და ამით მის შინაარსობრივ მხარეს მთლიანად ამახინჯებდნენ. ამით ქმნიდნენ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებების კვალობაზე უნდა შეცვლილიყო საეკლესიო დამოკიდებულების საკითხიც. სწორედ აქ იყო ჩადებული რუს სწავლულთა ეშმაკობა, რომ ისინი არ მიუთითებდნენ, თუ რა შემთხვევაში ხდებოდა ეს. ალ. ცაგარელს მოჰყავს ამ კანონის შესახებ შუა საუკუნეების ცნობილი კანონისტის – ზონორას განმარტება, სადაც იგი აღნიშნავს, რომ თუ მეფე შექმნის ახალ ქალაქს და მიანიჭებს რაიმე უფლებასა და უპირატესობას, ამ სამეფო გადაწყვეტილებას უნდა მოჰყვეს საეკლესიო ეპარქიათა განაწესი. ბუნებრივია, ამ პუნქტის ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის რაიმე იურიდიული საფუძვლის შესაქმნელად დასაყრდენის როლის მიცემა შეუძლებელი იყო, თუკი მას მთელი სახით წარმოაჩენდი – რასაც არ აკეთებდნენ კიდეც დასახელებული ოპონენტები. რომელ ახალ ქალაქებზეა ლაპარაკი – აღნიშნავს ალ. ცაგარელი, და მართლაც, ასე იყო – მცხეთამ, ქუთაისმა და თბილისმა ქართველ კათალიკოსთა რეზიდენციად მაშინ დაიწყო თავისი არსებობა, როდესაც რუსეთის ხსენებაც არ იყო.

მაგრამ პროფ. ალმაზოვი ამაზე არ გაჩერებულა და ასევე შეეცადა ქალკედონის IV მსოფლიო კრების 28-ე კანონში დაფიქსირებული შემთხვევა, სადაც ლაპარაკია აზიის, პონტოსა და ორაკიის მიტროპოლიტების მიერ საკუთარი ნებით კონსტანტინოპოლის პატრიარქის უზენაესობის აღიარების შესახებ, იმდაგვარად წარმოეჩინა, რომ გარკვეული ანალოგია მოეძებნა საქართველოს შემთხვევასთან და ამით, ცხადია, გაემართლებინა სინოდის თავაშვებული მოქმედებანი. ბუნებრივია, ალ. ცაგარელი ალმაზოვის ამ მსჯელობას უპასუხოდ ვერ დატოვებდა და მისთვის დამახასიათებელი ღრმად არგუმენტი-

რებული მსჯელობით, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აქარწყლებს მას; რომელ ანალოგიაზეა ლაპარაკი — აცხადებს მეცნიერი, — აღნიშნული მიტროპოლიები უძველესი დროიდან განთავსებული არიან ბერძნულ-რომაული იმპერიის ტერიტორიაზე, ქალაქ ბიზანტიონში, ისევე, როგორც დანარჩენ დასახელებულ მიტროპოლიებში, ქრისტიანობა გავრცელდა II საუკუნიდან, ხოლო პირველი მსოფლიო კრების დროსათვის (325 წელი) ამ ქალაქში უკვე ქრისტიანი ეპისკოპოსი იჯდა. შემდეგ კი, როდესაც ბიზანტიონს კონსტანტინოპოლი ეწოდა და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი აღზევებულ იქნა პატრიარქის ტიტულში II და IV მსოფლიო კრების გადაწყვეტილებით, თავისთავად ცხადია, რომ განაპირა პროვინციების ორაკიის, პონტოსა და აზიის მიტროპოლიტებს უნდა ეღიარებინათ კიდეც შექმნილი უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების უპირველესი მანტია, ამდენად, როგორც ალ. ცაგარელი წერს, აქ საკვირველი არაფერი მომხდარა. ამ ოლქების მიტროპოლიტები, მათივე თანხმობით, IV მსოფლიო კრების მიერ დაქვემდებარებულ იქნა თავისივე ბერძნული ეკლესიის მიმართ. „ჩვენთან კი სწორედ რომ პირიქით მოხდა ყველაფერი, ივერიის უძველესი ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი, თავისი ნების საწინააღმდეგოდ და საეკლესიო კრების გადაწყვეტილების გარეშე, დაუქვემდებარეს რუსეთის ეკლესიის წმ. სინოდის წევრ მიტროპოლიტებს“[1].

ალ. ცაგარელმა ნათლად წარმოაჩინა ძალმომრეობის აშკარა სურათი, როდესაც საეკლესიო იერარქიაში გაცილებით ნაკლები ტრადიციისა და, მით უფრო, დამსახურების მქონე ეკლესია ხელყოფს და აუქმებს უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიას, რომელსაც იგი მსოფლიო საეკლესიო ცენტრების ნებითა და კურთხევით ატარებს და, რომელსაც ე. წ. რუსმა სწავლულებმა მსოფლიო პრაქტიკაში ანალოგია ვერ მოუძებნეს. თურქ-სელჩუკებსაც კი ბიზანტიის აღებისა და იქ თავიანთი მუსულმანური იმპერიის შექმნის შემდეგ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ გაუუქმებიათ.

ალ. ცაგარელი შენიშნავს, რომ ისეთი მაგალითები და ფაქტები მოჰყავთ წარსულიდან პატივცემულ პროფესორებს, რომ არათუ მათი

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

აზრის გასამტკიცებლად გამოდგება, არამედ პირიქით, სწორედ რომ მათ საწინააღმდეგოდ მეტყველებენ. ის, რომ ბალსამონს აღწერილი აქვს სიცილიის საკითხი, რომელიც XI-XII ს-ში უკვე აღარ შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში და ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ბალსამონი ოცნებობს იმ დროზე, როდესაც ნორმანების მიერ დაპყრობილი სიცილია კვლავ აღმოჩნდება კონსტანტინოპოლის იერარქიაში. არანაირი კავშირი ამას საქართველოსთან არა აქვს — ასკვნის მეცნიერი და აგრძელებს, — მართალია, თურქსელჩუკებმა თავიანთი დაპყრობებით გაართულეს საქართველოს ურთიერთობა ანტიოქიასთან, მაგრამ მისი მოწყვეტა ანტიოქიისაგან მათ ვერ შეძლეს და არც რაიმე „სამეფო" საქართველოში თურქსელჩუკებს არ დაუარსებიათ. არც ნორმანებს ჰქონიათ რაიმე საერთო რუსეთთან, თუ იმას არ ჩავთვლით, — უკვე ხუმრობით აგრძელებს ალ. ცაგარელი, — რომ ბალსამონს მოუვიდა წინასწარმეტყველური ხილვა და განჭვრიტა, ერთ მშვენიერ დღეს რუსეთის ქრისტიანული ქვეყნის ნახევრად ბნელი ხალხი, რომელიც ამჟამად კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიტროპოლიის (61) ნაწილს შეადგენს, შეაღწევს მეგობრული ივერიის ქვეყანაში, დაიმორჩილებს მას და მის ავტოკეფალიურ ეკლესიას, რომელიც ერთ დროს ჩემი წინამორბედი[1] პატრიარქების დამოკიდებულებაში იყო. და აქ ალ. ცაგარელი იხსენებს სიცილიასთან დაკავშირებით ბალსამონის სიტყვებს: „და ვლოცულობ, რომ ის დაუბრუნდეს თავის პირვანდელ უფლებებს, როგორც ტყვე ქალიშვილი თავისუფალ დედას". ამას ითხოვს პროფ. ალმაზოვი? — კითხულობს ნიშნისმოგებით ალ. ცაგარელი.

მართლაც, ხშირ შემთხვევაში აბსურდამდე მისული, წარსულის ფაქტებზე ზეწოლის მიუხედავად, შოვინისტი რუსი სწავლულები მაინც არ იშლიდნენ ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ცილისწამებას, ცდილობდნენ ჩირქი მოეცხოთ საერთოდ ავტოკეფალიის იდეისათვის. კერძოდ, ალმაზოვი არ ცხრებოდა და ახლა ის მოიდო

---

1. ლაპარაკია ბალსამონზე, რომელიც გამოჩენილი კანონისტი იყო და შემდეგ ანტიოქიის პატრიარქიც გახდა.

მიზეზად, რომ თითქოს ბალსამონს არსად არ მოჰყავს ის დოკუმენტი, სადაც ლაპარაკი იქნებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს მიერ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ. სამწუხაროა — აღნიშნავს ალ. ცაგარელი, — რომ ამას აცხადებენ არა პედანტი-მჯღაბნელები, არამედ მეცნიერი კანონისტები, რომლებმაც შესანიშნავად იციან წარსულის დოკუმენტების შედგენის ხასიათი და შინაარსი, თითქოს საქმე ეხებოდეს წმ. სინოდში დაცულ თანამედროვე დოკუმენტაციას ნომრითა და პაკეტის აღნიშვნით და არა ათასზე მეტი წლის წინანდელ მოვლენას. ის, რომ მოსკოვში საპატრიარქოს შექმნის შესახებ XVIს-ის მიწურულს — პასუხობს ქართველი მეცნიერი — დოკუმენტები ასე თუ ისე შენარჩუნებულია, ამაში არაფერია გასაკვირი, ვინაიდან ამ დროიდან მოყოლებული მოსკოვი სულ ორჯერ იქნა მტრების მიერ აღებული, ერთხელ XVIIს-ის დასაწყისში პოლონელების მიერ, როდესაც განადგურდა კიდეც სამეფო ბიბლიოთეკის ნაწილი, და მეორეჯერ ფრანგების მიერ XIXს-ის დასაწყისში, ამჯერად უკვე მოესწრო დოკუმენტების გატანა და გადარჩენა. თბილისი კი XI საუკუნიდან მოყოლებული სულ ცოტა ათჯერ მაინც იქნა აღებული და გადამწვარი, ბოლოს 1795 წელს სპარსელების მიერ რუსეთთან კავშირისათვის. აქ რა მინიშნებაზეა ლაპარაკი, არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი. საერთოდ, ხშირად საგანგებოდ ვჩერდებით და დეტალურად მოგვყავს ალ. ცაგარელის მსჯელობის თანმიმდევრობა, რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნას დიდი ქართველი მეცნიერის ოპონენტებთან პოლემიკის საოცრად დახვეწილ უნარზე, როდესაც ღრმად მეცნიერული არგუმენტებითა და საოცრად გააზრებული მინიშნებით ხუხულასავით შლის მათი მსჯელობის პირამიდას, რაც ქართველი მეცნიერის დიდ ცოდნასა და ინტელექტზე მეტყველებს, რომელმაც ალ. ცაგარელს დიდი აღიარება მოუპოვა იმპერიის სამეცნიერო წრეებში. ქართველები თავის ეკლესიას — აგრძელებს ალ. ცაგარელი, — ერთ-ერთ უძველესად თვლიან ბერძნულთან ერთად, ამიტომ XI ს-ის დოკუმენტს, სადაც ლაპარაკია ანტიოქიის პატრიარქის მიერ ავტოკეფალიის მინიჭებაზე, განსაკუთრებული მონდომებით მას არ შეინახავდნენ, ვინაიდან ივერიის

ეკლესია, ადგილობრივი აღიარების, ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებით ჯერ კიდევ V ს-ის მეორე ნახევრიდან (451 წლის ქალკედონის კრების შემდეგ) ფაქტობრივად, ხოლო VIII საუკუნიდან ფორმალურ-კანონიკურად ითვლებოდა ავტოკეფალიურად ქართველი კათოლიკოსით სათავეში.

ბალსამონისათვის მართლაც დამახასიათებელი ყოფილა თავისი კომენტარებისათვის თან დაერთო ბერძნული დოკუმენტების მთელი დედნები და ეს არც უკვირს ალ. ცაგარელს. ვინაიდან პატრიარქად გახდომამდე ბალსამონი კარტოგრაფი იყო, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არქივსა თუ კანცელარიას ის უძღვებოდა. სადაც უხვად ინახებოდა არა მარტო კანონიკური ქრისტიანული დოკუმენტები, არამედ ერეტიკული თხზულებებიც, რომელთა გამოყენებაც თავის ნაწარმოებებში მისთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა. ანტიოქიის პატრიარქად გახდომის შემდეგაც ის იძულებული შეიქნა დარჩენილიყო კონსტანტინოპოლში, ვინაიდან ანტიოქია ჯვაროსნების ხელში აღმოჩნდა. ეს უკანასკნელნი კი ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიას სერიოზულად ავიწროებდნენ. ამდენად, ბუნებრივია, ანტიოქიის საპატრიარქოში დაცული ცნობები ბალსამონისათვის მიუწვდომელი იყო, თანაც ის ეხებოდა მისთვის უცხო ქართულს და არა ბერძნულ ეკლესიიას. ალ. ცაგარელის მიერ ბალსამონთან დაკავშირებული ამ მომენტის ასე დეტალურად წარმოჩენის შემდეგ, ყველასათვის ნათელი უნდა ყოფილიყო, თუ რატომ არ შეიძლებოდა, მის ცნობას ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ანტიოქიური დოკუმენტის დედანიც დართვოდა.

ამის გამო ბალსამონის შრომებისათვის ჩრდილი არავის მიუყენებია, პირიქით, იგი მიღებული და აღიარებულ იქნა, როგორც ბერძნულ, ისე დასავლეთევროპულ და სლავურ მართლმადიდებლურ ეკლესიებში. მის მიერვე აღწერილი ფაქტიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ყველა ქრისტიანული ეკლესიისათვის იყო ცნობილი და იგი არავის დაუყენებია ეჭვის ქვეშ, გარდა შოვინისტურად განწყობილი რუსი სწავლულებისა.

როგორც ალ. ცაგარელი წერს, აღმოსავლეთის პატრიარქებს, რომლებიც არაერთგზის სწვევიან საქართველოს, არასოდეს შეპარვიათ ეჭვი მისი ეკლესიის ავტოკეფალიურობაში. მაგალითად იერუსალიმის პატრიარქი დოსინეი, რომელიც 1681 წელს ეწვია საქართველოს, თავის სიგელებში განუწყვეტლივ უსვამს ხაზს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, მაშინ, როდესაც იმავეს არ აკეთებს სინაის არქიეპისკოპოსის მიმართ, რომელსაც იერუსალიმის დაქვემდებარებულად მიიჩნევს. „არასოდეს – აღნიშნავს ალ. ცაგარელი, – ანტიოქიის საპატრიარქოს არ მოუნდომებია ეცადა, ჩამოერთვა ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალია, არანაირი დამამტკიცებელი სიგელი ამისა ანტიოქიის პატრიარქს საქართველოს კათალიკოსისათვის არ წარუდგენია. ქართულ წირვებში, რომლებმაც IX ს-დან ჩვენამდე მოაღწია ანტიოქიის პატრიარქის სპეციალური მოხსენიება არ არის დაფიქსირებული, ეკლესიის ჩვეულებისამებრ მოხსენიებულია მხოლოდ აღმოსავლეთის ყველა პატრიარქი. მცხეთის საპატრიარქო ტაძარში მიღებული უძველესი განაწესი მირონის ხარშვის შესახებ (მეფეთა კურთხევის ცერემონიალთან ერთად) ბალსამონამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა, რაც იმისი დასტურია, რომ ეს ღირსშესანიშნავი წესჩვეულებანი აქვე საქართველოში სრულდებოდა. ანტიოქიის საპატრიარქო ცნობილ თანხას ღებულობდა თავისი მამულებიდან საქართველოში, ისე როგორც ღებულობდა ამას აქამდე ათონი, სინაი და იერუსალიმი თავისი მამულებიდან, რომლებიც მათ სხვადასხვა დროს შეწირეს საქართველოს მეფეებმა და წარჩინებულებმა იქ ქართულ სიწმინდეთა მოვლა-პატრონობისათვის და არა კონსტანტინოპოლის ან იერუსალიმის საპატრიარქოსადმი რაიმე დამოკიდებულების ნიშნად“[1].

სერიოზული კამათი გაუმართა ალ. ცაგარელმა ოპონენტთა იმ ნაწილს, რომლებიც გადაკვრით მიანიშნებდნენ, რომ ვითომ ანტიოქიის სინოდის ან პატრიარქ პეტრე III (1052-1057) გადაწყვეტილება სიტყვიერი ყოფილიყოს. ასეთი აზრი საფუძველს მოკლებულია, განაცხადა ქართველმა მეცნიერმა, თუნდაც იმიტომ, რომ ეკლესიის

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

საქმიანობაში, რომელიც საოცრად პუნქტუალურია თავისი განკარგულებებისა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ასეთი რამე დაუშვებელია. ასე რომ, წერილობითი სიგელი უსათუოდ იქნებოდა შედგენილი. ამ პერიოდს დაემთხვა, როგორც ცნობილია, დიდი საეკლესიო განხეთქილება აღმოსავლეთ და დასავლეთ, ანუ რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებს შორის. ალ. ცაგარელი არ გამორიცხავდა, რომ ქართული ეკლესიისათვის სრული და ფორმალური ავტოკეფალიის მინიჭებით ანტიოქიის ბერძნული ეკლესია შეეცადა, საქართველოს ეკლესია რომის საწინააღმდეგოდ შეენარჩუნებინა მართლმადიდებლურ ბერძნულ ეკლესიასთან ერთიანობაში. ისევე როგორც ეს ქართველ ჟამთააღმწერთა ცნობით მოხდა V ს-ის მეორე ნახევარში ქალკედონის ცნობილი 451 წლის კრების შემდეგ, რომელმაც დაგმო მონოფიზიტობა. მაშინ – წერს ალ. ცაგარელი, – ვახტანგ I-ის დროს ქართულმა ეკლესიამ მიიღო შეღავათები და პრივილეგია თავისი ეკლესიის სათავეში ჰყოლოდა ადგილობრივი წარმოშობის იერარქიები, რათა ქართული ეკლესია დარჩენილიყო ერთიანობაში და არ მიმხრობოდა სომეხ და სირიელ მონოფიზიტებს, რა მიზნითაც ჯერ კიდევ VIს-ში ჩამოდის საქართველოში 13 ანტიოქიელი მისიონერი, რომლებმაც მონოფიზიტებისა და ცეცხლთაყვანისმცემლების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაარსეს ეკლესია-მონასტრები. ეს ბრძოლა საბოლოოდ მონოფიზიტურ სომხურ ეკლესიასთან განხეთქილებით დამთავრდა 595 წელს დვინის კრებაზე. არც ერთი ამ ანტიოქიელი მინისიონერიდან, აღნიშნავს ალ. ცაგარელი, რომლებიც დღესაც კი დიდი მოწიწებით მოიხსენიებიან ხალხში, მათი აპოსტოური მოღვაწეობისათვის არ ყოფილა ამაღლებული საქართველოს კათალიკოსის ხარისხში, რაც დიდ მეცნიერს იმის ნათელ დასტურად მიაჩნდა, რომ უკვე VI ს-ში საქართველოს ეკლესიის მართვა ზემოდან ქვემოთ სრულიად ადგილობრივი ქართული იერარქიის ხელში იმყოფებოდა.

მართლაც, ფაქტებისა და ისტორიული მოვლენების საოცრად ღრმა ანალიზზე დამყარებული დასკვნაა, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, მთლიანად და ავტოკეფალიის საკითხისათვის კონკრეტულად. ცნობილი ფაქტია, რომ ანტიოქიისა და, გნებავთ, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოები მეზობლად თუ მოშორებით მდებარე სახელმწიფოებში, მათი ეგიდით წარმოქმნილ ეკლესიებს არცთუ ისე იოლად უშვებდნენ ხელიდან და შემოსავლების გადიდების წყაროთაც მიიჩნევდნენ. ის, რომ ქართული ეკლესია სწრაფად ახერხებს სრული დამოუკიდებლობის გზაზე შედგომას და თან, ფაქტობრივად, თითზე ჩამოსათვლელია მისიონერული დავალებით საეკლესიო მსახურთა შემოდინება, იმაზე მიუთითებს, რომ ქართულმა ეკლესიამ იმთავითვე იზრუნა თავის თვითმყოფადობასა და საერთაშორისო ავტორიტეტზე, რათა იგი სხვისი დანამატი არ გამხდარიყო. მაგალითად, „რუსეთში, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქის ჩარევით შეიქმნა ახალი რუსული ეკლესია, ბიზანტიიდან დაიძრა „განმანათლებელთა“ და „განმწმენდთა“ დიდი ნაკადი, რომლის წევრებმაც დაიკავეს არა მარტო ყველა ეპისკოპოსისა და მღვდლის ადგილი, არამედ ბერებიც კი ბერძნები იყვნენ. ბიზანტიაში არსებული კანონიკური წესებით, პატრიარქი მიტროპოლიტად ამტკიცებდა მიტროპოლიის ეპისკოპოსთა კრების მიერ შერჩეულ კანდიდატს, რომელიც უსათუოდ შეთანხმებული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო ხელისუფლებასთან. მაგრამ რუსეთის მიტროპოლიისათვის ეს წესიც დიდ ფუფუნებად მიიჩნიეს და კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავისი გადაწვეტილებით ნიშნავდა რუსეთის ეკლესიის იერარქებს და, ხშირ შემთხვევაში, არც ეკითხებოდა რუსეთის მთავრებს. კიევის რუსეთის არსებობის მთელი ხნის მანძილზე მიტროპოლიტის ხარისხში მხოლოდ ორი რუსი ეპისკოპოსი ამაღლდა“[1]

პროფესორი ალმაზოვი აგრძელებს თავის კვლევა-ძიებას და ახლა იმის გარკვევას ცდილობს, თუ მდიდარი ქართული ლიტერატურის ხელნაწერთა საგანძურში რატომ არ აღმოჩნდა დოკუმენტი ანტიოქიის

1. Н. Никольский История русской церкви, М., 1975, стр. 33.

საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიის აღიარების თუ მინიჭების შესახებ. ალ. ცაგარელი ოპონენტის არც ამ კითხვას ტოვებს უპასუხოდ და მისთვის ჩვეული არგუმენტებით, დამაჯერებლად აანალიზებს ქართული სინამდვილის საჭირბოროტო პრობლემას. ჯერ ერთი, ათასობით ქართული ხელნაწერი — მიაჩნია ალ. ცაგარელს, — მოყოლებული VIIIს-დან არათუ შესწავლილი და ახსნილი, წაკითხულიც კი არ არის, მათზე უბრალო კატალოგიც კი არ არის შედგენილი და ამდენად, მომავალში მსგავსი დოკუმენტის აღმოჩენა სრულიად შესაძლებლად მიაჩნია მეცნიერს; ათასწლიანი წარსულის დოკუმენტთან დაკავშირებით გონებამახვილური მაგალითი მოჰყავს ალ. ცაგარელს, იგი წერს — განა ყველა ქონებრივი ან წოდებრივი უფლებები მტკიცდება დოკუმენტის არსებობით. ბევრი შესძლებს წარმოადგინოს დოკუმენტი მისი გვარის მიერ რამოდენიმე საუკუნის წინათ შეძენილი მამულის, ან მიღებული წოდების შესახებ, მაგრამ ამას არავინ ხდის საკამათოდ. რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულებას თან ერთვოდა საქართველოს წარჩინებულ თავადთა და დიდებულთა რამოდენიმე ათეული პირის სია, რომელთა ერთი მეათედიც კი ვერ წარმოადგენს არათუ დოკუმენტს, მის ასლსაც კი თავისი ტიტულის ფლობის შესახებ, მაგრამ უცილობელი წარსული და საუკუნეების მანძილზე თავისი უფლებებით სარგებლობა, თანამედროვეთა თუ თვითმხილველთა გადმოცემები, ბოლოს ადათ-წესები და ამაზე დაფუძნებული სამართალი, რომელსაც კანონებთან ერთად ეკლესია უდიდეს მნიშვნელობასა და ძალას ანიჭებს, განა ეს ყველაფერი — კითხულობს ალ. ცაგარელი — არ ცვლის დოკუმენტს, რომელიც არ ჩანს.

რა დამსახურებისათვის უნდა მიეღო საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია? ამ საკითხითაც დაინტერესდა ალმაზოვი და პასუხსაც არ აყოვნებს — პოლიტიკური მოტივით. არ არის სწორი — იქვე უსწორებს ალ. ცაგარელი და წერს: „მან ის მიიღო კულტურული და საეკლესიო-რელიგიური სიმწიფისა და სიმტკიცისათვის“.[1] ამის შემდეგ მეცნიერი მიმოიხილავს ქართული სახელმწიფოს ისტორიის

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

ძირითად საკვანძო საკითხებს XI-XIIს-ში და ასკვნის, რომ ბალსამონის დროს საქართველო გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე და სრული საეკლესიო ავტოკეფალიის მიღების დროს ეგი თავისი ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის ზენიტში იმყოფებოდა. თავისი განსწავლულობა და აღმოსავლეთის ქვეყნების ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს მეცნიერს, მსჯელობის საილუსტრაციოდ არაერთი და ორი მაგალითი მოიყვანოს ამ ქვეყნების ისტორიიდან თუ საეკლესიო ცხოვრებიდან. ალ. ცაგარელის აზრით, ავტოკეფალია ამა თუ იმ ეკლესიას ეძლეოდა სხვადასხვა მოტივითა და მიზეზით. ჩვენ აქ მოვიყვანთ მეცნიერის ამ ჩამონათვალს, სადაც მშვენივრად ჩანს რელიგიური ცენტრების ავტოკეფალიურობის მოტივაცია. რომი აღიარებული იქნა ავტოკეფალიურად, როგორც მეფის ძველი დედაქალაქი; კონსტანტინოპოლმა ეს ეკლესიური უპირატესობა მიიღო, როგორც იმპერატორის ახალმა რეზიდენციამ, თუმცა კულტურული თვალსაზრისით, ის ბიზანტიის იმპერიის მეორეხარისხოვან ქალაქებთან შედარებითაც კი გაცილებით დაბლა იდგა; მაკედონიამ VI ს-ში, არანაირი კულტურა რომ არ ჰქონია ისე, იმპერატორ იუსტინიანე I-ის სურვილით მიიღო ავტოკეფალია, როგორც ამ მონარქის სამშობლომ; იერუსალიმმა, როგორც ქრისტიანობის რელიგიურმა ცენტრმა, თუმცა პალესტინაში გაცილებით მეტი კულტურის ქალაქი კესარია იყო, სადაც მიტროპოლიტიც ეჯდა. ცნობილია — აგრძელებს ალ. ცაგარელი, — რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რითაც XVIს-ის მიწურულს რუსეთის ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო, იყო თურქების მიერ XVს-ში. კონსტანტინოპოლის დაკავება, რუსი იერარქიებისათვის კონსტანტინოპოლამდე გზის სიშორე და პატრიარქთან ურთიერთობის გართულება, ერთი სიტყვით, მიზეზი იყო პოლიტიკურ-გეოგრაფიული და არა რელიგიურ-კულტურული. ვფიქრობ, მეცნიერის ამ ბოლო სიტყვებს მკითხველი მიაქცევს ყურადღებას.

ამდენად, — დაასკვნის ალ. ცაგარელი — პროფ. ალმაზოვის შეხედულებების უსაფუძვლობა და თვითნებობა, რომელიც მის ოთხ დასკვნაშია ფორმულირებული — სრულიად ნათელია, რატომ უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს ეკლესია რუსეთისას, როგორც

ამას ალმაზოვი მოითხოვდა, მით უფრო საკვირველია, როდესაც ერთი მეორეზე, ქართული რუსულზე გაცილებით მაღლა იდგა თავისი წარსულით, ტრადიციითა და დამსახურებით, საერთოდ, ქრისტიანობის წინაშე, რუსეთის ეკლესია მაშინ გამოჩნდა ასპარეზზე, როდესაც ქრისტიანულ რელიგიას ათასი წლის ისტორია და დამკვიდრების ურთულესი ბატალიები უკან ჰქონდა მოტოვებული. მან ავტოკეფალია XVIს-ის მიწურულს მიიღო, ხოლო 1721 წელს პეტრე I-ის განკარგულებით პატრიარქობა რუსეთში გაუქმებულ იქნა, რუსეთის ეკლესიის მართვა, ე.წ. „სასულიერო რეგლამენტის" მეშვეობით ხორციელდებოდა.

ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიან საქმეს ოპონენტები მრავლად ჰყავდა რუსეთში. ალმაზოვის, ვოსტორგოვისა და სხვათა მსგავსად, ამ საკითხით ძალიან იყო დაინტერესებული - პროფ. ბერდნიკოვიც, რომელიც ისტორიის გაყალბებასა და ჭეშმარიტების ფალსიფიცირებაში არ ჩამოუვარდებოდა თავის თანამოძმეთ. მანაც სცადა წინ აღსდგომოდა ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების აზრსაც კი და საგანგებო მოხსენებით მიმართა სინოდს, რომელშიც ასაბუთებდა რუსული ეკლესიის მიერ სხვა ეკლესიის — „ჩაყლაპვის" მართლზომიერებას. ბერდნიკოვი ამტკიცებდა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია, მართალია, უშვებს თითოეული ეროვნების უფლებას, ჰქონდეს თავისი ეკლესია ნაციონალური იერარქიით სათავეში, მაგრამ არ აკანონებს მას. აქედან კი დასკვნა, რომ არ არის აუცილებელი, ქართველებს ჰქონდეს ავტოკეფალიური ეკლესია, რასაც ცხადია, არ დაეთანხმა ალ. ცაგარელი, მან არაერთი მაგალითი მოიყვანა იმის შესახებ, რომ ასეთ განცხადებებს საფუძველი არ გააჩნია; ისტორიული წარსული და, საერთოდ, ქრისტიანული რელიგიის ორგანიზაცია, სწორედ რომ საპირისპიროს ამტკიცებს, სადაც ყოველთვის ხაზგასმულია ერის ისტორიისა და თავისებურებებისადმი პატივისცემა, რაც მოციქულ პავლეს სიტყვებშიაც პოულობს ასახვას. თვითონ კანონებშიც კი — შენიშნავს ალ. ცაგარელი, — პირდაპირ არის მითითებული მოთხოვნა, რომ თითოეულ ხალხს ცალკე უნდა ჰქონდეს თავისი საეკლესიო იერარქია და საეკლესიო თვითმმართველობაც.

ბერდნიკოვი ქართული ეკლესიის საკითხის პოლიტიკურ ასპექტში გადაწყვეტასაც შეეხო და ისტორიული სურათის აღდგენას ყურმოკრული ცნობები და ტურისტებისათვის განკუთვნილი გზამკვლევები დაუდო, მაშინ, როდესაც მისი დროისათვის მნიშვნელოვანი საარქივო მასალები, რომლებსაც ასე თუ ისე შეეძლო სიცხადე შეეტანა სერიოზული გადაწყვეტილებების მიღებაში, უკვე გამოქვეყნებული იყო. მაგრამ ასეთი მისია, ცხადია, ე. წ. სწავლულებს არ აძლევდათ ხელს, ისინი წინასწარ აღიარებული პროგრამით ხელმძღვანელობდნენ და მათთვის ისტორიული ჭეშმარიტება ის უმნიშვნელო დეტალი იყო, რომლის გულისთვისაც საერთო პოლიტიკური ფონი არ უნდა გაფუჭებულიყო. ამასთან დაკავშირებით ალ. ცაგარელი აღნიშნავდა – თუ მათ სურთ, რომ კანონიკურ საფუძვლებს ახლა პოლიტიკური და ისტორიული ხასიათის მოსაზრებებიც დაურთონ, მით უარესი მათთვის, მაშინ კიდევ უფრო ნათელი შეიქნა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა; ამ აზრის სისწორე იმაში მდგომარეობდა, რომ რუსეთის სინოდის დამქაში სწავლულები ან საერთოდ არ იცნობდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს, ანდა განზრახ ამახინჯებდნენ მას, ყოველ შემთხვევაში ის, რომ საჭირო დოკუმენტების მოძიებითა და მათი სწორი ანალიზით არ გამოირჩეოდნენ, ეს თუნდაც ქართული ეკლესიის საკითხისადმი კამათშიც აშკარად ჩანს.

პროფ. ბერდნიკოვი არ თაკილობდა განეცხადებინა ისიც, რომ საუბარი, ვითომ ქართველებს თავისი ეკლესიის რუსეთთან შეერთებასა და კათალიკოსობის მოსპობაზე თანხმობა არ განეცხადებინოთ და ეს გაეკეთებინოს რუსეთის საეკლესიო და საერო ხელისუფლებას იძულებით, არასწორია. ფაქტები სხვაზე მეტყველებს, უტიფრად აგრძელებს იგი, ყველა იმ მოლაპარაკებაში, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს სახელმწიფოს რუსეთთან შეერთების შესახებ, მონაწილეობას ღებულობდნენ სასულიერო პირები ან თვითონ კათალიკოსი და საქართველოს მოსახლეობამაც შესანიშნავად იცოდა, თუ რა მიზნები და ამოცანები ამოძრავებდა რუსეთის მთავრობას საქართველოს

მიმართ შეერთების მომენტში, მათ შორის, ეკლესიის მიმართაც. ის, რომ საქართველოს იერარქია, აგრძელებს ბერდნიკოვი, წმინდა სინოდს უნდა დაქვემდებარებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ მეფე ერეკლეს შვილი — ანტონი არქიეპისკოპოსისა და კათალიკოსის ტიტულში სწორედ პეტერბურგში იქნა ნაკურთხი, რაზეც ალ. ცაგარელი ირონიით შენიშნავს, სულ ახლახან იმპ. ნიკოლოზის სურვილით პეტერბურგში ჩერნოგორიის არქიმანდრიტი კურთხეულ იქნა არქიეპისკოპოსად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩერნოგორიის იერარქია რუსულ სინოდს დაექვემდებარა.

ბერდნიკოვი იმასაც ამტკიცებდა, რომ ქართველმა ხალხმა საკუთარი ნებით გადაწყვიტა, დაქვემდებარებოდა რუსეთის ხელისუფლებას და მოჰყავდა ცალკეული პუნქტები გეორგიევსკის ტრაქტატიდან, რომლის შინაარსსაც მისივე შეხედულებების მიხედვით აწყობდა, აქედანვე გამოჰქონდა დასკვნა, რომ როცა საერო ხელისუფლება გადადის სხვის დაქვემდებარებაში — ბუნებრივია, რომ ეს სასულიერესაც ეხება. მაშასადამე, საუბარი იძულების წესით საქართველოს ეკლესიის რუსეთთან შეერთებაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულიაო.

ალ. ცაგარელს ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია, რომ მკვეთრად გამოხატული პოზიცია ეკავა, რომელიც დაფუძნებული იყო საქართველოს წარსულისა და ისტორიის, ამავე დროს ქრისტიანობის, როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის ღრმა ცოდნაზე. მეცნიერი გაკვირვებას ვერ ფარავს, როდესაც ეს ვითომ სწავლული კანონისტები ელემენტარულ საკითხებს ერთმანეთში ურევენ, და ნებსით თუ უნებლიეთ, საოცარ ფაქტობრივ შეცდომებს უშვებენ. „საქმე ისაა, წერს ალ. ცაგარელი, — რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება, როგორც არ უნდა ჩაითვალოს ის ხელშეკრულების, იარაღის ძალითა თუ მიტაცების საშუალებით, ეკლესიაზე ამ შეერთების გავრცელება არ შეიძლებოდა, ვინაიდან საერთაშორისო სამართლის დარგსა და საეკლესიო სამართალს შორის განსხვავების თვალსაზრისით მთელი უფსკრულია, რაც კარგად უნდა უწყოდნენ კანონისტებმა“.[1]

---

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 70.

იმისათვის, რომ მკითხველისათვის ნათლად ეჩვენებინა ალმაზოვის, ბერდნიკოვისა და მათ მსგავს სწავლულთა ნააზრევის მთელი უსუსურობა საქართველოს წარსულისა და ქართული ეკლესიის შესახებ ალ. ცაგარელი მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად მიმოიხილავს საერთოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობას XVI ს-ის ბოლოდან, საიდანაც კარგად ჩანს რუსეთის მეფეთა თუ იმპერატორთა „დიადი" მიზნები ახალი ტერიტორიების შემოერთებისაკენ. საერთოდ, რუსეთის ისტორიოგრაფია ჯერ ცარიზმის დროინდელი, შემდეგ უკვე ბოლშევიკური, ყველა თავის დაპყრობას გათავისუფლებას უწოდებს, მაგრამ ვისგან ათავისუფლებს, ამისი აღნიშვნა ავიწყდება. საქართველოს მაგალითზეც კარგად ჩანს, რომ არც ერთი თავისი ვალდებულება რუსეთმა არ შეასრულა; პირიქით, რუსეთთან კეთილმეზობლობის სურვილის მქონე ქართველი ხალხი, პირველის მიერ ბევრჯერ იქნა მოტყუებული და გააფთრებული მეზობლების საჯიჯგნად მიგდებული, ამის შემდეგ ბერდნიკოვი და ალმაზოვი ცხადია, არც იმის აღნიშვნას თაკილობდნენ, რომ თუ არა საქართველოს რუსეთთან შეერთება, საქართველოც და მისი ეკლესიაც დასაღუპავად იყო განწირული. „თავისი არსებობის ორი ათასი წლის მანძილზე საქართველოს სამეფო და 15 საუკუნოვანი მისი ეკლესია — წერდა ალ. ცაგარელი — არაერთხელ ყოფილა დამოკიდებული არაბი, მონგოლი, სპარსი თუ თურქი დაპყრობლების მიმართ, მაგრამ საქართველოს სახელმწიფო, ისევე როგორც მისი ეკლესია თუნდაც ვასალური ფორმით, მაინც აგრძელებდა არსებობას".[1] მაშინ, როდესაც ვითომ ერთმორწმუნე მოყვასის ხელში, ერთიც გაუქმებულ იქნა და მეორეც.

ალ. ცაგარელი საქართველოს ეკლესიის ინტერესების დაცვისას ფართო პოლემიკაშია ჩართული არა მარტო ე. წ. რუს სწავლულებთან, არამედ რუსული ეკლესიის იერარქიაში მოკალათებულ შოვინისტებთანაც, რომლებიც მართალია, საეკლესიო მანტიაში იყვნენ გახვეულები და ხელშიც ჯვარი ეჭირათ, მაგრამ გულითა და სულით

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

განწმენდილები არ იყვნენ და არც ქრისტეს მთავარ დამოძღვრას — არა ქმნად ბოროტისა, დაგიდევდნენ. სწორედ მათი უშუალო მითითებითა და ლოცვა-კურთხევით ხორციელდებოდა ქართული ეკლესიის, ღვთისმსახურთა თუ მრევლის დევნა-შევიწროება, რასაც ქართველი მეცნიერი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიისა და კანონების ღრმა ცოდნით უპირისპირდება. მას რუსული სინოდის გადაწყვეტილებათა თუ მოქმედებათა საპირისპიროდ არაერთი მაგალითი მოჰყავს მართლმადიდებლური ეკლესიის პრაქტიკიდან, რითაც ნათელს ხდის ძირითად პრინციპს, რომ ნაკლები ისტორიის, დამსახურებისა და ავტორიტეტის მქონე ეკლესიას არანაირი კანონიკური უფლება არა აქვს, ხელყოს მასზე ბევრად უფრო მაღლა მდგომი ეკლესიის უფლება. „უპირველეს ყოვლისა — წერს მეცნიერი, — უნდა აღინიშნოს, რომ რუსული საეგზარქოსო არც ისტორიული, არც კანონიკური და არც ტერიტორიული პრინციპით ეს არ არის საქართველოს საკათალიკოსო".[1] მეცნიერი იმას უსვამდა ხაზს, რომ როგორ შეეძლო საეგზარქოსოს გულთან ახლოს მიეტანა ქართველი მრევლის გასაჭირი და სატკივარი, როდესაც მისმა რუსმა მღვდელმსახურებმა, მორალურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ქართულიც კი არ იცოდნენ, თანაც საეგზარქოსო უზარმაზარ ტერიტორიას აერთიანებდა, მოსახლეობის ჭრელი მასებით, რომელთაც სხვადასხვა ტრადიცია, მოსაზრება და მიზანი ამოძრავებდათ.

იმისათვის, რომ ჩავწვდეთ ეკლესიის ავტოკეფალიის არსს, შენიშნავდა ალ. ცაგარელი, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საეკლესიო კანონმდებლობისა და პრაქტიკის რამდენიმე ფუძემდებლური ნორმა, რომელზედაც აღმართულია მთელი მართლმადიდებლური ეკლესია და უთითებს კიდეც მსოფლიო საეკლესიო კრებათა შესაბამის პუნქტებს, სადაც შავით თეთრზეა აღნიშნული, რომ ეკლესიის მართვის უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ეპისკოპოსთა კრებას, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი უდგას სათავეში, მაგრამ მას დანარჩენებთან მოთათბირების გარეშე არა აქვს უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება,

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

ერთი საეკლესიო ოლქი არ უნდა ერეოდეს სხვა ეკლესიის მართვაში. ეს ელემენტარულია და საკამათო არ უნდა იყოს, მიაჩნდა ქართველ მეცნიერს, ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ რუსეთის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის მიერთებას, თვით რუსმა სწავლულებმა და მღვდელმსახურებმა ვერ მოუძებნეს ანალოგია, თუმცა ცდა და მონდომება არ დაუკლიათ.

საეკლესიო ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდა ალ. ცაგარელს ქრისტიანული ეკლესიების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, რომლის ისტორია და პრაქტიკა სერიოზულად ურთულებდა საქმეს რუსეთის შოვინისტებს საქართველოს ეკლესიასთან მიმართებაში, მაგრამ თვითმპყრობელობა იმ დროს ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ასეთ წვრილმან საკითხებს და უფრო ერების ასიმილაციით იყო დაკავებული. იმპერიის ფარგლებში სიტყვა „დამოუკიდებელიც" კი მათში გაღიზიანებასა და სისასტიკეს იწვევდა, მაგრამ ამის გამო ალ. ცაგარელს თავისი სათქმელი შუა გზაში არ მიუტოვებია და შეუვალი სიტყვით რუს შოვინისტებს იმას მაინც აგებინებდა, რომ საქართველოში მტყუან-მართლის გარჩევა ძალიან კარგად იცოდნენ და თუ ამ სიმართლეს გასავალი არ ჰქონდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმპერიის მესვეურთ ქვემოდან მოსული სიმართლის გაგონება არ სურდათ.

ჩვიდმეტი დიდი (ტერიტორიულად) თუ პატარა, უძველესი თუ ახალი მართლმადიდებლური ავტოკეფალიური ეკლესია – აღნიშნავს ალ. ცაგარელი, ქმნიან ერთგვარად საეკლესიო ფედერაციას. თითოეულ მათგანს თუ სურს შეინარჩუნოს მსოფლიო ეკლესიასთან თავისი ერთიანობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იხელმძღვანელოს ამ ეკლესიის მიერ მსოფლიო კრებებზე მიღებული კანონებით და არ მიიღონ ამისი საწინააღმდეგო დადგენილებები. თავისთავად ცხადია, საეკლესიო ურთიერთობის ეს უპირველესი პირობა რუსული ეკლესიის მიერ საქართველოს მიმართ იმთავითვე იქნა დარღვეული. უძველესი (IVს) მართლმადიდებლური ეკლესიებიდან, – აგრძელებს მეცნიერი თავისი აზრის განვითარებას, მართლმადიდებლობის ერთგულნი მხოლოდ ბერძნული და ივერიისა დარჩნენ. დანარჩენი ძველი ეკლესიები: სომხური,

სირიული, კოპტური, ეთიოპური და ბოლოს რომაული თანდათან ჩამოშორდნენ მართლმადიდებლობას. მართლმადიდებლობა, სლავური, რუსული და რუმინული ეკლესიებისა IX ს-ში შეიქმნა. აქ ალ. ცაგარელი ასეთ წინადადებას სვამს: „საეკლესიო სწავლების მიხედვით, უძველესი მართლმადიდებლური ეკლესიები, როგორც მოციქულთა დროებასთან ახლოს მდგომნი, თავისი წყობითა და მართვით მაგალითის მიმცემნი უნდა იყვნენ უფრო მოგვიანო ხანის ეკლესიებისათვის და არა პირიქით".[1] ამის შემდეგ ქართველი მეცნიერი უფრო დეტალურად ეხება რუსული ეკლესიის მართვის ორგანიზაციას, რომელმაც პეტრე დიდის დროიდან რადიკალური ცვლილებები განიცადა და არათუ სხვა ეკლესიის ჩაყლაპვის უფლება, არამედ საკუთარ მმართველობაში ჰქონდა გაბატონებული ქაოსი და განუკითხაობა. მეოცე საკუნის დასაწყისში რუსეთის ეკლესია-მონასტრებში შექმნილ მდგომარეობაზე თავად რუსი სწავლულები წერდნენ: „ვაჭრობენ ადგილებით სამონასტრო სასაფლაოებზე, ჯვრებით, ხატებით, ნაკურთხი ზეთით, სხვადასხვა სპეციალური ლოცვებით, ყველაფერი ეს საშინელი ფასებით, თითქმის 100 და მეტი პროცენტიანი მოგებით. ისეთი კეთილშობილი და ღვთისმეტყველი კაცის სიტყვით, როგორიც იყო ე. გოლუბინსკი. რუსული მონასტრები მთელს – მსოფლიოში ყველაზე უფრო უსინდისო მოვაჭრეები იყვნენ".[2] პეტრე დიდიდან, 1721 წლიდან – შენიშნავს ალ. ცაგარელი, – რუსული ეკლესია იმართება „სასულიერო რეგლამენტის" მიხედვით, რომელიც შეთანხმებული ყოფილა აღმოსავლეთის ოთხი პატრიარქიდან ორთან. მაგრამ ამ რეგლამენტის მოქმედების სხვა ეკლესიებზე გავრცელების უფლება რუსებს არ ქონდათ. მაშინ, როდესაც 1811 წელს საქართველოს კათოლიკოსის შეცვლა რუსი ეგზარქოსით რუსებს არც ქართველებისათვის უკითხავთ და არც აღმოსავლეთის პატრიარქებთან შეუთანხმებიათ. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ეკლესია, თავის დროზე და შემდგომ საუკუნეების მანძილზე, ფარულ წინაამღდეგობას უწევდა ამ ე.წ.

---

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

2. Н. Никольский, დასახ. ნაშრ., გვ. 407.

„სასულიერო რეგლამენტს“, ხოლო XXს-ის დამდეგიდან საოქალაქო ხელისუფლებას მთელი კატეგორიულობით მოსთხოვეს საპატრიარქოს აღდგენა. თუ ეს ასე მოხდა — მიაჩნდა ალ. ცაგარელს, — არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს საქართველოს ეკლესიის ინტერესები, „წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, იყო წინასწარმეტყველი, რომ წარმოიდგინო, როგორც კრების მოწვევა, ისე მისი დადგენილებები (მაგ. საპატრიარქოს აღდგენის შესახებ რუსეთში) სათუოს გახდის აღმოსავლეთის პატრიარქების მხარდაჭერას“[1] ალ. ცაგარელი აფრთხილებს რუსეთის სასულიერო იერარქიას, რომ კარგად ჩაიხედონ მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკასა და კანონებში, რომლის მიხედვითაც საქართველოს ეკლესიას ვინმეს მოწყალება კი არ სჭირდება, არამედ მას უნდა დაუბრუნდეს ის, რაც კანონიერად ეკუთვნის, რომელიც საუკუნეების მანძილზე, მრავალი განსაცდელის ჟამსაც ღირსეულად უტარებია.

1909 წელს საქართველოს ახალ ეგზარქოსად დაინიშნა ტამბოვის მხარის არქიეპისკოპოსი ინოკენტი. ეს ის დროა, როდესაც საქართველოს სამღვდელოება და ინტელიგენცია ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ იმპერიის მესვეურთ როგორმე გამოგლიჯონ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის უფლება. ამიტომ ახალი ეგზარქოსის დანიშვნამ და განსაკუთრებით კი მისმა გამონათქვამებმა საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მით უმეტეს, რომ დიდი კორექტულობით ისინი არ გამოირჩეოდნენ. კერძოდ, როდესაც ტამბოვში თავის მრევლსა და მორწმუნეებს ემშვიდობებოდა, პატივცემულმა მეუფემ ბრძანა, რომ მიემგზავრებოდა მისთვის სრულიად უცხო და შორეულ ქვეყანაში, ხოლო თბილისში ჩამოსვლისას სიონის ტაძარში განაცხადა, რომ მიესალმება ივერიის ეკლესიას, როგორც ღვთისმშობლის წილნაყარ ქვეყანას და არაერთი სადიდებელი სიტყვა უძღვნა საქართველოს ეკლესიასა და ხალხს. მაგრამ როგორც ალ. ცაგარელი შენიშნავს — მოჩვენებითობა იმისა, რომ რუსი ეგზარქოსი სწორ გზაზე დგას და ქართული ეკლესიის გაჭირვებაც კარგად

1. ალ. ცაგარელი დასახ. ნაშრ., გვ. 110.

ესმის, მალევე გაქრა. როდესაც იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ყრილობამ ახალ ეგზარქოსს დეპეშით მიულოცა მშვიდობით ჩამობრძანება და თან გამოთქვა იმედი, რომ იგი ძალისხმევას არ დაიშურებდა ივერიის ეკლესიის თავის უფლებაში დაბრუნებისათვის, ახალმა ეგზარქოსმა თავისი საპასუხო დეპეშით ეს იმედები გააქარწყლა. ალ. ცაგარელს მოჰყავს ამ დეპეშის ტექსტი და კომენტარებსაც უკეთებს მას, ვინაიდან მასში მშვენივრად არის წარმოდგენილი საერთოდ რუსეთის სასულიერო იერარქების შეხედულებანი საქართველოს ეკლესიის მიმართ. „ვთხოვ თქვენს კეთილშობილებას გადასცეს ჩემი მადლიერება თქვენი ეპარქიის ყრილობის დეპუტატებს მათი მოლოცვისათვის ჩემს მიერ ეგზარქოსის მოვალეობის შედგომის გამო. მშვიდობიანად ვიღვაწო ივერიის ეკლესიის კეთილდღეობისათვის, რომელიც განუყოფელია რუსული ეკლესიისაგან და ექვემდებარება მას, სამართლიანი დამოკიდებულება ამ ეკლესიის ყველა შვილისადმი, ეროვნების განურჩევლად ჩემი ვალი და ვალდებულებაა, მაგრამ მე მთლიანად უარს ვაცხადებ, ხელი შევუწყო ივერიის ეკლესიის რაიმე უფლებებში აღდგენის მისწრაფებას“[1]. ასე რომ, რუს ეგზარქოსს არც დაუმალავს თავისი ნამდვილი მიზნები, საქართველოს ეკლესიას ის რუსულის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, თითსაც არ გაანძრევს მისი უფლებების აღდგენაზე. ასეთი განცხადებები, ბუნებრივია, ქართველ სასულიერო პირთა შორის დადებით გამოძახილს ვერ პოვებდა, მაგრამ რუსული რეაქციის თავისებურებაც ის იყო, რომ ის არად დაგიდევდათ ვინმეს გუნება-განწყობილებას, თუნდაც ეს მთელი ერისა ყოფილიყოს, მით უმეტეს, დამორჩილებულისა. ალ. ცაგარელი მისთვის ჩვეული პათოსით გამოეხმაურა ეგზარქოსის ამ უცერემონიო გამონათქვამს, სამ ნაწილად დაყო ისინი და თითოეულ მათგანს საფუძვლიანი პასუხი გასცა, რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს ეკლესიის უფლებების შელახვის ფაქტს არც იურიდიული, არც ისტორიული და არც საეკლესიო კანონიკური საფუძველი არ გააჩნდა. მიუხედავად ამისა,

1. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

თვითმპყრობელობა აგრძელებდა საქართველოს ეკლესიის მიმართ ძალმომრეობის პოლიტიკას და არც აპირებდა რაიმეს რადიკალურად შეცვლას, რასაც ცხადია, არ ეგუებოდა საქართველოს სამღვდელოება და მოწინავე ინტელიგენცია, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი ეკავა ალ. ცაგარელს. სწორედ მან შეძლო წარმოედგინა საქართველოს ეკლესიის ისტორია, როგორც მსოფლიო ქრისტიანული საეკლესიო მოძრაობის განუყოფელი ნაწილი, თავისი დამსახურებული ადგილითა და ავტორიტეტით, რომლის ხელყოფა ძალმომრეობის აქტია და ადრე თუ გვიან რუსეთი იძულებული იქნებოდა, დაებრუნებინა მისთვის კანონიკური უფლება – დამოუკიდებლად ემართა თავისი სამწყსო.

ალ. ცაგარელმა ქართველთა მიზანს მყარი ისტორიული და მეცნიერული საფუძველი შეუქმნა, რომელიც დაფუძნებული იყო ისტორიული დოკუმენტებისა და თუ მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებზე, რამაც ნათელი გახადა ყველასათვის და, მით უმეტეს, რუსეთში, რომ ქართველთა მოთხოვნა საკუთარი ეკლესიის სათავეში კვლავაც კათალიკოსი ეხილათ, ახირება კი არ იყო, არამედ ერის მთელი განვითარებისა და ისტორიული გზის განუყოფელი ნაწილი. ალ. ცაგარელმა ქართველთა სურვილსა და მისწრაფებას ისეთი მყარი საფუძველი შეუქმნა, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნების ხელოვნურად გაჭიანურების საკითხი თვალშისაცემი შეიქნა და მას რუსულ იერარქიაშიც მშვენივრად გრძნობდნენ, ეს იმპერიის მესვეურთ სერიოზულ სირთულეებს უქმნიდა, ხალხთა კანონიერ უფლებებზე უარის თქმით, ისინი თავადაც უფსკრულისაკენ მიექანებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV თავი
მოქმედების დრო

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების შეუპოვრობამ და განსაკუთრებულმა მონდომებამ, საქართველოს ეკლესიას ისტორიულად დამსახურებული ავტოკეფალია დაბრუნებოდა, თავისი შედეგი გამოიღო. მონოგრაფიებმა, სტატიებმა, პუბლიცისტურმა წერილებმა თუ მოხსენებებმა სხვადასხვა სხდომაზე, მათ შორის, სახელმწიფო საბჭოსა და სინოდში, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მყარი სამართლებრივი საფუძველი მოუმზადა. ქართველ ისტორიკოსებს არ გასჭირვებიათ საქართველოს ეკლესიის კანონიკური უფლებების დამტკიცება და მთელი იმპერიის მასშტაბით გარკვეულწილად საზოგადოებრივი აზრის შემზადება, ქართველთათვის ამ მნიშვნელოვანი საკითხის სასარგებლოდ.

1914 წელს საქართველოს ეგზარქოსად ქ. სამარიდან გადმოყვანილი ეპისკოპოსი პიტირიმი დანიშნეს, რომელიც შედარებით ლოიალობას იჩენდა ქართული ეკლესიის ამ მტკივნეული საკითხისადმი, რაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და ამ იდეამ კვლავ მთელი ძალით მოიცვა საზოგადოების დიდი ნაწილი.

პიტირიმი 1916 წელს სასწრაფოდ შეცვალა ქართველებისადმი მტრულად განწყობილმა პლატონმა, მაგრამ დაწყებული საქმის შეჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა.

1916 წელს საქართველოს სხვადასხვა ეპარქიათა ქართული სამღვდელოების კრებებზე შეიმუშავეს და პეტროგრადში რამდენიმე დელეგაციის ხელით გაგზავნეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა, თუმცა უშედეგოდ. ორივე მხარეს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ საეკლესიო თავისუფლება ეროვნული თავისუფლების წინა პირობა იქნებოდა. რუსეთის სინოდი საკითხის გადაწყვეტას არ ჩქარობდა, ომის დასასრულს ელოდებოდა და ცდილობდა, საქმე გაეჭიანურებინა, მაგრამ ომში რუსეთის არმიის დამარცხებებმა და ქვეყნის შიგნით სოციალური სიტუაციის გამწვავებამ რუსეთის „წმინდა“ სინოდს თავისი მიზნების განხორციელება დააჩქარებინა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის საფუძვლის გამოცლას ისახავდა. ამიტომ რუსეთის სინოდმა საქართველოს საეგზარქოსო კავკასიის სამიტროპოლიტოდ გამოაცხადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეონიდე ოქროპირიძე – 1861-1921

კირიონ II – გიორგი საძაგლიშვილი – 1855-1918

გადაღებულია 1906 წელს პეტერბურგში. რუსეთის სინოდის სხდომაზე იხილებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი

საეგზარქოსოდან გამოყო სოხუმის ეპარქია და უშუალოდ თავის დაქვემდებარებაში გადაიყვანა,[1] სინოდი, როგორც ჩანს, მარტო აშაზე გაჩერებას არ აპირებდა, მაგრამ 1917 წლის თებერვალში მეფის ხელისუფლება დაემხო, რაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრეებმა სასურველ წინა პირობად მიიჩნიეს და ქართველმა სამღვდელოებამ უნდობლობა გამოუცხადა დროებით მთავრობას, რომელიც მეფის დამხობის შემდეგ გამოჩნდა პოლიტიკურ არენაზე. მან არც სინოდი გააუქმა და ცხადია, არც მისი გადაწყვეტილება, მაგრამ ქართველი საზოგადოება და სამღვდელოება უკვე იგნორირებას უკეთებდა ეგზარქოსს და მას თავის მეთაურად არ ცნობდა. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ოთხივე ეპარქიაში გამოყვეს თავიანთი წარმომადგენლები სრულიად საქართველოს ყრილობაზე წარსადგენად, სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. იმპერიაში დაწყებული რთული პოლიტიკური და სოციალური რყევები ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა საქართველოს მომავალი ბედის განსაზღვრისათვის სასურველ მომენტად მიიჩნიეს და აქტიური მოქმედებაც დაიწყეს.

ამ დროისათვის ინტელექტუალ ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილი პეტერბურგში მოღვაწეობდა: „მიუხედავად იმისა, რომ პეტერბურგის ქართველობა რუსეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ. ისინი ერთსულოვანნი იყვნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიმართ და განაცხადეს, ყველაფერს იღონებდნენ, რათა რუსეთის დროებით მთავრობას დაემტკიცებინა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“[2].

სერიოზულად იხილებოდა არა მარტო საქათველოს ეკლესიის ავტოკეფალიის, არამედ თვითონ ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის საკითხები. ასეთ გადამწყვეტ ჟამს კი სწორედ ივანე ჯავახიშვილმა იკისრა ერის წინამძღოლისა და ლიდერის უაღრესად მძიმე ტვირთი, როგორც აკაკი შანიძე წერს: „ქართველი ერის აღორძინების ისტორიაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ მთავარი ფიგურა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი უთუოდ ივანე

1. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 1997 წ., გვ. 387

2. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, გვ. 14. თბ. 2000 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კორნელი კეკელიძე – 1879-1962

ჯავახიშვილი იყო, რომელსაც წილად ხვდა წინამღვრად გაძღოლოდა მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერს უკეთესი მომავლისათვის"[1].

ივანე ჯავახიშვილმა წმინდა სამეცნიერო და თეორიული მოღვაწეობიდან აშკარად გამოკვეთილი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, რომლის შესახებ ფართო საზოგადოება ბოლო დრომდე არ იყო გათვითცნობიერებული, არადა როგორც პროფ. ოთარ ჯანელიძე წერს, „საარქივო მასალების შესწავლა საფუძველს იძლევა ივანე ჯავახიშვილი მივიჩნიოთ არა მხოლოდ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, არამედ ახლად შექმნილი სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შენება-განმტკიცების დაუცხრომელ მოამაგედ"[2].

ეროვნული სახელმწიფოს შენების საქმეში ქართული ეკლესიის როლი და დანიშნულება განუზომელი იყო. სინოდის კლანჭებიდან მისი გამოხსნა მთლიანად ქართული საკითხის წარმატებით გადაწყვეტის უცილობელ პირობას წარმოადგენდა, ამიტომაც ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას ივანე ჯავახიშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. 1917 წლის 11 მარტს ივანე ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს წერდა: „მე მგონია ჩვენს სამღვდელოებას და მრევლს შეუძლიათ საეკლესიო კრება მოიწვიონ და საქართველოს ეკლესიის თვითმწყობლობა აღადგინონ, აირჩიონ კათალიკოზი და ეს მთავრობას და ლვოვს აცნობონო"[3].

1917 წლის 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში 10 ათასამდე სასულიერო და საერო მოღვაწის მონაწილეობით, ოთხივე მთავარი ქართველი მღვდელთმთავრის მეთაურობით: ეპისკოპოსი ლეონიდე, ეპისკოპოსი გიორგი, ეპისკოპოსი – ანტონი და ალავერდისა – პიროსი, გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. მიიღეს სიგელი მისი აღდგენის შესახებ, კათალიკოსის არჩევამდე ეკლესიის წინამძღოლობა მიენდო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს ლეონიდე ოქროპირიძეს, რომელიც ამიერიდან მცხეთა-თბილისის არქიეპისკოპოსად და კათალიკოსის თანამოსაყდრედ იწოდებოდა, ეკლესიის დროებითი მმართველობა დაევალა აღმასრულებელ კომიტეტს: თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის, დეკანოზ კორნელი კეკელიძის, დეკანოზ გიორგი თალაკვაძის,

1. „ახალგაზრდა ივერიელი", 1990 წ., 25 ნოემბერი.
2. ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, გვ. 5, 1996 წ.
3. ო. ჯანელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

მღვდლების ვასილ და პოლიევქტო კარბელაშვილების, იპოლიტე ვართაგავას, ვასილ ბარნოვის, სერგი გორგაძის, გრიგოლ ყიფშიძის, სოფრომ მგალობლიშვილისა და სხვების შემადგენლობით. მეორე დღეს, 13 მარტს, უკვე არქიეპისკოპოსმა ლეონიდემ მცხეთის საეკლესიო კრების სახელით გადააყენა საქართველოს ეგზარქოსი პლატონი, ჩამოართვა მას ქართლ-კახეთის ეპისკოპოსის წოდება და საქართველოს ეკლესიის მართვის უფლება. 16 მარტს საქართველოს საეკლესიო კრებამ ქართული ენა გამოაცხადა საქართველოს ყველა ეკლესიაში წირვა-ლოცვის ენად, ხოლო რუსი მრევლის მყოლ ეკლესიებში რუსული ენაც იქნა შენარჩუნებული, რადგან საქართველო რევოლუციის შემდეგაც რჩებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში — ეს საკითხი უნდა განეხილა დროებით მთავრობას და სინოდს, ამიტომ 23 მარტს საქართველოს ეკლესიის ყრილობისა და მმართველი კომიტეტის ეს გადაწყვეტილებანი ეცნობა ამიერკავკასიის კომისარიატის წევრებს — კიტა აბაშიძესა და მ. პაპაჯანოვს, რათა მათ ეშუამდგომლათ რუსეთის სინოდის წინაშე და დაემტკიცებინათ ეს გადაწყვეტილებანი.

დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას და მას ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებს უქმნიდა. იურიდიული კომისია, რომელსაც საკითხი განსახილველად გადაეცა როგორც ჩანს ქართველების მიზანსა და მისწრაფებას, ისეთი შეკვეცილი სახით უპირებდა რედაქტირებას, რომ ქართული ეკლესია კალავ სინოდის დაქვემდებარებაში რჩებოდა.

ეს შეუტყვია ივანე ჯავახიშვილს, რომელიც ზ. ავალიშვილთან ერთად, სასწრაფოდ სინოდის ობერ-პროკურორს ლვოვს ეწვია. "ზურაბსა და მე საათნახევრის განმავლობაში კამათი მოგვიხდა მასთან და ბოლოს დავიყოლიეთ და იურიდიული კომისიის აზრი უარვაყოფინეთ, ჩვენ ვარჩიეთ ის დებულება, რომელიც მარისა და ბენაშვილის თანდასწრებით საეკლესიო სამართლის მეცნიერთ შეემუშავებინათ. არც ეს დებულებაა მთლად დამაკმაყოფილებელი, მაგრამ საქმე მთლიანად იღუპებოდა და ისევ ეს ჯობდაო", — იტყობინებოდა ივ. ჯავახიშვილი"[1].

1917 წლის 27 მარტს რუსეთის საეკლესიო კრებამ განიხილა კიდეც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, რომელსაც

1. ოთარ ჯანელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

საჩივრით მიმართა გადაყენებულმა ეგზარქოსმა პლატონმა, მას დაუშვებლად მიაჩნდა ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭება, საქართველოს რუსული ეროვნების მრევლმაც მოითხოვა ამიერკავკასიის საეგზარქოსოს შექმნა საქართველოს კათალიკოსის საპირისპიროდ, ყოველივე ამის ფონზე კრებამ მართალია აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მაგრამ აღიარა მისი ქართულ-ეროვნული ხასიათი და უარყო მისი ტერიტორიული პრინციპი, რაც იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებლობა ვრცელდებოდა მხოლოდ ქართულენოვან მრევლზე; ხოლო საქართველოს ყოფილ ეგზარქოსს პლატონს რუსეთის სინოდმა თბილისის მიტროპოლიტისა და კავკასიის ეგზარქოსის წოდება მიანიჭა. ასე რომ, რუსი ეგზარქოსი კვლავ დატოვეს საქართველოში და თავისი სამწყსოც გამოუყვეს რუსული და სხვა არაქართული მრევლისაგან. მაგალითად: ბერძნული, აფხაზური, რუსული თავისთავად და სხვ. მრევლის მართვა-გამგეობა რუსეთის სინოდის ხელში რჩებოდა, საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა დამფუძნებელ კრებას.

დროებითმა მთავრობამ 1917 წლის აპრილში საქართველოში საეკლესიო საკითხთა ადგილზე გასაცნობად პეტერბურგიდან პროფესორი ბენაშვიჩი მოავლინა. პროფ. ბენაშვიჩი ცნობილი ბიზანტიოლოგი და ნიკო მარის მოწაფე იყო, ამიტომ ბენეშვიჩის ამ მისიით საქართველოში ჩამოსვლას ქართველი საზოგადოება თავდაპირველად დადებითად შეხვდა, „ბენაშვიჩი კარგი კაცია, ჩვენ თანაგვიგრძნობს.... უნდა კარგად დაუხვდეს ქართული სამღვდელოება და საზოგადოება. წინასწარ მომზადებაა საჭირო“ იქნებ მანდ მოლაპარაკების დროს როგორმე მშვიდობიანად შეთანხმდეთ ბენაშვიჩთანო, წერდა ივ. ჯავახიშვილი კიტა აბაშიძეს“,[1] მაგრამ რუსმა მეცნიერმა მალე გამოამჟღავნა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ქართველთა მთავარი მოთხოვნისადმი. მან მხარი არ დაუჭირა ქართული ეკლესიის სრული დამოუკიდებლობის ქართული მხარის მოთხოვნას და კვლავ საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორულობის პრინციპს აღიარებდა, რამაც დიდად გაანაწყენა ქართველი საზოგადოების და განსაკუთრებით კი სამღვდელოების წარმომადგენლები.[2]

1. ოთარ ჯანელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

2. გ. მჭედლიძე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს, გაზ. „სახალხო განათლება“ 1991 წ., 9 ოქტომბერი.

როგორც მოსალოდნელი იყო, დროებითი მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია სრული არ ყოფილიყო და ათასნაირი ხრიკებით ცდილობდა საქართველოს კათალიკოსთან ერთად ეგზარქოსიც დაეტოვებინა და რეზიდენცია კვლავ თბილისში მიეჩინა. მოვლენათა მსგავსი განვითარება რომ თავიდან აეცილებინათ, 1917 წლის ივნისში პეტროგრადში გაიგზავნა ქართველების სასულიერო და საერო მოღვაწეთა დელეგაცია, მაგრამ რუსეთის დედაქალაქში მათ რაიმე მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწიეს. ამის ერთ-ერთი მიზეზად პროფ. გ. მჭედლიძე იმას ასახელებდა, რომ ამ დროს პეტროგრადში საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად საქმიანობდა ეგზარქოსი პლატონი, რუსეთში კი როგორც წინათ, ახლაც ანტიქართულ გამოხდომებს დიდი გასავალი ჰქონდა.

„19 ივნისს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია შეხვდა რუსეთის სარწმუნოების მინისტრს კარტაშევს, რომელმაც გულახდილად განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების დამტკიცება გაჭიანურდება, ვინაიდან რუსეთში უმრავლესობას ვერ წარმოუდგენიათ საქართველოს ეკლესიიის დამოუკიდებლობა. ამ თვალსაზრისით, ქართველების საწინააღმდეგოდ იმოქმედებენ, როგორც ესერები, მენშევიკები, ასევე ბოლშევიკებიც“.[1]

1917 წლის 1 ივლისს დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის დროებითი წესები. მისი პროექტი გამოქვეყნებულ იქნა პრესაში. „წესებმა“ ტერიტორიული ავტოკეფალიის მომხრეთა, ისინი კი უმრავლესობას წარმოადგენდნენ, უკმაყოფილება გამოიწვია. მათი მიხედვით საქართველოს ეკლესიის დაქვემდებარებაში უნდა შესულიყვნენ მხოლოდ მართლმადიდებელი ქართველები, ხოლო აფხაზები და ოსები შეიძლებოდა საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შესულიყვნენ სურვილის შემთხვევაში, საქართველოს ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, მათ სიას ამტკიცებდა მთავრობა. ეკლესიის სათავეში იდგა მცხეთის არქიეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომელიც ირჩეოდა ეკლესიის წესების მიხედვით. მის არჩევას ამტკიცებდა სახელმწიფოს უმაღლესი მთავრობა; მღვდელმთავრები და სასულიერო პირები, ხელფასს მიიღებდნენ სახელმწიფო ხაზინიდან დადგენილი წესების მიხედვით.[2]

---

1. ს. ვარდოსანიძე, საქართველოს მართმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, გვ. 15, თბ. 2000.

2. გ. მჭედლიძე, დასახ. ნაშრ.

დროებითმა წესებმა უარყოფითი რეაქცია გამოიწვია არა მარტო ქართველ ავტოკეფალისტთა რიგებში, არამედ რუსეთის პროგრესული ინტელიგენციის წარმომადენლობაშიც. ცნობილმა რუსმა საეკლესიო მოღვაწემ ნ. დურნოვომ „პეტროგრადსკიე ვედომოსტში" ეს წესები დაახასიათა, როგორც ქართველთათვის ავადსახსენებელი ვოსტორგოვის შთაგონებით შემდგარი დოკუმენტი, რომელსაც რეალობასთან არაფერი ჰქონდა საერთო, ნ. დურნოვომ საქართველოს ეკლესიის საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა სათაურით „ქართული ეკლესიის ბედი (ქართული საეკლესიო ავტკეფალიის საკითხთა გამო)"[1]

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია არა მარტო ის, რომ ნ. დურნოვო თავგამოდებით იცავდა საქართველოს ეკლესიის ინტერესებს და მისთვის ავტოკეფალიის დაბრუნების აუცილებლობას, არამედ თუ როგორ ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა იგი საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკვანძო საკითხებში. მან ზოგადსაეკლესიო პრობლემებთან ერთად ჩინებული გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობას, რომელშიც ღრმად გააზრებული და მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები გააკეთა.

ნ. დურნოვოს ნაშრომის თარგმანს ზ. კახაბერიძემ დაურთო ტრიფონ ჯაფარიძის აზრი რუსი ავტორის შესახებ, რომელიც მას გამოუქვეყნებია 1917 წელს გაზეთში „ჩვენი ქვეყანა", სადაც იგი წერდა: „დურნოვოსთანა კაცები ცოტაა ქვეყანაზე და მეტადრე რუსეთში. მეტად სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანების ხმა სახელმწიფო ცხოვრების მეთაურებს არ ესმით და ამის გამო ისეთ შეცდომებს სჩადიან, რომლის გასწორება შემდეგ სძნელო ხდება, და მთელი საუუკუნის განმავლობაში ხალხი იტანჯება ხოლმე...

ძველი მთავრობის სიბრმავე იქამდე მივიდა, რომ დურნოვოსთანა გულწრფელი და უანგარო მეცნიერის აზრს გვერდს უვლიდა, ბიწიერებითა და დამნაშავეობით ცნობილი ადამიანების, როგორც ვოსტორგოვი და ძმანი მისნი, აზრებით ხელმძღვანელობდა.

აი, სწორედ ასეთმა სიბრიყვემ ძველი მთავრობა დამხობის დღემდე მიიყვანა.

რა გზას დაადგეს ახალი მთავრობა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ... ჩვენი ეკლესიის საკითხის გარშემო, ახალ მთავრობას დიდი რყევა

---

1. იგი ქართულად თარგმნა და გამოსცა კიდეც ზ. კახაბერიძემ, იხ. ჟურნალი „განთიადი", 1990, №10, გვ. 33-92.

ემჩნევა და ვაითუ ბოროტგამზრახველთა მოქმედებამ ახალი მთავრობაც შეაცდინოს.

ერთადერთი გზა საქართველოს ეკლესიის საკითხის სწორად გადასაწყვეტად არის დურნოვოს მოთხოვნილების აღსრულება — დაასკვნის ტრიფონ ჯაფარიძე

ნ. დურნოვო კი იმპერიის ძველ და ახალ მესვეურებს მართლაც რომ სერიოზულ ბოროტებაში ადანაშაულებდა და ამით პატიოსანი რუსი ინტელიგენციის საოცრად დადებით სახეს ქმნიდა ქართველ საზოგადოებაში. მაგრამ, სამწუხაროდ, ნ. დურნოვოს მასშტაბის კეთილმსურველი მთლიანად საქართველოსა და მის ეკლესიას რუსულ საეკლესიო და სამეცნიერო წრეებში ერთეულები ჰყავდა.

რუსი სწავლულისა და საეკლესიო მოღვაწის თამამი განცხადებები საქართველოს ეკლესიის დასაცავად „წმინდა" სინოდის სერიოზულ აღშფოთებას იწვევდა, მას არაკეთილსაიმედოდ მიიჩნევდნენ. ნ. დურნოვოს თქმით, ქართველებისა და მოლდაველების ძალდატანებით გარუსების პოლიტიკამ ყველას აუხილა თვალი და აჩვენა მთელი თავისი უსაფუძვლობა. მან არა მარტო ვერ შეძლო ამ გზით გარუსება, არამედ რუსებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ შექმნა იმ პირთა ლეგიონები, რომლებიც ადრე რუსეთისა და მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ და საუკეთესო მეგობართა რიგებში იყვნენ.

ნ. დურნოვო იცნობდა მის თანამედროვე გამოჩენილ ქართველ სწავლულთა ნაშრომებს საქართველოს ისტორიისა და ეკლესიის შესახებ, იყენებდა მათ თავის გამოკვლევებსა და სტატიებში. დიდი ცოდნა და გამოცდილება საშუალებას აძლევდა რუს მეცნიერს სერიოზული ხასიათის დასკვნები გამოეტანა საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად, რომლის დროსაც ეყრდნობოდა აგრეთვე მართლმადიდებლური ეკლესიის აღიარებულ კანონებსა და ტრადიციას. ამიტომ დურნოვოს, როგორც სამართლიან, პატიოსან სწავლულს, ეჭვიც არ ეპარებოდა რუსული ეკლესიის ქართულის მიმართ ძალმომრეობაში და ძალა, ენერგია არ დაუკლია დაჩაგრულის დასაცავად.

ნ. დურნოვომაც, ცხადია, უყურადღებოდ არ დატოვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ხელყოფის ისეთი უპრეცედენტო უკანონობა, როდესაც ყოველგვარი საეკლესიო კრებისა და ადგილობრივ სასულიერო იერარქთა თანხმობის გარეშე ერთი ეკლესიის მიერ დაქვემდებარებულ იქნა მეორე. ჩვენს მმართველ სინოდს ქართული

ეკლესიის მართვის უფლება არა აქვს, აღნიშნავდა დურნოვო, მსგავს ანალოგიას ვერ ნახავთ მსოფლიოში — მიაჩნდა მას. შემდეგ დურნოვოს მოჰყავს ციფრები იმის შესახებ, თუ რუსეთის ეკლესიამ და ხაზინამ როგორ უმოწყალოდ გაძარცვეს საქართველოს ეკლესია, დურნოვოს თავის ნაშრომში მოჰყავს ერთი რუსი ავტორის სიტყვები: რუსი ეგზარქოსები საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძარცვათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ.

საინტერესოა, რომ რუსეთის სინოდი, მაშინ როდესაც სასტიკად სდევნიდა ქართულ ეკლესიასა და მის მსახურთ, ინარჩუნებდა სომხეთის კათალიკოსსა და მის თვითმმართველობას. 1905 წელს სომხეთის ეკლესიას ადრეულ წლებში წართმეული ქონებაც კი დაუბრუნეს. ნ. დურნოვო გაკვირვებულია ამითი და საგანგებოდ აღნიშნავს ამას. იგი წერს — სომეხ ხალხს კავკასიის ადმინისტრაცია ყოველთვის მეტ უპირატესობას აძლევდა ქართველ ხალხთან შედარებით, ამის წყალობით მთელი საქართველო თითქმის სომხებს ჩაუვარდა ხელში. ისინი საშინლად ავიწროებენ ქართველებს. რუსულ ბიუროკრატიას, ნაცვლად იმისა, სიყვარულითა და სიმართლით ჰქონოდა ავსებული გული, ქართველებმა რომ რუსული არწივის ფრთებქვეშ შეაფარეს თავი, უძველეს ერს ხარბი ექსპლოატატორები — სომხები შეუსიეს, მათ ხელთ იგდეს ქართველი ხალხის ეროვნული პოეტის შოთა რუსთაველის სამშობლოს საუკუნებრივი ისტორიული ავლადიდება და მადლიერების ნატამალიც აღარ შემორჩათ.[1] თუმცა იმპერიის ამ საქციელში საიდუმლო თავისთავად ცხადია არ დევს. რუსული სახელმწიფო დიპლომატია დიდი გამჭრიახობით არასოდეს გამოირჩეოდა. საქართველო თავიდანვე არცთუ ისე საიმედო ქვეშევრდომად მიაჩნდათ, ამიტომ რუსეთი ცალსახად და ყოველგვარი შეფერილობის გარეშე ანადგურებდა ქართული მენტალიტეტის საყრდენ ინსტიტუტებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავის ნაშრომში ნ. დურნოვომ მოგვცა საქართველოში რუსი ეგზარქოსების საქმიანობის ერთ-ერთი დაწვრილებითი და საფუძვლიანი დახასიათება, მეცნიერმა იმდენად დეტალურად განიხილა ეს საკითხი, რომ ვერ მოძებნა თუნდაც მცირედი დადებითი შტრიხი ამ სასულიერო მამების მოღვაწეობაში.

---

1. ნ. დურნოვო, დასახ., ნაშრ., გვ. 44.

მათი საქმიანობა ქართული მრევლის წინააღმდეგ კათოლიკურ ინკვიზიციას შეიძლება შევადაროთ, იმ განსხვავებით, რომ ინკვიზიცია ეკლესიებს მაინც არ არბევდა და ძარცვავდა. აქ კი ყველა სიკეთესთან ერთად, სალოცავების გაპარტახებას რუსი „წმინდა მამების" საქმიანობაში პირველი ადგილი ეკავა.

საქართველოში ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლამ ეგზარქოსების მეთაურობით იმის გარდა, რომ ქართული მრევლი ფაქტობრივად ჩამოაცილა ეკლესიას, დააფრთხო და საერთოდ ლამის ქრისტიანობაზე ააღებინა ხელი აქ მცხოვრებ არაქართველ, მაგრამ ქრისტიან მოსახლეობას. ამის შესახებ ნ. დურნოვოს შემდეგი ფაქტები მოჰყავს: ქართველების მეზობლად გორის მაზრაში მცხოვრები ოსები ოდითგანვე იყვნენ შეჩვეული ქართულ ღვთისმსახურებას და უმრავლესობა თავისუფლად ლაპარაკობდა ქართულად. ქართველებისაგან რომ განეცალკევებინათ ისინი, ეგზარქოსებმა ოსურ ეკლესიებში ოსურ ენაზე დაიწყეს ღვთისმსახურება და იგი იმდენად დაამახინჯეს, რომ ოსები აღშფოთდნენ და ეკლესიაში სიარული შეწყვიტეს.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა იყო აფხაზეთში სადაც „რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა აფხაზები აემხედრებინა ქართველთა წინააღმდეგ, რომლებიც, თითქოსდა, ძალით ახვევდნენ თავიანთ კულტურას აფხაზ ხალხს და ამით აფერხებდნენ მათ საზოგადოებრივ განვითარებას. კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი გენერალ-ადიუტანტი თავადი გოლიცინი ამასთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: „ამჟამად აფხაზთა განათლებას ამუხრუჭებს ქართველთა, (რომლებიც უმრავლესობას შეადგენენ სამღვდელოებასა და ინტელიგენციაში), მისწრაფება თავს მოახვიონ აფხაზებს თავიანთი კულტურა, რაც ხელს უშლის მათ გარუსებას".[1] იგივეს უკვე უფროსი ძმის ეგიდით ბოლშევიკური რუსეთი კარგახანს აგრძელებდა, რომლის მწარე შედეგი დღესაც სახეზეა.

ნ. დურნოვოს ნაშრომის გაცნობა მართლაც მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, ავტორმა უამრავ ფაქტობრივ მასალას მოუყარა თავი, თუ როგორი შემართებითა და მიზანდასახულობით არბევდა რუსული ადმინისტრაცია ყოველივე ქართულს საქართველოში და განსაკუთრებით კი მის ეკლესიას, რომელშიც ის მთავარ მოწინააღმდეგესა

1. გ. როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში (1801-1917 წ.წ.) გვ. 25, ავტორეფერატი, 1999 წ.

და მტერს ხედავდა, ქართული სამღვდელოება, საზოგადოების მოწინავე ძალებთან ერთად, ყოველივე ამას შესანიშნავად ხედავდა, ძალსა და ენერგიას არ იშურებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ რუსული დერჟავული იდეოლოგია შეუვალი იყო. მისი ჯავშნის შენგრევა კი სწორედ ქართველმა ისტორიკოსებმა ითავეს, რომლებმაც შიშველ ენთუზიაზმსა და თავგანწირვას მყარი მეცნიერული და იურიდიული ბაზისი მიაშველეს. ახლა ქართველები თავიანთი კანონიკური უფლებების დაცვას მხოლოდ გაძარცული ეკლესიებისა და დახურული ეპარქიების მოშველიებით არ ცდილობდნენ. თითოეულ მათ მოთხოვნას საქართველოს ეკლესიის უფლებების, მისი მსოფლიო მართლმადიდებლური მოძრაობის წინაშე დასაბუთებული დამსახურების კანონიკური საფუძველი ჰქონდა, რომლის წარმოჩენაში უდიდესი იყო ქართველი ისტორიკოსების წვლილი.

ქართველმა საზოგადოებამ იმ მიზნით, რომ რუსეთის სინოდს საშუალება წართმეოდა თავისი მიტროპოლიტი დაენიშნა, 1917 წლის აგვისტოს კრებაზე აღადგინა თბილისის მიტროპოლიტის კათედრა და თბილისელ მიტროპოლიტად გამოაცხადა საქართველოს კათალიკოსის თანამოსაყდრე – ლეონიდე.[1]

იმავე კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოეწვიათ სასულიერო და საერო წარმომადგენელთა კრება კათალიკოსის ასარჩევად, დადგინდა, ამასთანავე, წარმომადგენლობის ნორმები.

სინოდმა იმ ფაქტს, რომ თბილისს უკვე ჰყავს ერთი მიტროპოლიტი, ანგარიში არ გაუწია და ეგზარქოსყოფილი პლატონი თბილისის მიტროპოლიტად დანიშნა.

ამის საპასუხოდ ქართველმა სამღვდელოებამ 23 აგვისტოს დაიკავა ყოფილი ეგზარქოსის რეზიდენცია – ბინა. იგი აგებული იყო 1847-48 წწ. თბილისის გუბერნატორისათვის და აქამდე ეკავა ეგზარქოსს. ახლა კი იგი დაიკავა თბილისის მიტროპოლიტმა და კათალიკოსის თანამოსაყდრე ლეონიდემ. ეს აქცია რუსულმა სამღვდელოებამ და პრესამ გამოაცხადა პროვოკაციად. მაგრამ ქართულმა მხარემ შეძლო დაემტკიცებინა საკუთარი პოზიციის სისწორე.[2]

ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალია ეროვნულ მოვლენად აღიარა და მიესალმა მას.

---

1. იხ. მჭედლიძე დასახ. ნაშრ.
2. იქვე.

კირიონ II – გიორგი
საძაგლიშვილი – 1855-1918.

ამბროსი ხელაია
– 1861-1927

1917 წლის 8 სექტემბერს სიონის ტაძარში მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომესაც 600 დელეგატი დაესწრო, მათ შორის იყვნენ ქართული სასულიერო იერარქიის აღიარებული მეთაურები. თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე ოქროპირიძე, ეპისკოპოსი ანტონ-გიორგაძე, გიორგი ალადაშვილი, პიროსი ოქროპირიძე, არქიმანდრიტები, ბერ-მონაზვნები, საერო საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ეპისკოპოსი კირიონი კრების პირველ სხდომებს არ დასწრებია. კრებას თავმჯდომარეობდა ლეონიდე, კრებამ სხვადასხვა საკითხთან ერთად 17 სექტემბერი გამოაცხადა კათალიკოსის არჩევის დღედ.

1917 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ყველა ეპარქიაში არჩეულმა 440 დელეგატმა საეკლესიო კრებაზე კათალიკოს-პატრიარქად აირჩია კირიონ საძაგლიშვილი, რომელმაც 11 ხმით მეტი მიიღო მეორე კანდიდატთან, ლეონიდ ოქროპირიძესთან შედარებით. ეპისკოპოსებად აირჩიეს: ქუთაისისა – ანტონ გიორგაძე, ჭყონდიდისა – ამბროსი ხელაია, ურბნისისა – დავით კაჭახიძე, თბილისისა – ლეონიდე ოქროპირიძე, ალავერდისა – პიროს ოქროპირიძე. არჩევნებს ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ვიტებსკის გადასახლებიდან ახალ დაბრუნებული კირიონ II, რომელსაც თბილისის მიტროპოლიტმა ლეონიდემ პირველმა მიულოცა კათალიკოს-პატრიარქად არჩევა და თანადგომა შესთავაზა კირიონის გუჯარში გამოცხადებულ ქართველთა „ძმობის, მშვიდობის, ბედნიერების, ერთობისა და ერთსულოვნების“ მიღწევისათვის მოღვაწეობაში.

1917 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად კირიონ II მცხეთაში აკურთხეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ კირიონ II საქართველოს ისტორიაში მუდამ დარჩება არა მარტო, როგორც სასულიეო, არამედ როგორც საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. მთლიანად მისი ცხოვრება ნიმუშია ერისა და ქვეყნის სამსახურისა. სავალალო მხოლოდ ის არის, რომ საქართველოში არასოდეს ილეოდა შახისა და სულთანის ხალათზე, თუ რუსულ მუნდირზე სამშობლოს გამცვლელთა ნაკადი, რომლებიც დაუფიქრებლად ესროდნენ ტყვიას საქართველოზე შეყვარებულ გულებს.

სრულიად საქართველო ზეიმობდა თავისი მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. „ეს დღე სვეტიცხოვლობას დაემთხვა. ზღვა ხალხმა მოიყარა თავი ტაძარში. კათალიკოსის

კურთხევას დაესწრნენ ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის კონსულები[1] საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის დასტურად დროებითმა მთავრობამ კირიონ II დაამტკიცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად.

ამრიგად, ქართველი სამღვდელოებისა და საზოგადოების მოწინავე ნაწილის ბრძოლა, რომელთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით სწორედ ქართველი ისტორიკოსები გამოირჩეოდნენ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის საბოლოოდ დიდი გამარჯვებით დამთავრდა, რომელსაც ამის შემდეგაც არაერთი განსაცდელის გადატანა მოუწია, მაგრამ ქართული ეკლესია ქართველი კაცის ცნობიერებისა და ყოფიერების განუყოფელ ნაწილად იქცა და ყველა ჭირი და უბედურება, რომელიც ბოლშევიკურმა ტერორმა საქართველოს დაატეხა — ღმერთის შეწევნითა და საერთო ძალისხმევით გადატანილ იქნა.

როგორც ზემოთ ვუთითებდით, ქართველი ისტორიკოსების მონდომებამ და ძალისხმევამ, ერთი შეხედვით, თეორიული საკითხების გადაწყვეტაში სრულიად პრაქტიკული შედეგები მოიტანა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სახით. მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ავტოკეფალიისათვის მებრძოლმა ქართველმა ისტორიკოსებმა მეცნიერულად შეისწავლეს და დაამუშავეს საქართველოს ისტორიაში მანამდე ჩრდილში მოქცეული ან საერთოდ შეუსწავლელი საკითხები, რომლებსაც ერის ისტორიის საერთო განვითარების ხაზის შემუშავებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ შრომებში გამოთქმულ შეხედულებათა დიდ ნაწილს, დასკვნებსა თუ აზრებს დღესაც არ დაუკარგავთ მეცნიერული ღირებულება და სათანადო ასახვას პოულობს თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა ნააზრევში.

ამ ნაშრომებმა წარმოაჩინეს არა მარტო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია და კანონიკური ადგილი მსოფლიო ქრისტიანულ მოძრაობაში, არამედ მთლიანად საქართველოს ისტორია, მისი კულტურა და სულიერი მემკვიდრეობა.

ქართველმა ისტორიკოსებმა რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომებით, როგორც რუს მკითხველს, ისე ევროპის დაინტერესებულ სამეცნიერო წრეებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნეს კავკასიაში მცხოვრებ პატარა ერის დიდ წარსულსა და აწმყოზე, ქრისტიანული

---

1. ს. ვარდოსანიძე, კირიონ II, გვ. 22, 1993.

სარწმუნოებისადმი მის ადრეულ და განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე.

ალ. ცაგარელის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, თ. ჟორდანიას, მ. თამარაშვილის, ალ. ხახანაშვილისა და სხვა ცნობილ ისტორიკოსთა მონდომებამ, ამ შემთხვევაში მოცემული კონკრეტული საკითხის ირგვლივ ცხადი გახადა, რომ თუ ერს განსწავლულ ისტორიკოსთა თანავარსკვლავედი ჰყავს, რომელმაც საკუთარ ისტორიასთან ერთად ჩინებულად იცის სხვისიც, მაშინ ამ ერის დაჩაგვრა შეიძლება დროებით მოხერხდეს კიდეც, მაგრამ სამუდამოდ არასოდეს.

SUMMARY

In the beginning of the twentieth century before 1917 the life of the Georgian people and especially of its intellectuals was greatly affected by a violent action of the Russian Empire. The Georgian nation, which had Christianity as its official state religion since fourth century, was deprived of autocephalous status of its Church. Since then the Georgian Orthodox Church had been subjugated to the Russian Holy Synod.

The Georgian people and its intellectuals had never reconciled with this injustice conducted against for restoration of the former independence of the State and Church. In the traditional Georgian historiography it is maintained that a politically active Georgian clergy initiated the struggle for the restoration of the independence of the Georgian Church.

However, together with the clergy, prominent Georgian historians of the time undertook much effort to prove that the political struggle was justified in the historical perspective. Namely, those historians found, interpreted and analyzed quite a few historical documents and sources about the Georgian Church. They display to the reactionary political and scholarly circle of the Russian Empire profound knowledge of the history of the Christian Church. of law and canonical basis of the Church administration. Scolars like Al. Tsagareli, N. Marr, Iv. Javakhishvili. T. Jordania, S. Gorgadze, A. khakhanashvili and M. Tamarashvili convincingly demonstrated that there was not any canonical basis for the Russian administration to deprive the Georgian Orthodox Church its autocephalous status, and that action were violated all the recognized norms, traditions and manners of the Orthodox Church.

The Georgian historian's monographs, article and public lectures prepared a basis for the restoration of the self-governing Georgian Church, as well as for the reestablishment of the independent state. This activity was hardly appreciated by the contemporary reactionary Russian political circles. the Georgian scholars risked not only their academic careers but also their very lives.

In their the Georgian historians clearly depicted the ruinous results which the Russian Church government brought to the Georgian parishes. The Georgian language was expelled from the Church, the schools and the state institutions. The Russian Church official plundered the

Georgian Church., national bishops and priest were excommunicated. There was a danger of spiritual degradation of the entire nation. Thus, the vigorous efforts of the world-famed Georgian intellectuals had vital importance for preservation of the very national identity of Georgians. They did everything to prove by means of irrefutable historical documents the injustice of the Russian administration. Although the reactionary Russian clergy and even scholars in their turn tried to vindicate the Imperial politics, but the Georgian historians left no chances for them.

Yet, the historical truth is inefficient when confronted by a political power. that is why the issue of the Georgian Church's independence was decided only after the Russian Revolution. However, even after this event the Georgian Church had to suffer from Bolshevik terror throughout the period of the seventy-year Communist regime that was eventually by God's help.

The zeal of the Georgian historians and scholars for solving from the first sight just theoretical issues, brought many practical results, most importantly the restoration of the Church's autocephalous status.

It was important that the historians studied those areas of the national history, which were left into oblivion or were never explored before. Their findings and ideas even now retain their scholarly force. Their works shed light not only on the history of the Georgian Church, but on the Georgian history as a whole.

The Georgian historians, in the works, mainly written in Russian, made accessible to the Russian and the international scholarly public the rich and ancient history of the small nation.

Endeavors of Al. Tsagareli, Iv Javakhishvili, N. Marr, I. Jordania, M. Tamarashvili, Al. Khakhanashvili and other prominent historians made clear that a nation with such a constellation of scholars, who know in depth both the wold and their own national history, can be only temporarily oppressed but never for ever.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. ბადრიძე, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, „ჯვარი ვაზისა“, 1987, №1.

2. А. Цагарели, Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПБ, 1912г.

3. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად.

4. ზ. ალექსიძე, ვახტანგ გორგასალსა და მიქაელ მთავარეპისკოპოსს შორის კონფლიქტის გამო. კრებული-ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ. 1976.

5. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძეგლები.

6. ლ. ჯანაშია, იხ. საქ. ისტ. ნარკვევები, ტ II თბ. 1973.

7. ს. ჯანაშია, შრომები, თბ. I, 1949.

8. ქართლის ცხოვრება. წ. I, თბ. 1955.

9. მ. ლორთქიფანიძე, ქართლი Vს-ის მეორე ნახევარში, თბ. 1979.

10. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ.IV, 1957.

11. ა. ბრეგვაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური გაერთიანება IV VII ს-ში, თბ., 1979.

12. ნ. ლომური, საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1989.

13. ს. კაკაბაძე „მოგონებანი ნ. მარზე“, 1964, ხელნაწერი.

14. მ. დუმბაძე, ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მოღვაწეობა 1889-1912 წლებში. წინასიტყვაობა ივ, ჯავახიშვილის თხზულებათა XII ტომისათვის.

15. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბ., 1984.

16. მ. ხუციშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს რეაქციული ღონისძიებები, თბ. 1972.

17. შ. ბადრიძე, „ჩვენი დიდი ნუგეში“, ჟურნალი „დროშა“, 1987, №9.

18. Т. Жордания Краткие исторические сведения об автокефалии Грузинской церкви. Кут, 1905г.

19. История Византии Т-1.М. 1967г.

20. მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე თბ. 1995.

21. შ. ლომსაძე, მიხეილ თამარაშვილი, თბ., 1969.
22. Н. Марръ, История Грузии, СПБ, 1906г.
23. ზ. აბაშიძე, სერგი გორგაძე ქართული ეკლესიის ისტორიის მკვლევარი, სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 1998.
24. გ. მჭედლიძე, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა 1917წელს. გაზ. „სახალხო განათლება", 1991 წ. 9 ოქტომბერი.
25. ნ. დურნოვო, ქართული ეკლესიის ბედი, ჟურნალი „განთიადი" 1990, №10.
26. კ. კინწურაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი, თბ., 1974.
27. Н. Никольский, История русской церкви, М. 1985г.
28. არტურ ლაისტი, საქართველოს გული, თბ., 1968.
29. ოთარ ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996.
30. სერგო ვარდოსანიძე, კირიონ II, ოზ., 1993.
31. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 1997.
32. გ. როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქრთველოში (1801-1917 წ.) ავტორეფერატი, თბ., 1999.
33. „ახალგაზრდა ივერიელი", 1990, 25 ნოემბერი.
34. სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 1917-1927 წლებში, თბ., 2000.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3

I თავი

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ზოგიერთი სკითხი 7
რწმენისა და მომავლის სახელით
ივ. ჯავახიშვილის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე 23

II თავი

ნიკო მარის მამულიშვილობა 40
ისტორიკოსი თედო ჟორდანია, ქართული ეკლესიის
ავტოკეფალიის შესახებ 54
მიხეილ თამარაშვილი, ქართული ეკლესიის
ავტოკეფალიის შესახებ 62
ისტორიკოსი სერგი გორგაძე — ქართული
ეკლესიის ინტერესების დამცველი 70

III თავი

ალექსანდრე ცაგარელი — საქართველოს ეკლესიის
ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში 74

IV თავი

მოქმედების დრო 122
რეზუმე 139
გამოყენებული ლიტერატურა 141

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირ. მაბეჭდი თაბახი 8,6
სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,8
ტირაჟი 200

გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №17 ბ
25-05-22, 29-31-33, 8-99-55-66-54

n 3/2